საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

- — ბალტიის მხარის სოციალისტები მოითხოვენ მჭიდრო ეკონომიურ კავშირის დამყარებას საბჭოთა კავშირთან.
- — ალფონსის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს გენერლებმა
- — უ-პეი-ფუ და ჩან-ძო-ლინი ვერ შეთანხმდნენ.
- — გერმანიის კომპარტია მოითხოვს რეისხტაგის დათხოვნას.
- — მოელიან ბრიანის კაბინეტის გადადგომას.
- — იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მტკიცდება.

შაბათი, 3 ივლისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 150 (1605)

კოოპერაციის დღე

წელიწადში ერთხელ მსოფლიო კოოპერაცია იხდის თავის დღესასწაულს, ახდენს თავის ძალების დათვალიერებას, ითვალისწინებს განვლილ გზას, აყენებს მორიგ ლოზუნგებს, ისახავს ახალ ამოცანებს. ამ დღესასწაულში, კაპიტალისტურ მსოფლიოს კოოპერაციასთან ერთად, მონაწილეობას იღებს საბჭოთა კოოპერაციაც, როგორც საერთაშორისო კოოპერატიულ გაერთიანების წევრი. ეს დღესასწაული წრეულს ტარდება დღეს, 3 ივლისს.

როგორია კოოპერაციის მდგომარეობა დასავლეთში და როგორია ჩვენში, რა ამოცანები დგას ორივეს წინაშე,— ამ საკითხზე თუმცა არა ერთხელ ყოფილა პასუხი გაცემული, მაგრამ დღეს ერთხელ კიდევ საჭიროა ამაზე მშრომელ მასების ყურადღების შეჩერება.

ბურჟუაზიულ ქვეყნების კოოპერაცია სულ უფრო ექცევა გამოუვალ ჩიხში. მისი როლი მშრომელ მოსახლეობის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში თანდათან მცირდება და არარაობამდე დადის. კოოპერაცია იქ ვერ უძლებს მსხვილ კაპიტალისტურ სავაჭრო გაერთიანებათა კონკურენციას და მათ სასარგებლოდ სტოვებს წინედ მოპოვებულ პოზიციებს, მისი მხრით რაიმე ახალ მიღწევებზე ზედმეტია ლაპარაკი.

აიხსნება ეს გარემოება იმით, რომ დასავლეთ ევროპაში კოოპერაცია იქცა კაპიტალისტური ეკონომიკის უბრალო, უმნიშვნელო დამატებად და ის მოწყდა მუშათა საერთო რევოლიუციონურ მოძრაობას. დასავლეთის კოოპერაციას დაეპატრონენ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგები, მათ შორის რეფორმისტები, რომლებმაც გამოაცხადეს კოოპერაციის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და ამნაირად გამოაცალეს მას ყოველგვარი რევოლიუციონური შინაარსი. ამან გამოიწვია მასაში გულგრილი დამოკიდებულება კოოპერაციისადმი, და ის თანდათან ქრება.

ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ნეიტრალიტეტის ლოზუნგი კოოპერაციაში დღეს, როცა კლასთა ბრძოლა უაღრესად გამწვავებულია და ორი მოწინააღმდეგე ძალა—კაპიტალისტები და მუშათა კლასი—სამკვდრო - სასიცოცხლო შეტაკებისათვის ემზადებიან, ზოგან კიდეც არიან ჩაბმული ამ ბრძოლაში. ნეიტრალიტეტი ასეთ დროს მეტად საეჭვო ხასიათისაა და ის არსებითად ნიშნავს კაპიტალისტების ბატონობისათვის ხელის შეწყობას. ფაქტიურად ეს ასეც არის. მიუხედავად სიტყვიერი ნეიტრალიტეტისა, დასავლეთის კოოპერაცია ატარებს რეფორმისტების პოლიტიკურ ხაზს და ამაგრებს ბურჟუაზიულ წყობილებას.

სხვათა შორის, ინგლისის ამბებმა ეს ყველაზე ნათლად გამოაშკარავეს. კოოპერატიულმა ალიანსმა ნეიტრალიტეტის მომიზეზებით საბოტაჟი გამოუცხადა ინგლისის გაფიცულ მუშებს და უარი სთქვა მათთვის დახმარების აღმოჩენაზე. ასე იქცევიან ცალკე ბურჟუაზიულ ქვეყნების კოოპერაციები, მათ შორის ინგლისის კოოპერაციაც. ასეთი „ნეიტრალიტეტი“ არის აშკარა ღალატი მშრომელთა საქმისადმი, რომლის დამცველად მოაქვს თავი დასავლეთის კოოპერაციას.

თუ ასე გაგრძელდა, ეს კოოპერაცია მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით. როგორც მარტო ვიწრო კომერციული ორგანიზაცია, ის ვერ იხეირებს მძლავრი კაპიტალისტური კონცერნების, ტრესტების და სინდიკატების გვერდით.

დასავლეთის კოოპერაციის ერთადერთი ხსნაა მისი დაკავშირება მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობასთან, მისი გახდომა მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლის იარაღად. მხოლოდ ამ გზით შემოკრბებიან მშრომელნი მის გარშემო.

კოოპერაციის ამ ლიანდაგზე დაყენება, განდევნა იქიდან რეფორმისტების— ასეთი ამოცანა დგას დასავლეთის კომპარტიების და ყველა რევოლიუციონურ ელემენტების წინაშე. ამისათვის იბრძვის, რა თქმა უნდა, საბჭოთა კოოპერაციაც ალიანსში. ამიტომაცაა, რომ უკანასკნელის მემარჯვენე ხელმძღვანელები ებრძვიან ჩვენს წარმომადგენლებს და ცდილობენ მათი რიცხვის შემცირებას ალიანსის ხელმძღვანელ ორგანოში. ამ მიზანს მათ ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს.

ბრძოლა ალიანსის „ნეიტრალიტეტის“ პოლიტიკის წინააღმდეგ, საერთაშორისო კოოპერაციასთან რევოლიუციონურ ნიადაგზე სოლიდარობის დამყარება,— ეს ერთი მხარეა საბჭოთა კოოპერაციის მოღვაწეობის, მისი, ასე ვსთქვათ, საგარეო პოლიტიკის მთავარი ღერძია. მაგრამ ჩვენი კოოპერაციის მთელი ყურადღება, რა თქმა უნდა, მიმართულია ჩვენს ქვეყნებში გაჩაღებულ სოციალისტური მშენებლობისაკენ საერთოდ, დღეს ჩვენს წინაშე აღმართულ სამეურნეო სიძნელეების გადალახვისკენ, კერძოდ. უკვე საანბანო ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რომ ჩვენს პირობებში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, კოოპერაცია სოციალისტური მშენებლობის მთავარი გზაა სოფლად. სახელმწიფოებრივი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაკავშირება, საქონლის იაფად და უშუალოდ მიწოდება გლეხობისათვის, უკანასკნელის კოოპერატიული დარაზმვა, გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობის კოლექტიურ ნიადაგზე გადაყვანა—აი საითკენ მიისწრაფვის კოოპერაცია. ყველა ამ დარგში მიღწევები უეჭველად დიდი გვაქვს, მაგრამ არა მცირეა ნაკლულევანებებიც და გასაკეთებელი აწი შეუდარებლად უფრო ბევრია.

უმთავრეს სადღეისო ამოცანას კოოპერაციისათვის (სამომხმარებლო კოოპერაციისათვის) წარმოადგენს საცალო ფასების დაკლება. ამ მიზნით კოოპერაციამ; რაც არ უნდა დაჯდეს, უნდა მოახერხოს თავისი ჯერ კიდევ დიდი აპარატის შემცირება და გამარტივება, მაღალი ზედნადები და საორგანიზაციო ხარჯების მოსპობა, უკიდურესი მომჭირნეობის გამოჩენა.

შემდეგ: დღეს ჩვენ პრაქტიკულად ვიწყებთ სოციალიზმის შენებას. ეს გულისხმობს სოფლის მოსახლეობის საწარმოო გაერთიანებას, მის მეურნეობის კოლექტიურ შეკავშირებას, სასოფლო მეურნეობის გარდაქმნას ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე, მის ინდუსტრიალიზაციას. ამისათვის უშუალოდ მოწოდებულია სას.-სამ. კოოპერაცია.

ჩვენს გლეხობას ამ ამოცანის განსახორციელებლად არ მოეპოვება საკმაო საშუალებები. მარტო საკუთარი სახსრებით ღარიბი გლეხობა ვერ შესძლებს თავის მეურნეობის ფეხზე წამოყენებას. მას ესაჭიროება ფინანსიური დახმარება. საკრედიტო კოოპერაციამ საამისოდ საჭირო თანხები უნდა გამონახოს. და ეს არა [illegible] სახელმწიფოს ხარჯზე, არამედ თვით გლეხობაში გაბნეულ თავისუფალ ფულების მოზიდვით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მეტად მცირეა კოოპერაციის საკუთარი საშუალებები, როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალები; ის უმთავრესად მრეწველობის და ბანკების კრედიტებით სულდგმულობს. ეს მეტად არა ნორმალური მოვლენაა და ამას ბოლო უნდა მოეღოს. უნდა გაიზარდოს მოსახლეობის მატერიალური მონაწილეობა კოოპერაციაში, საწევრო და საპაიო გამოსაღებით და ანაბრების შეტანის სახით.

ყველა ზევით ხსენებულ ამოცანების განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მშრომელი მოსახლეობა მჭიდროდ დაუკავშირდება კოოპერაციას და მას ჩასთვლის თავის საკუთარ ორგანიზაციად. კოოპერატიული საზოგადოებრიობის შექმნა, მუშაობის ჭეშმარიტი საზოგადოებრივი მეთოდების შემოღება კოოპერაციაში—ეს უმთავრესი პირობაა კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის.

დღეს, საერთაშორისო კოოპერაციის დღეს, ყველა ამ საკითხებზე უნდა შევაჩეროთ მშრომელ მასების ყურადღება და გავაძლიეროთ მათში ინტერესი კოოპერაციისადმი.

ბირკენხედ-ჩერჩილები განაგრძობენ იერიშებს

„ლურჯი წიგნის“ ცნობები სიმართლეს არ შეეფერება

კამათი თემთა პალატაში 8 საათის სამუშაო დღის გარშემო

რეაქციონერები სისინებენ

ლონდონი, 1 ივლისი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდის“ დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება: **ლორდ ბირკენხედი და მისი მომხრენი აშკარად თავს იქებენ იმით, რომ მათ განზრახული აქვთ ანტი-საბჭოთა კამპანიის გაგრძელება, სანამ სასურველ შედეგებს არ მიაღწევენ.** ამის გამო, განაგრძობს კორესპონდენტი, აუცილებელია, თვალყური ვადევნოთ ინდოეთს.

ადვილად შესაძლებელია, რომ ბირკენხედი შეეცდება გამოიყენოს ის შესაძლებლობა, რომელიც მას აქვს, როგორც ინდოეთის საქმეების მინისტრს, ვინაიდან მას შეუძლია ინდოეთს უყუროს ისე, როგორც პატივმოყვარეობის საუკეთესო იარაღს პოლიტიკურ კომბინაციების დროს. ჩვენ სავსებით შესაძლოდ ვსთვლით, რომ **მომავალში რუსეთის წინააღმდეგ დაიწყებენ ინტრიგებს ინდოეთის მთავრობის რეზიდენციიდან და ინდოეთის საქმეთა სამინისტროდან.**

„ლურჯი წიგნის“ შესახებ

ლონდონი, 1 ივლისი. ლიბერალურ „**მანჩესტერ გარდიენ**“-ში და მუშათა პარტიის ორგანო „**დეილ გერალდ**“-ში გამოქვეყნებულია ორი განცხადება დეტას წერილთან დაკავშირებით, რომელიც მოთავსებული იყო ინგლისის მთავრობის მიერ გამოცემულ „ლურჯ წიგნში“ (ინგლისის კომპარტიის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ საბუთების კრებული).

ერთ განცხადებას ხელს აწერს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ლონდონში ხლოპლიანკინი, მეორეს—არკოსის დირექტორი კისინი.

სავაჭრო წარმომადგენლის განცხადებაში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციას ინგლისში არაფერი არა აქვს საერთო იმ გარემოებებთან, რომლის დროს ხელმოწერილ იქნა დეტის წერილი სხვადასხვა დაწესებულებებისადმი, რომელთაც დეტი ეყრდნობა. დეტის წერილი დაიწერა მის მიერ სამსახურის ადგილის შეცვლის გამო. ამის შესახებ სავაჭრო დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ დეტი რამოდენიმე ხანს მსახურობდა დელეგაციაში. დეტის სამსახური დელეგაციაში შეწყდა 1925 წლის მაისის ბოლოში იმ თანამდებობის გაუქმების გამო, რომელიც მას ეჭირა. ამის შემდეგ დეტს დელეგაციაში აღარ უმსახურნია. სავაჭრო დელეგაციას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა იმ ფაქტისთვის, რომ მისი ცალკე თანამშრომლები არიან კომუნისტური, კონსერვატიული ან სხვა რომელიმე პარტიის წევრები. დელეგაციის თანამშრომლების შერჩევა სწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ მათი საქმიანი კვალიფიკაციის მიხედვით.

სავაჭრო დელეგაცია არ არის აგრეთვე პასუხისმგებელი იმ განცხადებებისათვის, რომელსაც მისი თანამშრომლები აკეთებენ, მათი ამა თუ იმ პარტიის წევრობასთან დაკავშირებით, დელეგაციაში მუშაობის შესახებ.

რადგან დეტის თანამდებობა სავაჭრო დელეგაციაში გაუქმდა, დელეგაციამ რეკომენდაცია გაუკეთა მას არკოსთან. სავაჭრო დელეგაცია ფიქრობს, რომ ზემონათქვამიდან სავსებით ნათელია, რომ განცხადება დელეგაციის მონაწილეობის შესახებ ინგლისის კომპარტიის საქმეებში ყოვლად უსაფუძვლოა“.

არკოსის ანალოგიურ წერილში ნათქვამია:

„დეტი სავაჭრო დელეგაციიდან დათხოვნის შემდეგ, დელეგაციის რეკომენდაციით სამსახურში იქნა მიღებული ჩვენთან. ის მსახურობდა 1925 წლ. 8 ივნისიდან 1925 წლ. 5 სექტემბრამდე საფინანსო-საანგარიშო განყოფილების უფროს მოანგარიშის თანამდებობაზე. 5 სექტემბრის შემდეგ დეტს ჩვენთან აღარ უმსახურია და მასთან ჩვენ არავითარი კავშირი არ გვქონია“.

კუკის განცხადება

ლონდონი, 1 ივლისი. კომუნისტურ ყოველკვირეულში „უორკერს უიკლში“ კუკმა მოათავსა წერილი, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ სამთამადნო მუშების პირვანდელი ლოზუნგი: „**არც ერთი პენი სამუშაო ხელფასიდან, არც ერთი წამი სამუშაო დღიდან**“, სავსებით რჩება ძალაში.

„**მე განზრახვა არა მაქვს დათმობაზე წავიდე სამუშაო ხელფასის საკითხში,**— სწერს კუკი. ის, ვინც ფიქრობს, რომ მე მზადა ვარ დავთმო, სცდება. **სანახშირო მრეწველობის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა შეუძლებელია ნაციონალიზაციისა და მუშათა კონტროლის დაწესების გარეშე**“.

ინგლისის ამბები

თემთა პალატაში

ლონდონი, 2 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„დღეს თემთა პალატაში 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონპროექტის მესამე წაკითხვის დროს მუშათა პარტიის ზოგიერთმა წევრმა კანონპროექტს არაჩვეულებრივად სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს“.

მუშათა პარტიის წევრმა **ჯონსმა სამხედრო მინისტრს ბრიჯმენს მკვლელი უწოდა**, რის გამო თავმჯდომარისაგან მიიღო ბრძანება სხდომის დარბაზის დატოვების შესახებ, ვინაიდან მან არ მოისურვა თავის სიტყვების უკან წაღება.

ბოლდუინმა მონაწილეობა მიიღო კამათის დასასრულს და მას უსმენდენ დამშვიდებულად, მაშინ როდესაც მის წინ მოლაპარაკე ორატორებს გამუდმებით აწყვეტინებდენ სიტყვას.

ბოლდუინმა აღნიშნა, რომ მას საქმე ჰქონდა დიდ პრაქტიკულ დაბრკოლებებთან სანახშირო მრეწველობის შეჩერების დროს, სახელდობრ, მრეწველობის მოწესრიგების საკითხში, სანამ რეორგანიზაცია არ მოახდენს მასზე თავის გავლენას. ამ საკითხის გადასაწყვეტად არც ერთ მომენტში არ გაუწევია დახმარება მემაღაროეთა ფედერაციას, რის გამოც, განიცადა რა მთავრობამ მარცხი მოხსენების ხაზით შეთანხმების მიღწევის საქმეში, იგი იძულებული გახდა განეხილა, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო სამუშაო დღის შეცვლის საქმეში.

მთავრობის ერთად-ერთი მიზანი იყო, რომ დახმარებოდა ორთავე მხარეს იმაში, რომ მათ ეწარმოებიათ მოლაპარაკება რაც შეიძლება ფართო პირობების შესახებ.

ბოლდუინი შეკითხვით მიმართავს მუშათა პარტიის წევრებს—მართლა კმაყოფილნი არიან ისინი სამთამადნო მუშათა ფედერაციის პოლიტიკის სიბრძნით? (ხმები მუშათა პარტიის სკამებიდან: „დიახ!“).

უპასუხებდა რა ბოლდუინს, მუშათა პარტიის წევრმა **უოლშმა** განაცხადა, რომ მტკიცება იმისა, თითქოს სანახშირო მრეწველობა კრიტიკულ მდგომარეობაშია, საზოგადოებრივი აზრის და თემთა პალატის უდიდეს მოტყუებას წარმოადგენს.

4 ნახ. უკანასკნელ წლების განმავლობაში სანახშირო მრეწველობა, უოლშის სიტყვით, ყოველწლიურად აძლევდა 10%-ს უოლში მოუწოდებდა მთავრობას, კანონპროექტის უკან წაღებაზე და ხაზი გაუსვა, რომ ეს შეიძლება მთავრობის ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენების გარეშე მოხდეს.

დღის დილით, თემთა პალატის სხდომის განახლებისთანავე, კვლავ წამოიჭრა სანახშირო მრეწველობის საკითხი იმ დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით, რომელიც სავაჭრო წესების მომავალ თვისათვის გაგრძელებას ეხება.

სანახშირო მრეწველობის საქმეთა სტატს-სეკრეტარ ფოქსს, არა ერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა.

დაბოლოს მთავრობამ გაატარა რეზოლიუცია კამათის შეწყვეტის შესახებ. კანონპროექტი მიღებულ იქმნა მესამე წაკითხვით ხმის უმრავლესობით 332 ხმით, წინააღმდეგ 147 ხმისა.

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 2 ივლისი. მაკდონალდის მთავრობის ყოფილი ფინანსთა მინისტრი სნოუდენი შეეკითხა ჩერჩილს—სთვლის თუ არა ინგლისის მთავრობა თავის თავს პასუხისმგებლად იმ თანხებისათვის, რომელიც ისესხა რუსეთის ძველმა მთავრობამ და შეუძლიათ თუ არა რუსეთის ფასიან ქაღალდების მფლობელთ იქონიონ იმედი, რომ მათი პრეტენზიები დაკმაყოფილებულ იქნება.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა **მაკ ნეილმა** უპასუხა, რომ ინგლისის მთავრობის აზრით, რუსეთის ეხლანდელი მთავრობა, პასუხისმგებელია წინანდელ მთავრობების ვალებისათვის, რის გამო სნოუდენის შეკითხვის მეორე ნაწილი ჰკარგავს ძალას.

კონსერვატორი **ტეილერი** შეეკითხა— აქვს თუ არა ვაჭრობის სამინისტროს ცნობები საბჭოთა მთავრობის მიერ სავაჭრო ვალდებულებების დარღვევის შესახებ?

ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ **მთავრობას არ მოეპოვება ცნობები საბჭოთა მთავრობის მიერ კომერციულ ხელშეკრულებების დარღვევის შესახებ.**

შეკითხვებზე ჩერჩილის სიტყვის შესახებ, რომელიც მან წარმოსთქვა 19 ივნისს და რომელშიაც მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტას, **ბოლდუინმა** განაცხადა:

„ჩერჩილის გაფრთხილება, რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობის გამო, სავსებით სამართლიანია. გაფრთხილება შეიძლება გაგებულ იქნეს ასე: თუმცა ინგლისის მთავრობა იცავს ინგლისის ქვეშევრდომთ საზღვარგარეთ, მაგრამ მაინც სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთთან და იქ კაპიტალის დაბანდება იმათი პირადი რისკის საქმეა.

ლაქიამ ბოდიში მოიხადა

ლონდონი, 1 ივლისი. თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე **მაკდონალდმა, როგორც ოპოზიციის ლიდერმა ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ მუშათა ფრაქციამ დაარღვია წესრიგი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონპროექტის გარშემო კამათის დროს.** ამასთან დაკავშირებით ლენსბერიმ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „როგორც მუშათა პარტიის აღმასკომის წევრი ვიმიჯნები იმ ბოდიშისაგან, რომელიც მაკდონალდმა მოიხადა, ვინაიდან ბოდიშის მოხდა ჩემი ამხანაგებისათვის მსჯავრის დადებას ნიშნავს“.

ბელადების მორიგი გამცემლობა

ლონდონი, 1 ივლისი. **ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციამ კვლავ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება იბრძოლოს სამუშაო დღის ყოველგვარ გადიდების და სამუშაო ხელფასის შემცირების წინააღმდეგ.**

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ზოგიერთ ბელადებს ისევ აუცილებლათ მიაჩნიათ მემაღაროების სამუშაო ხელფასის შემცირება და ცდილობენ გამოიმუშაონ ფორმულა მოლაპარაკების განახლებისათვის. ამის გამო ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაცია აღნიშნავს, რომ **არავის არა აქვს უფლება გამოვიდეს მისი სახელით.**

რკინისგზელთა კონფერენცია

ლონდონი, 1 ივლისი. გაიხსნა **მემანქანეთა და ცეცხლთფარეშთა რკინისგზელების ყოველწლიური კონფერენცია.** მიღებულია რეზოლიუცია პროფკავშირთა აღმასკომის კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, რომელიც გენერალურმა საბჭომ განუსაზღვრელ დროისთვის გადასდო. თუ გენერალური საბჭო უარს იტყვის მემანქანეთა და ცეცხლ-ფარეშთა კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევაზე, მაშინ **მემანქანეთა და ცეცხლ-ფარეშთა კავშირი შესწყვეტს საწევრო გადასახადის შეტანას გენერალურ საბჭოში.**

არავითარი დათმობა

ლონდონი, 1 ივლისი. დღეს იწყება **ინგლისის სანახშირო გაფიცვის მესამე თვე.** მიუხედავათ იმისა, რომ სამთამადნო მუშებმა გაფიცვის დროს დაჰკარგეს სამუშაო ხელფასი 22 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით (**ინგლისის სახალხო მეურნეობის საერთო ზარალი გასული 2 თვის განმავლობაში აღწევს სულ ცოტა 100.000.000 გირ. სტერლინგს**), **გაფიცულთა სულიერი განწყობილება წინანდებურათ მტკიცეა.**

ინგლისის ყველა კუთხეებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ სამთამადნო მუშებს მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ მიუხედავათ მრავალგვარ სიძნელეებისა ბოლომდის იბრძოლონ სამუშაო ხელფასის შემცირების და სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ.

სამთამადნო მუშათა ფედერაციას მოდის აუარებელი ცნობები სამთამადნო მუშათა მიტინგების, დემონსტრაციების და კონფერენციების შესახებ, რომლებიც ტარდება შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „**არავითარი კომპრომისი, არავითარი დათმობა**“.

კრიზისი მწვავდება

ლონდონი, 1 ივლისი. **ინგლისში სამთამადნო მუშების გაფიცვამ გამოიწვია ნახშირის მოხმარების მნიშვნელოვანად შემცირება.**

თითო კვირაში ნორმალურად იხარჯებოდა 4 მილ. ტონი ნახშირი. ამ ჟამად კი ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით ნახშირის ხმარება შემცირდა 800.000 ტონამდე კვირაში.

მუშების დევნა

ლონდონი, 1 ივლისი. ნიუკესტლში განაჩენი გამოუტანეს ექვს მუშას, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემული იმის გამო, რომ მათ უნდოდათ ექსპრესის ლიანდაგიდან გადაგდება საყოველთაო გაფიცვის დღეებში.

სამ ბრალდებულთაგანს რვა-რვა წლის საკატორღო ციხე მიუსაჯეს, ორს— ექვსი წელიწადი და დანარჩენებს—სამ-სამი წელიწადი.

მაღაროს პატრონების პოზიცია

ლონდონი, 1 ივლისი. შესდგა ინგლისის კაბინეტის სხდომა, რომელმაც განიხილა შექმნილი მდგომარეობა. მთავრობის გადაწყვეტილებებში არ არის მოსალოდნელი რაიმე ცვლილებები.

აღსანიშნავია თემთა პალატის კონსერვატორ დეპუტატის **როგას** (მაღაროს მეპატრონეა) გამოსვლა. როგა წინადადებას იძლევა, რომ სამთამადნო მუშებმა ერთი თვით განაახლონ მუშაობა იმ პირობებში, რომელიც არსებობდა გაფიცვამდე, ხოლო ამ ერთი თვის განმავლობაში კვლავ შეიკრიბოს მეფის სანახშირო კომისია, რომელიც დააწესებს სამუშაო ხელფასის განაკვეთებს და სამუშაო საათების რაოდენობას ცალკე რაიონებისათვის.

როგა აღნიშნავს, რომ ნახშირის დიდ მოთხოვნილების გამო, რომელსაც ადგილი აქვს ინგლისში, მაღაროს მეპატრონეები ამ ერთი თვის განმავლობაში შესძლებენ სამუშაო ხელფასის მიცემას აპრილის განაკვეთით ყოველგვარ სუბსიდიების გარეშე.

როგის წინადადება წარმოადგენს პირველ დახევას იმ შეურყეველ პოზიციიდან, რომელიც აქამდის ეკავათ მაღაროს მეპატრონეებს, მაგრამ უსაფუძვლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ სამთამადნო მუშები მიიღებენ ამ წინადადებას.

გავრცელებულია ხმები, რომ მთავრობის აზრით, 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ მაღაროების ათი პროცენტი უნდა დაიხუროს სამუდამოთ, რითაც უმუშევრათ რჩება 50.000 მემაღაროე. ფიქრობენ, რომ ბალდუინს გადაწყვეტილი აქვს შეთანხმების მიღწევის შემდეგ, სანახშირო მრეწველობისათვის დაპირებული სუბსიდია 3 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით, გამოიყენოს უმუშევარ მაღაროს მუშებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ეკონომიური ურთიერთობა ინგლისთან

(ამხ. ძერჟინსკის განცხადება)

მოსკოვი, 2 ივლისი. საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ძერჟინსკიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ჩვენი ეკონომიური ურთი-ერთობის შესახებ ინგლისთან შემდეგი განაცხადა:

„**ჩერჩილის და ბირკენხედის სიტყვების ტონი და შინაარსი აშკარად ეწინააღმდეგება ინგლის-საბჭოთა მრეწველობის კავშირის განვითარებას და გაფართოების ფაქტს.**

საბჭოთა კავშირისათვის საწარმოო იარაღების და ნედლეულის მიწოდების საქმეში ინგლისის მრეწველობას ამჟამად პროპორციულად უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინემ ომამდე.

იმ ნედლი მასალის საერთო რაოდენობიდან, რომელიც 1913 წელს შემოზიდულ იქნა საზღვარ გარეთიდან, ინგლისზე მოდიოდა 14 პროც; ხოლო 1924—25 წ. — 19 ½ პროც. 1925—26 წელს ინგლისის ბაზრის მონაწილეობა ჩვენი მრეწველობისათვის საჭირო საწარმოვო იარაღების და ნედლეულის მიწოდებაში დაახლოებით 40 პროცენტს მიაღწევს.

1913 წელს შემოზიდულ საწარმოვო იარაღების საერთო რაოდენობიდან, რომელიც შეფასებული იყო 134 მილ. მანეთათ, ინგლისზე დაახლოებით მოდიოდა 6 მილ. მანეთი, რაც სულ 5 პროცენტს უდრიდა.

1924—25 წელს ინგლისის მონაწილეობა საბჭოთა კავშირისთვის საწარმოვო იარაღების მიწოდებაში 22 პროცენტს აღწევს.

1925—26 წელში მოხდენილ საწარმოვო იარაღების დაკვეთების საერთო თანხიდან ინგლისზე მოდის 25 პროცენტი. ეს შედეგები მიღწეულ იქნა მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისის მთავრობამ არ გაავრცელა საბჭოთა კავშირზე კანონი საექსპორტო კრედიტების შესახებ და ინგლისის ბანკები, როგორც სჩანს, ჩერჩილის სიტყვების ზეგავლენით, ხელს უშლიან მრეწველების ცდას გაასაღონ თავისი პროდუქცია საბჭოთა ბაზარზე. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, თუ რომ ეს ხელშემშლელი პირობები არ ყოფილიყო ინგლისის მონაწილეობა ჩვენთვის საწარმოვო იარაღების მიწოდებაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა.

ჩერჩილი აფრთხილებს ინგლისის მრეწველებს და ურჩევს მათ არ გააფართოვონ საბჭოთა დაკვეთებისათვის კრედიტის მიწოდება, რადგან, მისი აზრით, საბჭოთა ორგანოებმა შეიძლება ფული არ გადაიხადონ. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ **არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ საბჭოთა თამასუქით ინგლისს, ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს არ მიეღოს კუთვნილი თანხა მთლიანად.**

ჩვენ ამჟამად საკმაოდ მტკიცე კავშირი გვაქვს ინგლისის მრავალ მსხვილ ფირმებთან.

თუ რამდენათ კეთილ სინდისიერად ვასრულებთ ჩვენ ვალდებულებებს მოწმობს ის ფაქტი, რომ ინგლისის ყველა მსხვილი ფირმები, რომლებთანაც ჩვენ საქმე გვქონდა და გვაქვს, ამჟამად ყოველი ახალი გარიგების შემდეგ აფართოებენ და აუმჯობესებენ კრედიტის პირობებს.

საბჭოთა კავშირის 1925—26 წლის მეურნეობა თითქმის ომამდე არსებულ დონეს აღწევს. ევროპაში მხოლოდ საფრანგეთის და იტალიის მრეწველობა გასცილდა ომამდე არსებულ დონეს. მარტო ეს უკვე მოწმობს საბჭოთა კავშირის მტკიცე სამეურნეო მდგომარეობას.

მომავალ საოპერაციო წელს მრეწველობა, ეჭვს გარეშეა, უკან დასტოვებს ძველი რუსეთის საწარმოვო დონეს. ამ გარემოებას ანგარიშს უწევენ მთელი ქვეყნის საქმიანი წრეები.

იმის მტკიცება, რომ, თითქოს, ინგლისის ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან შეიძლება განვითარდეს სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების შემდეგაც, ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებულია, თუმცა აქ იმოწმებენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობას.

სინამდვილეში ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთი-ერთობა, ძლიერ ხელს უშლის კომერციულ ურთი-ერთობის განვითარებას, რომელიც მტკიცე და ფართე ნიადაგზე შეიძლება დაყენებულ იქნეს მხოლოდ ნორმალურ ხელშეკრულების არსებობის დროს, რაც აიძულებს ამერიკის საქმიანი წრეების ნაწილს მოითხოვოს საბჭოთა კავშირის ცნობა. კიდევ უფრო უარყოფითი მნიშვნელობა ექნებოდა უკვე არსებულ ურთი-ერთობის შეწყვეტას. თავი რომ დავანებოთ ურთი-ერთობის შეწყვეტის მძიმე პოლიტიკურ შედეგებს არა მარტო ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის თვალსაზრისით, არამედ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების თვალსაზრისითაც, ის სასიკვდილო ლახვარს ჩასცემდა აგრეთვე ინგლის-საბჭოთა კავშირის კომერციულ ურთი-ერთობას.

დასასრულ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც ნათელ ჰყოფს ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიის ერთ-ერთ მიზეზს. ეს ფაქტია ის წასისიანება და გააფთრებული კამპანია, რომელსაც აწარმოებდა ინგლისის პრესის ერთი ნაწილი რუსეთის ნავთის პროდუქტებით მოვაჭრე საზოგადოების წინააღმდეგ.

ჩვენ არასოდეს არ გვეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ამ საზოგადოების მუშაობა მაინც და მაინც არ მოსწონს მსოფლიო ნავთის ტრესტებს, რომელთაც სურთ მონოპოლია აილონ ინგლისის ბაზარზე. საზოგადოება ხელს უშლის ამ ტრესტებს ასწიონ ფასები ინგლისის ბაზარზე. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ნავთის პროდუქტების მომხმარებელი ინგლისში სრულებითაც არ არის დაინტერესებული ფასების აწევაში.

ამ ნავთის კონკურენციაში ხომ არ იმალება ჩვენი მტრების მოუთმენლობის მიზეზი? უკანასკნელ დროს ხომ პოლიტიკას ხშირად ნავთის სუნი უდის, ხოლო ნავთს კი—პოლიტიკის“.

პოლონეთის მთავრობის პროგრამა

ბრძოლა თბილ ადგილისათვის

ვარშავა, 1 ივლისი. ბრძოლა, რომელიც სწარმოებს ზნინსკის პოზნანის „ვოევოდის“ თანამდებობაზე დატოვებისათვის მწვავე ხასიათს იღებს. ბარტელმა პოზნანიდან მიიღო რამოდენიმე ასეული დეპეშა ზნინსკის თანამდებობიდან გადაყენების წინააღმდეგ. საკითხს ზნინსკის შესახებ, მინისტრთა საბჭო გადაწყვეტს.

ბრძოლა ამნისტიისათვის

ვარშავა, 2 ივლისი. მოეწყო ერთაშორისო კომიტეტი, რომელიც პოლიტიკურ ტუსაღთა ამნისტიისათვის იბრძვის.

კომიტეტში შედიან: ბელორუსების გრამადა, სეიმის კომფრაქცია, გლეხთა დამოუკიდებელი პარტია, დამოუკიდებელი სოციალისტები და სახალხო თავისუფლების პარტია.

ადგილებზე ეწყობა კომიტეტის განყოფილებანი.

კანონპროექტი მიაღებინეს

ვარშავა, 1 ივლისი. სენატის თავმჯდომარემ ნაციონალ-დემოკრატმა **ტრომპჩინსკიმ** გუშინდელი კამათი მთავრობის ბიუჯეტის გარშემო, წინასწარი განზრახვით შესწყვიტა.

დღეს იწყება ბიუჯეტის მეორე კვარტალი და მთავრობას, კონსტიტუციის თანახმად, არა აქვს უფლება რაიმე ხარჯები გასწიოს მეორე კვარტალის ბიუჯეტის დამტკიცებამდე. ამის გამო პრემიერმა **ბარტელმა** განუცხადა პრესის წარმომადგენლებს:

„მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს, რომ სენატმა არ შეასრულა ის ვალდებულებანი, რომლებსაც კონსტიტუცია აკისრებს მას; სენატმა თავის დროზე არ მიიღო ბიუჯეტი. ეს მაინც არ შეუშლის ხელს მთავრობას, რომ მიიღოს ზომები იმისათვის, რომ სახელმწიფო აპარატმა განუწყვეტლივ იმუშაოს“.

დღეს სენატმა მიიღო მთავრობის ბიუჯეტის პროექტი ყოველგვარ შესწორების გარეშე.

კლარნერის განცხადება

ვარშავა, 1 ივლისი. პოლონეთის ფინანსთა მინისტრმა **კლარნერმა** სენატში მოხსენება გააკეთა პოლონეთის მთავრობის ეკონომიურ პროგრამის შესახებ.

კლარნერმა განაცხადა, რომ მთავრობა პირველ რიგში დაეხმარება მიწათმოქმედებას და შემდეგ მრეწველობას. მთავრობა უმთავრესად ყურადღებას მიაქცევს მრეწველობის იმ დარგებს, რომელთა პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ექსპორტისათვის, ისე სახელმწიფოს შიგნით სახმარად, როგორც მაგალითად: სამთამადნო, მეტალურგიული და სატყეო მრეწველობა.

უმუშევრობის შესამცირებლათ, კლარნერის სიტყვით, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს დიდი მასშტაბით საზოგადოებრივი სამუშაოები.

კლარნერმა განაცხადა, რომ **საგარეო ვაჭრობის სფეროში პოლონეთის მთავრობა მზად არის განაახლოს ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა გერმანიასთან და საბჭოთა კავშირთან. ჩვენ დარწმუნებული ვართ**—სთქვა კლარნერმა—რომ საგარეო სავაჭრო ურთიერთობის ასეთი ნორმალიზაცია შეუმსუბუქებს ჩვენს მწარმოებლებს სასოფლო-მეურნეობის პროდუქციის გასაღებას დასავლეთში და ინდუსტრიის პროდუქციის—აღმოსავლეთში“.

შიში კომუნიზმის აჩრდილის წინაშე

ვარშავა, 2 ივლისი. პოზნანში მოხდა ნაციონალ-დემოკრატების ეროვნულ-სახალხო კავშირის საბჭოს გამგეობის თათბირი.

მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო გადატრიალებამ პოლონეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მორალური არევ-დარევა და პოლიტიკური დაბნეულობა“ გამოიწვია. გადატრიალებამ ხელი შეუწყო იმ ელემენტების გაძლიერებას, რომლებიც სოციალური რევოლიუციის გზით სცდილობენ, რომ სახელმწიფო შიგნიდან ააფეთქონ.

დასკვნაში რეზოლიუცია მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს და ყველა ორგანიზაციებს რესპუბლიკის დაცვისაკენ კომუნიზმის და ანარქიისაგან.

ნაციონალ-დემოკრატების ლიდერმა დმოვსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა:

„პოლონეთი, ევროპასთან ერთად, ისტორიულ შესვენებას განიცდის სოციალისტურ-კომუნისტურ და ნაციონალისტურ მართველობის სისტემათა გადამწყვეტი შეტაკების მომენტი სწრაფი ტემპით ახლოვდება. ამიტომ ნაციონალურმა ბანაკმა მთელი თავისი ძალები უნდა დარაზმოს და შეჰკრიბოს აქტიური ელემენტები მოსალოდნელ საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

თათბირმა დაადასტურა ნაციონალ-დემოკრატების მიერ სეიმში წარმოდგენილი კონსტიტუციის შეცვლის პროექტი და რამდენიმე შესწორება შეიტანა მასში.

კოოპერაციის როლი დღეს

საბჭოთა კავშირში კოოპერაცია დღითი-დღე იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. არც შეიძლება, რომ სხვანაირათ იყოს, რადგან სოციალისტურ მშენებლობაში მეტად დიდი როლი აქვს კოოპერაციას მიკუთვნებული.

დავიწყოთ იქიდან, რომ კოოპერაცია არის დამაკავშირებელი რგოლი სახელმწიფო მრეწველობასა და გლეხების მეურნეობის შორის, საქონლის გამტარებელი მწარმოებელიდან მომხმარებლამდე.

წარმოების საკითხი ძირითადი საკითხია ყოველ წყობილებაში და განსაკუთრებით კი ჩვენს, საბჭოთა წყობილებაში, როდესაც გეგმიანი მუშაობა პირველ ადგილზე დგება.

საწარმოვო ძალთა განვითარება, წარმოების რაციონალურად დაყენება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა და სხვა ასეთი კითხვები ჩვენს წინაშე დგანან როგორც დღიური საჭირბოროტო კითხვები და დღითი-დღე იწვევენ თავისადმი გაცხოველებულ ინტერესს.

მაგრამ ყველა ეს კითხვები საბოლოოთ ადგებიან და არ შეიძლება არ მიადგენ წარმოების რეალიზაციის საკითხს, რადგან თუ ეს საკითხი სათანადოთ არ არის მოგვარებული, თუ სამრეწველო პროდუქტების გასაღება უზრუნველყოფილი არ არის, უეჭველათ ადგილი ექნება თვით წარმოების შეფერხებას და ყოველივე ცდა წარმოების გაუმჯობესებისაკენ მიმართული მიზანს ვერ მიაღწევს.

სწორედ აქ, ნაწარმოების გასაღების საქმეში ეძლევა კოოპერაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა. თავისთავად ნაწარმოების რეალიზაცია, გასაღება არ სწყვეტს საკითხს სახელმწიფო მრეწველობისათვის; მისთვის სულ ერთი არ არის ვინ იქნება ამ რეალიზაციის მომხდენი, ნაწარმოების გამსაღებელი, მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მისი გამტარებელი: იქნება ეს კერძო კაპიტალი, ჩარჩი და სპეკულიანტი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ წყობილების დროს და ნაწილობრივათ ადგილი აქვს დღესაც, ჩვენს წყობილებაში, თუ, პირიქით, ეს დამაკავშირებელი რგოლი იქნება კოოპერაცია, თვით მუშების და გლეხების, მაშასადამე, იმავე მწარმოებელთა ორგანიზაცია, სავსებით დამყარებული თავის წევრთა კოლექტიურ თვითმოქმედებაზე.

პირველ შემთხვევაში ჩვენ ვერ ავიცილებდით თავიდან იმ საშიშროებას, რომ კერძო კაპიტალის როლი გაიზრდებოდა, მომხმარებელს თავის გავლენის ქვეშ დააყენებდა და აქედან თავის გამათახსირებელ მიდრეკილებას შეიტანდა თვით წარმოების სფეროშიაც. მეორე შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა კოოპერაციის ზრდა, ხოლო კოოპერაციის ზრდა ჩვენს პირობებში არის სოციალიზმის ზრდა.

მაშასადამე სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოებთა გამსაღებელი, ამ მრეწველობის სოფლის მეურნეობასთან დამაკავშირებელი არის და არ შეიძლება არ იყოს კოოპერაცია.

უკვე აქედან ვადგებით შემდეგ, მეტათ მნიშვნელოვან გარემოებას. რაკი სახელმწიფო მრეწველობა დაუკავშირდა სოფლის მეურნეობას, ამით ამ უკანასკნელმაც ფეხი შედგა სოციალისტურ მეურნეობ. სფეროში. დაქუცმაცებული, ცალ-ცალკე მეურნეობანი იძულებული არიან ეძებონ ერთმანეთთან დამაკავშირებელი ძაფი და მიიღონ თავის სამოქმედო გეზათ სახელმწიფო მრეწველობის დამახასიათებელი თვისება—გეგმიანი მუშაობა. გაცილებით უფრო მძიმეთ, მაგრამ საბოლოვოთ სოფელიც უნდა გადავიდეს გეგმიან. საზოგადოებრივ - სოციალისტურ მეურნეობაზე. ეს გადასვლა კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ კოოპერაციის საშუალებით.

მსხვილი მრეწველობის სფეროდან განდევნილი კერძო კაპიტალი ადვილათ აფარებს თავს წვრილ წარმოებაში და კიდევ თამაშობს შედარებით მნიშვნელოვან როლს სოფლის სამეურნეო ურთიერთობაში. **ბრძოლა კერძო კაპიტალთან, მეტადრე სოფლის კულაკთან, წარმოადგენს კოოპერაციის პირდაპირ დანიშნულებას და არც არსებობს სხვა ძალა, რომელმაც კოოპერაციის ეს როლი შეასრულოს.** ღარიბ მეურნეობებს მხოლოდ შეკავშირების გზით შეუძლიათ გაუმკლავდენ კულაკთა მეურნეობის დამჩაგვრელ შედეგებს.

საშუალო გლეხობის და ღარიბთა ინტერესების დაცვა ამავე დროს ნიშნავს მათი კავშირის გამტკიცებას მუშათა კლასთან. მუშათა კლასმა უნდა შეინარჩუნოს ხელმძღვანელის, ჰეგემონის როლი როგორც რევოლიუციაში, ისე სახელმწიფოებრივ-სამეურნ. მშენებლობაში. ამაშია გარანტია, რომ სოციალისტური ხაზი სისწორით იქნება გატარებული. მაგრამ ამ ხაზის სოფლად გატარება, სოფლის მცხოვრებთა სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა ხდება და შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმავე კოოპერაციის საშუალებით.

თითქმის ყველა პოლიტიკური და ეკონომიური მომენტები საბოლოვოთ ამტკიცებენ კოოპერაციის როლს, როგორც სოციალისტური მშენებლობის აუცილებელ პირობას.

მაგრამ წმინდა ტეხნიკურათაც რომ გავშინჯოთ, კოოპერაციის როლი აქაც შეუდარებელია. გლეხის მეურნეობის ტეხნიკისა და ეკონომიკის მაღლა აწევა, შრომის ნაყოფიერების ზრდა და ახალ სამეურნეო საფუძველზე გადასვლა შესაძლოა მხოლოდ სოფლად ახალი გაუმჯობესებული ტიპის იარაღების შეტანით, პატარა და საშუალო ტიპის მანქანათა შემოღებით და ამ ნიადაგზე მეურნეობათა კოოპერატიულათ შეკავშირებით.

საბოლოვოთ ყოველივე ეს აუმჯობესებს როგორც მუშების, ისე გლეხების ყოფა-ცხოვრებას და კოოპერაციის საშუალებით გზას უწმენდავს მას სოციალიზმისაკენ.

მ. ტოროშელიძე.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე დასავლეთ ევროპაში

კოოპერაციის საერთაშორისო დღის დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ როგორც კოოპერატივების რევოლიუციონური მასები, ისე რეფორმისტი-კოოპერატორები, ერთიც და მეორეც სცნობს ამ დღის მნიშვნელობას, მაგრამ, რასაკვირველია, თვითეული მათგანი სხვადასხვა შინაარსს სდებს მასში.

რევოლიუციონური — კოოპერატორები კოოპერაციის საერთაშორისო დღეს ცხადყოფენ მთელი მუშათა კლასის სოლიდარობას, იყენებენ ამ დღეს კოოპერატიულ მოძრაობისა, მუშათა პარტიებისა და პროფკავშირების ერთიანი ფრონტის აუცილებლობის პროპაგანდისათვის, მოუწოდებენ ბრძოლისაკენ კაპიტალის შემოტევის, სამუშაო ხელფასის შემცირების, სამუშაო დღის გადიდების, სიძვირის, საომარ შეიარაღების, ფაშიზმის წინააღმდეგ; ერთი სიტყვით, რევოლიუციონურ — კოოპერატორებს სურთ, რომ კოოპერაცია გახდეს პროლეტარულ მასების ინტერესების დამცველ ნამდვილ იარაღად, სოციალიზმის დასამყარებელ იარაღად.

აი რა ნაირ მიზნებს ისახავენ რევოლიუციონური — კოოპერატორები და კოოპერაციის საერთაშორისო დღეს ისინი გამოიყენებენ ამ ლოზუნგების ფართო აგიტაციისათვის. ჩვენი ამხანაგები ყოველივე ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ ფართო მასებს გაუღვიძონ ინტერესი კოოპერაციისადმი და ჩაუნერგონ მათ იმის შეგნება, რომ რევოლიუციონური—კოოპერატორები კოოპერატივებს სთვლიან მუშათა ორგანიზაციებად, რომელნიც მოწოდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროლეტარიატის ბრძოლაში.

როგორც აღვნიშნეთ, რეფორმისტი—კოოპერატორებიც დღესასწაულობენ [illegible] საერთაშორისო დღეს, მაგ[illegible] ვერაფერს ვერ ეტყვიან ამ დღეს ფართო მასებს, ვინაიდან რეფორმისტებს არ სურთ კოოპერაციის მონაწილეობა კლასიური ბრძოლაში და აცხადებენ, რომ კოოპერაცია პოლიტიკურად ნეიტრალური უნდა დარჩეს. რეფორმისტი—კოოპერატორები განზე დგანან მშრომელთა ბრძოლისაგან, ამიტომ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს რეფორმისტი — კოოპერატორები იყენებენ ერთა ლიგის და სოციალ - დემოკრატიის ლოზუნგების პროპაგანდისათვის და კოოპერაციაში თავისი ახალი წევრების შესაკრებად. კოოპერაციის საერთაშორისო დღის სამმა წინანდელმა დღესასწაულმა ცხადყო, რომ ამ უკანასკნელ ლოზუნგების ფართო მასები საკმაოდ გულგრილად ხვდებიან, რომ ეს უტოპიური და პაციფისტური ლოზუნგები მშრომელებზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენენ. რეფორმისტებმა მოახერხეს ის, რომ ფართო მასები კოოპერატიულ მოძრაობას სავსებით გულგრილად უყურებენ და კოოპერატივებს მხოლოდ **წმინდა კომერციულ დაწესებულებებად სთვლიან.**

იმის დასამტკიცებლად, რომ რეფორმისტულმა კოოპერატივებმა მართლაც დაჰკარგეს ნამდვილ კოოპერატიული ორგანიზაციების ხასიათი, საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ ინგლისში გამოცხადებულ საყოველთაო გაფიცვის დროს საბითუმო შესყიდვათა კოოპერატიულმა საზოგადოებამ უარი სთქვა გაფიცულებისა და მათი ოჯახებისათვის სურსათ-სანოვაგის და პირველი მოთხოვნილების საგნების მიწოდებაზე.

წავიდა ის დრო, როცა დასავლეთ-ევროპის კოოპერატიული მოძრაობა გაფიცვების, პოლიტიკურ რეპრესიების, [illegible] დროს ეხმარებოდა მშრომელებს, აწვდიდა მათ სურსათ-სანოვაგეს, უგზავნიდა ფულს, უთმობდა მათ კოოპერატივების შენობებს და სხვ.

იმის გამო, რომ დასავლეთ-ევროპის კოოპერატიულმა მოძრაობამ დაივიწყა თავისი ისტორიული ამოცანები, ფართო მასებმაც გული აიცრუეს მასზე.

ეხლა, როდესაც დასავლეთ-ევროპაში კვლავ შეიქმნა ეკონომიური კრიზისი და ტრესტების, სინდიკატების, სავაჭრო კონცერნების და ბანკების ძლიერება კოოპერატიულ ორგანიზაციებთან შედარებით დღითი-დღე იზრდება, რეფორმისტული ბიუროკრატია, რომელიც გრძნობს, რომ ფეხთ ქვეშ ნიადაგი ეცლება, ფიქრობს კიდევ „დასძლიოს“ კრიზისი და დააქვეითოს სავაჭრო კონცერნების უპირატესობა კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობის რაციონალიზაციის გზით და ყოველივე ზომებს ღებულობს კოოპერატივების პროდუქციის გასაიაფებლად. მაგრამ სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ მარტო სავაჭრო მეთოდების რაციონალიზაციით არაფერი გაკეთდება და რომ დასავლეთ-ევროპის კოოპერატიული მოძრაობის სახსნელად არსებობს ერთად-ერთი გზა: **დაბრუნება წინანდელ კოოპერატიულ პრინციპებისაკენ, დაბრუნება კლასიურ ბრძოლისა და პროფკავშირებთან და პროლეტარულ პარტიებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ და მათთან გაერთიანებული ღონისძიებებით ბრძოლა მშრომელთა ინტერესებისათვის და კაპიტალისტურ სისტემის დამხობისათვის.**

ასეთი მოთხოვნებით უნდა ჩატარდეს წელს კოოპერაციის საერთაშორისო დღე.

ე. ვარიაში.

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა
ივლისისათვის

უკანასკნელი ცნობები

მხოლოდ სამი დღით

ბერლინი, 2 ივლისი. კანადის ახალი კონსერვატიული მთავრობა, რომელმაც მხოლოდ ხამი დღე იარსება, ლიბერალების ხმებით იქმნა გადაყენებული.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ხელისუფლების სათავეში მდგომმა კონსერვატორმა—მინისტრებმა კონსტიტუცია დაარღვიეს, ვინაიდან მათ დაიწყეს თავიანთი მოვალეობის შესრულება მანამ, სანამ ხელმეორედ აირჩევდენ.

გერმანია-შვეციის ხელშეკრულება

ბერლინი, 2 ივლისი. რეიხსტაგის სავაჭრო პოლიტიკურმა კომისიამ დაამტკიცა გერმანია-შვეციის სავაჭრო შეთანხმება.

კონფერენცია კოვნოში

ბერლინი, 2 ივლისი. ლიტვის პრემიერმა მოიწვია რეზიდენტები, მათ რიცხვში ბერლინისაც, კონფერენციაზე კოვნოში საგარეო პოლიტიკის საკითხების განსახილველად.

ანაზღაურების კანონ-პროექტი არ გვინდა

ბერლინი, 2 ივლისი. კანცლერმა მარქსმა უკან წაიღო ყოფილ თავადთათვის ანაზღაურების მიცემის შესახებ კანონ-პროექტი მესამე წაკითხვის დროს იმის შემდეგ, როცა სოციალისტებისა და კონსერვატორების წარმომადგენლებმა მის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

მარქსმა განაცხადა, რომ რეიხსტაგი არ იქნება დათხოვნილი.

რეიხსტაგმა უკან დააბრუნა კანონ-პროექტი. კანონ-პროექტის დაბრუნებას ხმა მისცა 383 დეპუტატმა 17-ის წინააღმდეგ და 97 თავი შეიკავა. ამის გამო ანაზღაურების მიცემის შესახებ ყოველგვარი პროცესები შეჩერებულ იქნება ამ წლის დასასრულამდე.

საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება

ლონდონი, 2 ივლისი. წინადადება საგანგებო წესების გაგრძელების შესახებ მიღებულ იქნა თემთა პალატის მიერ 244 ხმით 82-ის წინააღმდეგ.

კამათში გამოვიდა ჩერჩილი, რომელმაც განაცხადა, რომ გაფიცვებთან შეთანხმების მიღწევა შეიძლება ან სარაიონო ხელშეკრულებათა დადებით ან და ორივე მხრის მოლაპარაკებით მას შემდეგ რაც ცხოვრებაში იქნება გატარებული კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

ბრიანის კაბინეტს წყალი შეუდგა

ამერიკის იმედი აქვთ

პარიჟი, 1 ივლისი. რადიკალური გაზეთები წინააღმდეგი არიან კაიოს მიერ შემუშავებულ გეგმის, რომლის მიხედვით ფრანკის სტაბილიზაცია ამერიკის ბანკირების დახმარება უნდა მოხდეს.

გაზეთები ფიქრობენ, რომ ეს დახმარება საფრანგეთს მეტად ძვირი დაუჯდება.

ნაციონალისტური „ეკო დე პარი" ფიქრობს, რომ 6 ივლისს საფინანსო პროგრამის განხილვის დროს მოსალოდნელია კაბინეტის დაცემა, თუ კაიომ არ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ფინანსიურ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს საფრანგეთის საგარეო ვალების მოწესრიგება.

ამერიკა კი უარს ამბობს

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. შეერთებულ შტატების საბანკო წრეებში და ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ არ შეიძლება შეცვლილ იქნეს შეთანხმების პირობები საფრანგეთის ვალის მოწესრიგების შესახებ და რომ საფრანგეთი ვერ მიიღებს სესხს, სანამ არ იქნება დამტკიცებული ხელშეკრულება და ფრანკის კურსი არ განმტკიცდება ოქროს პარიტეტის მიხედვით.

„ნიუ-იორკ ტაიმს"-ის ცნობით, ბანკირები არ მისცემენ საფრანგეთს სესხს, სანამ არ განმტკიცდება ფრანკის კურსი და საფრანგეთის კაპიტალისტები უკან არ წაიღებენ უცხოეთის ბანკებიდან იმ ვალიუტას, რომელიც მათ იქ გადაიტანეს თავისი კაპიტალის გადასარჩენად.

მუშების მიტინგები

პარიჟი, 1 ივლისი. 4 ივლისს საფრანგეთის სამთამადნო მუშების უნიტარული კონფედერაცია ქალაქის სამრეწველო რაიონებში აწყობს მთელ რიგ მიტინგებს, რომელზედაც განხილულ იქნება საკითხი ინგლისის სამთამადნო მუშებისათვის დახმარების გაგზავნის შესახებ.

გერმანიის კომპარტიის მოთხოვნილება

ბერლინი, 1 ივლისი. გუშინ გერმანიის კომპარტიამ და კუჩინსკის კომიტეტმა ბერლინში, მასიურ მიტინგების ცენტრალურ ადგილას გამართეს დემონსტრაცია. რომელშიაც მონაწილეობა მიიღო **50.000 მუშამ**. ორატორები ლაპარაკობდენ 8 ადგილას. სოციალისტების სახელით ილაპარაკა ლედებურმა.

ყველა ორატორები მოითხოვდენ ყოფილ მონარქთა ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ ბრძოლის განგრძობას პარლამენტის გარეთ და სასტიკათ ილაშქრებდენ გერმანიის სოც. დემოკრატიის პოზიციის წინააღმდეგ. მთელ რიგ დელეგაციებმა, მათ რიცხვში ქალების ექვსმა დელეგაციამ სოციალ-დემოკრატების, დემოკრატიული პარტიის და ცენტრის უპარტიო მიმდევართა მონაწილეობით, რეიხსტაგის ამ ფრაქციებს წარუდგინეს მოთხოვნილება რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ; ისინი აგრეთვე მოითხოვდენ ყოფილ მონარქთა ქონების ანაზღაურების საკომპრომისო კანონის უარყოფას.

ცენტრის, დემოკრატების და სოციალ დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები გაურბოდენ დელეგაციებთან შეხვედრას, ან გაურკვეველ პასუხს იძლეოდენ. განსაკუთრებით პროვოკაციულ პოზიციას ადგენ რეიხსტაგის სოც. დემოკრატი დეპუტატები.

მასების ზეგავლენით

ბერლინი, 1 ივლისი. რეიხსტაგის სოციალ - დემოკრატიულმა ფრაქციამ დაადგინა, რომ წინააღმდეგ მისცეს ხმა ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების ანაზღაურების შესახებ მთავრობის კანონ-პროექტს, მესამედ წაკითხვის დროს. ამის გამო, კანონ-პროექტის მიღებას შეუძლებლად სცნობენ. სოციალდემოკრატები რეიხსტაგის დათხოვნას მოითხოვენ.

ბალტიის მხრის სოციალისტები

ბერლინი, 2 ივლისი. ესტონეთის, ლატვიის და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერების კონფერენციაზე რიგაში მიცემულ იქნა დირექტივები საბჭოთა კავშირთან მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამყარებისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

არგენტინა და ერთა ლიგა

ბერლინი, 2 ივლისი. არგენტინის პარლამენტი გაიხსნა პრეზიდენტ დეალვეარის მიმართვით. მიმართვაში ლაპარაკია იმ დაბნეულ გზაზე, რომლითაც მიდიოდა პარლამენტის ზოგიერთ საკითხების გადაწყვეტის დროს, კერძოდ არგენტინის ერთა ლიგაში უკან დაბრუნების საკითხის განხილვის დროს.

კულიჯის მარცხი

ნიუ-იორკი, 2 ივლისი. შეერთებულ შტატების სენატმა ამ დღეებში უარჰყო კანონ-პროექტი მთავრობის მიერ შეერთებულ შტატებიდან მარცვლეულის გატანისათვის სუბსიდიის მიცემის შესახებ; ამ კანონპროექტის კენჭის ყრის დროს რესპუბლიკანურ პარტიაში მოხდა განხეთქილება; დეპუტატების ნაწილმა კანონპროექტს მისცა ხმა.

ფერმერების დამშვიდების მიზნით კულიჯი გამოვიდა ახალი წინადადებით, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის მიერ ფერმერების კოოპერატივებისათვის კრედიტის მიცემას.

სენატმა, მიუხედავათ იმისა, რომ კულიჯმა მხარი დაუჭირა ახალ კანონპროექტს, დიდი ხმის უმრავლესობით უარჰყო იგი. კანონ-პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს დემოკრატების უმრავლესობამ და რესპუბლიკანურ პარტიის 21 დეპუტატმა; 23 რესპუბლიკანელმა — დეპუტატმა კანონ-პროექტს მისცეს ხმა.

კანონპროექტის წინააღმდეგ გამოსული დეპუტატები აღნიშნავდენ, რომ კულიჯის წინადადება, რომელსაც გარეგნულად თითქოს მიზნად აქვს დასახული ფერმერებისადმი დახმარება, ნამდვილად ფერმერების კოოპერატივების მოსპობამდე და სუბსიდიის სპეკულიანტებისათვის მიცემამდე მიგვიყვანსო. ზოგიერთმა კონსერვატიულმა დეპუტატმა და აღმოსავლეთ სამრეწველო შტატების რესპუბლიკანელმაც კი მისცეს ხმა კულიჯის წინადადების წინააღმდეგ.

გენერლების შეთქმულება

პარიჟი, 1 ივლისი. პირველ ცნობებში ესპანეთის მეფეზე თავდასხმის მოწყობის შესახებ, ესპანეთის მთავრობა ცდილობდა შეთქმულების ორგანიზატორებად კომუნისტები გამოეყვანა.

ეხლა გამოქვეყნებულია ცნობა, რომლიდანაც სჩანს, რომ თავდასხმას აწყობდენ გენერლები ვეილერი და აგვილერა.

ცდა, ოფიციალურ ცნობის თანახმად, მარცხით დამთავრდა. გენერალი აგვილერა დამწყვდეულია მადრიდის ციხეში, გენერალი ვეილერი კი, მოხუცებულობის გამო, დატოვებულია მეთვალყურეობის ქვეშ.

მეორე ცნობის თანახმად, ესპანეთის მთავრობამ შეთქმულებასთან დაკავშირებით მოახდინა მრავალი დაპატიმრება. დაპატიმრებულია 30-მდე სამხედრო პირი.

ცენტროკავშირის ვაჭრობა ბელგიაში

პარიჟი, 1 ივლისი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ბელგიის „მრეწველობის საკრედიტო კომიტეტმა" დაადგინა დააკმაყოფილოს ბელგიის ექსპორტიორების მოთხოვნილება, რომლის თანახმად ცენტროკავშირის განყოფილების თამასუქებს მიეცემათ ისეთივე მსვლელობა, როგორც ბელგიის სხვა თამასუქებს.

აღმოსავლეთის ცხოვრება

იაპონიაში

ტოკიო, 2 ივლისი. კოკუსაის სააგენტო იუწყება: პრინცმა კანინმა, რომელიც რუსეთ-იაპონიის ასოციაციის სხდომას თავმჯდომარეობდა, განაცხადა, რომ საჭიროა იაპონია-საბჭოთა ვაჭრობის განვითარება და ორთავე მხარის შორის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცება.

სხდომას დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი ამხ. კოპი, რომელიც საპასუხო სიტყვით გამოვიდა, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იანსონი და სხ.

ჩინეთში

პეკინი, 2 ივლისი. ტიან-ძინში დაბრუნებული ჩან-ძო-ლინი იქ დარჩება რამოდენიმე ხანს. საერთო აზრის მიხედვით, მისმა შეხვედრამ უ-პეი-ფუსთან არავითარი შედეგი არ გამოიღო.

სახალხო არმიამ, იმის გამო, რომ უ-პეი-ფუს შეტევას ელის, შეანელა თავისი წინსვლა შან-სის პროვინციისაკენ და ზომებს იღებს უ-პეი-ფუს შეტევის მოსაგერიებლად.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკთა ინტერნაციონალი

მოსკოვი, 2 ივლისი. მოსკოვში დაბრუნდენ ს. ს. ს. რ-ის ქსელის მუშაკების კავშირის დელეგატები: იაგლომი და კარახანოვი. ისინი დაესწრენ ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მუშაკთა ინტერნაციონალის აღმასკომის სესიას ლიეჟში—19—20 ივნისს. ინტერნაციონალის აღმასკომმა საბჭოთა დელეგატების წინადადებაზე, რათა ს. ს. ს. რ-ის ქსელის მუშაკების კავშირი მიღებულ იქნას ინტერნაციონალში, შემდეგი ოფიციალური პასუხი გასცა:

„რადგან ეს საკითხი ფრიად-მნიშვნელოვანია, აღმასკომს შეუძლებლად მიაჩნია, თავისთავზე აიღოს პასუხისმგებლობა ამ საკითხის გადაწყვეტისათვის. ამიტომ ის მას განსახილველად გადასცემს ინტერნაციონალის კონგრესს, რომელიც პარიზში უნდა შესდგეს 1926 წლის სექტემბერში".

საბჭოთა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი უკმაყოფილონი არიან ამგვარი დიპლომატიური პასუხით და განიხილავენ ამ მდგომარეობას კავშირის ცე-კას მორიგ პლენუმზე, რომელიც უნდა შესდგეს 15 ივლისს.

ქემალ ფაშას დეპეშა კალინინს

მოსკოვი, 2 ივლისი. იმ მისალოცი დეპეშის საპასუხოთ, რომელიც ამხ. კალინინმა ოსმალეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ქემალ-ფაშას გაუგზავნა მისი საფრთხიდან გადარჩენის გამო, ქემალ-ფაშიდან მადლობის დეპეშა მიიღო.

ნორვეგიის რკინისგზელთა კონგრესი

მოსკოვი, 2 ივლისი. დაბრუნდა რკინისგზელთა კავშირის ცეკას მდივანი ანდრეიჩიკი, რომელიც მონაწილეობას იღებდა, ნორვეგიის რკინისგზელთა კონგრესის მუშაობაში, ტრონტენში (ნორვეგია).

ანდრეიჩიკმა ორჯერ ილაპარაკა კლასიური სოლიდარობის შესახებ. მის გამოსვლას განსაკუთრებული თანაგრძნობით შეხვდენ.

რკინისგზელთა კავშირის თავმჯდომარემ ალბერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებლათ საჭიროა ნორვეგიის რკინისგზელებმა გააგზავნონ მრავალრიცხოვანი დელეგაცია ტრანსპორტის მუშაკთა მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე და მოითხოვონ ს. ს. რ. კ-ის რკინისგზელთა კავშირის ჩარიცხვა საერთაშორისო გაერთიანებაში.

სახაზინო ბონების შეცვლა

მოსკოვი, 2 ივლისი. კავშირის ფინსახკომი საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმათ აცხადებს რომ, ფინსახკომის სალაროებში და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, დროებით—სახაზინო ბონების (მანეთიდან—15 კაპეიკამდე), ტრიალის, მიღების და გაცვლის ვადათ ნიშნავს 1926 წლის 31 აგვისტოს.

სავაჭრო ხელშეკრულება

მოსკოვი, 2 ივლ. „ცენტრო-სოიუზი" მოლაპარეკებას აწარმოებს ნავთის სინდიკატთან სავაჭრო ხელშეკრულების გამომუშავების შესახებ, რომლის მიხედვით ნავთი უნდა მიეწოდოს სამომხმარებლო კოოპერაციას 1926-27 წელში. ნავთის სინდიკატი აყენებს მოთხოვნილებას, რომ მიმდინარე წელში არსებული ხელშეკრულების მიხედვით დაწესებული გადახდის ვადები შემცირდეს: რაიკავშირისათვის 75-დან—50 დღემდე, სასოფლო ქსელისათვის—45-დან 30 დღემდე, ქალაქისათვის—30-დან 15 დღემდე.

„ცენტროსოიუზი" თავის მხრივ მოითხოვს გადახდის ვადების გადიდებას. ორთავე მხარის წინადადებათა შესათანხმებლად და ტიპიურ ხელშეკრულების პირობათა განსახილველად საკითხი გადატანილ იქნება საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატში და საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

იტალიელ მეზღვაურებს საბჭოთა კლუბში შესვლას უკრძალავენ

ოდესა, 2 ივლისი. იტალიის „ლოიდ ტრიესტინოს" კომპანიამ ტრიესტ-მარსელის ხაზზე გაუშვა ახალი გემი „ლეოპოლსი", რომელიც ამჟამად ოდესის ნავთსადგურში იმყოფება.

გემის მხედრობას ბრძანება აქვს მიცემული, რომ საბჭოთა ნაპირებზე ყოფნის დროს არ ინახულონ საბჭოთა კლუბები. ამავე დროს გაფრთხილებულნი არიან, რომ იტალიაში მისვლის დროს, ყოველი მეზღვაური, რომელიც ამ ბრძანებას არ შეასრულებს დათხოვნილი იქნება სამსახურიდან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

სოციალური ჰიგიენის მუზეუმი

ბაქო, 2 ივლისი. სახელმწიფო გეგმის კომისიამ შესაძლებლათ დაინახა, რათა 1926-27 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანოს ყველა ის ხარჯები, რომელიც საჭიროა აზერბეიჯანის სოციალურ ჰიგიენის მუზეუმის მოსაწყობათ.

მცხოვრებთა რიცხვი

ბაქო, 2 ივლისი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, 1926 წლისთვის, აზერბეიჯანის მაზრებში ითვლებოდა 1,626,825 სული სოფლის მცხოვრებლებისა; 332,523 მეურნეობით.

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი

(საუბარი სპარსეთის კონსულთან თბილისში — ბ. ფახიმისთან)

დღეს სრულდება ორი წელიწადი სავაჭრო ხელშეკრულების დადებიდან სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ამის გამო სპარსეთის კონსულმა თბილისში ბ. ფახიმიმ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— მეგობრობის ხელშეკრულება, რომელიც დადებული იქნა სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის 1921 წელს მოსკოვში, ითვალისწინებდა სავაჭრო ხელშეკრულების დადებას ამ ქვეყნებს შორის; ხელშეკრულების დადების მიზანი იყო ორივე ქვეყნის შორის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება და მოწესრიგება.

მუშაობა ამ მიმართულებით დამთავრდა 1924 წლის ივლისში სავაჭრო ხელშეკრულების დადებით სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელსაც ხელი მოაწერეს თეირანში. სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზაკაი-ოლ-მოლკმა და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა შუმიაცკიმ.

სამწუხაროდ ეს ხელშეკრულება მეჯლისის გადაუდებელ საკანონმდებლო მუშაობით დატვირთვის გამო, აქამდე არ არის დამტკიცებული. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ სავაჭრო ხელშეკრულება ფორმალურად არ არის დამტკიცებული მეჯლისის მიერ, მისმა დადებამ მაინც ხელი შეუწყო ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას და გაადვილებას სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის; ეს ურთიერთობა თანდათან ვითარდება.

აღვნიშნავ რა სრული კმაყოფილების გრძნობით ფაქტს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური დაახლოვებისა სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლო ხანში ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება მეშვიდე მოწვევის მეჯლისის მიერ, რომელიც ამ დღეებში შეიკრიბება თეირანში.

ი.

პარტიული ცხოვრება

სენაკის ქალაქის ორგანიზაციაში

ქ. სენაკში არსებობს კომპარტიის 4 უჯრედი, რომელშიაც ირიცხება 120-მდე წევრი და კანდიდატი. მათში მხოლოდ 8 ქალია. ქ. ორგანიზაციას უშუალოდ ხელმძღვანელობს ქ. ბიურო, რომელიც სამკომის პრეზიდიუმის დადგენილებით არჩეული იქნა 1925 წლის ბოლო რიცხვებში.

ზამთრის პერიოდში ხდებოდა სხდომები: ცალკე უჯრედების ორჯერ, ხოლო გაერთიანებული ერთჯერ. ზაფხულის პერიოდში სხდომების რიცხვი შემცირდა. ცალკე უჯრედების და გაერთიანებული სხდომები იწვევა თვეში თითოჯერ. გაერთიანებული სხდომებში მონაწილეობას ღებულობს კომკავშირის ქ. ორგანიზაცია, საერთო კრების დღის წესრიგს იმუშავებს ქ. ბიურო და ამისათვის გამოყოფს საამისოდ სათანადოთ მომზადებულ ამხანაგს.

დღემდე გარჩეულია საკითხები მე-14 პარტყრილობის შედეგები. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და სხვა.

ქალაქად ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა საფეხურის პოლიტ-ცოდნის სკოლები. გაზაფხულის პერიოდში სკოლებში მეცადინეობა შეწყვეტილია.

ქ. ორგანიზაციის წევრები ჩაბმულნი არიან სხვადასხვა ორგანიზაციებში—კომისიებში სამუშაოდ. უჯრედები ხელმძღვანელობენ: საბჭოთა პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოებს. უნდა აღინიშნოს ქ. ორგანიზაციის სუსტი მონაწილეობა და ხელმძღვანელობა ნებაყოფლობით საზოგადოებებზე: წერკუმსი, რემდასი, ავია-ქიმის და სხვა, რაც აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი ამხ. ამხ. გულგრილად ეპყრობიან და მოვალედ არ გრძნობენ თავს მონაწილეობა მიიღონ ამ საზოგადოებათა მუშაობაში. საჭიროა მეტი ყურადღება ამ საზოგადოებებისადმი, რათა არსებული მდგომარეობა გამოსწორდეს.

მ. ბ—ა.

საქონლის სადგურის უჯრედში

(ლენრაიკომი)

საქონლის სადგურის მესამე კომუჯრედი აერთიანებს სულ 98 წევრს მათ შორის 38 კანდიდატია, ხუთი ქალი.

ბიურო ხელმძღვანელობს საშეფო საზოგადოებას, რომელიც თავის ორგანიზაციაში აერთიანებს 292 წევრს, „ავიაქიმი" აერთიანებს 250 წევრს, „წერკუმსი" აერთიანებს 247 წევრს, და „რემდასი" აერთიანებს 197 წევრს.

ცალკე საზოგადოებებში აქტიური მუშაობა გაჩაღებული, იკრიბება სისტემატიურად საწევრო გადასახადი. შუქდება სპეციალურად მოწვეულ ლექტორების მიერ ესა თუ ის საკითხი და სხვა.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების საქმეს. ბიურომ ჩაატარა აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია: აქტიურ ხელმძღვანელობას უწევს კომუჯრედის ბიურო ახალგაზ. კომკავშირის უჯრედსაც საქონლის სადგურში, რომელიც აერთიანებს 49 წევრს და 5 კანდიდატს.

კომკავშირში ერთხანს ადგილი ჰქონდა უდისციპლინობას, რასაც თავის დროზე მიექცა ყურადღება და რამდენიმე წევრის კავშირიდან გარიცხვით უწესრიგობა აღმოფხვრილი იქნა. იყო შემჩნეული პასიობა ზოგიერთ კომკავშირელთა შორის. ორი კომკავშირელი (1921 წლიდან) გავიდა კომკავშირის უჯრედიდან.

ვერ ექცევა სათანადო ყურადღება კომკავშირელთა წინწაწევის საქმეში, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება და ღირსეული კომკავშირელნი წამოყენებულ უნდა იქნან სხვადასხვა სამუშაოზე.

აქ არსებობს პირველი და მეორე საფეხურის პოლიტწრე, სადაც სისტემატიური მეცადინეობა გაჩაღებული.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

ქალთა შორის

ქალთა ჟურნალის განახლება

ამ მოკლე ხანში იწყებს გამოსვლას ჟურნალი „მშრომელი ქალი", ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო.

ეს ჟურნალი გაგრძელებაა „ჩვენი გზა"-სი.

ჟურნალი რამოდენიმე თვის განმავლობაში შეჩერებული იყო ტეხნიკური მიზეზების გამო. ამჟამად ეს მიზეზები დაძლეულია. ჟურნალი აწყობილი იქნება ახალი შრიფტით, ახალი ფორმით და შინაარსით. ჩვენი მიზანი არის ჟურნალი დაუახლოვოთ რაც შეიძლება ფართო მასებს, გავხადოთ იგი მისაწდომი ყველა გლეხი ქალებისათვის, ჟურნალი ემსახურებოდეს მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებას და ურკვევდეს მათ საჭირბოროტო საკითხებს.

ამისათვის საჭიროა მშრომელ ქალთა დახმარება. ყოველი მშრომელი ქალს უნდა ახსოვდეს, რომ ჟურნალი ემსახურება მის ინტერესებს და აქტიური მონაწილეობას უნდა იღებდეს მის გამოცემა-გავრცელების საქმეში. მხოლოდ მშრომელ ქალთა აქტიური მონაწილეობით შეგვიძლია დავაყენოთ ჟურნალი სათანადო დონეზე და მივაღწევთ იმ დიდ მიზანს, რომელსაც ეწოდება მშრომელ ქალთა განთავისუფლება.

ს. ჩ.

პარტიული ქრონიკა

— **მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო აღწერაში.** საქართველოს სასოფლო-მეურნეობის გამოკვლევის მიზნით საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ამ მოკლე ხანში შეუდგება აღწერას. აღწერის სწორად ჩატარებისათვის კომკავშირის ცეკამ დაუგზავნა ადგილებს ცირკულიარი და დაავალა აღწერის მწარმოებელ ორგანოებისთვის დახმარების აღმოჩენა. ორგანიზაციებმა უნდა გამოყონ მცოდნე ამხანაგები აღწერაში მონაწილეობის მისაღებად და აღწერის მნიშვნელობის შესახებ უნდა ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი კამპანია.

— **მუშლექკორთა კონფერენცია:** ხენაკის სამაზრო კომიტ. მიერ აგიტპროპის ხელმძღვანელობით 10 ივლისს [illegible]

— **ინსტრუქტორთა კადრის გადიდება.** კომკავშირის სამკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: გაადიდოს სამაზრო ინსტრუქტორთა კადრი 4 კაცით, თემკომებთან ცოცხალი კავშირის განმტკიცებისა და მუშაობის გამოცოცხლების მიზნით.

—**რადიო-სადგურის დათვალიერება.** სამშაბათს, 22 ივნისს, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა და გლეხქალთა შორის მომუშავე განყოფილებასთან მოწყობილ ქალთა ორგანიზატორების პირველი კურსების მსმენელებმა დაათვალიერეს თბილისის რადიო სადგური.

— **გამოფენის დათვალიერება.** ხუთშაბათს, 25 ივნისს, სიღნაღის მაზრის გლეხ-ქალებმა დაათვალიერეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და [illegible] სახელოსნოები, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოფლის გლეხ ქალებზე.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

მარო მახარაშვილის, ისიდორე ქარსელაძის, ირაკლი წერეთლის, [illegible] შვილის და კოლია ჭუმბურიძის მიწერ-მოწერა

მენშევიკური ემიგრაციის ორგანიზაციული დაშლა და მორალურ-პოლიტიკური გახრწნა

მარო მახარაშვილი სწერს ჭუმბურიძეს რამიშვილ-ჟორდანიას და მათი მიმდევრების შესახებ: „ამ ხალხს არც პატიოსნება შერჩენია და არც სინიდისი"—„ბევრ მუშას ენატრება სახლში დაბრუნება. მათ გადასწყვიტეს, რომ ემიგრაციაში ვეღარ მოუღებენ ბოლოს რამიშვილის ბატონობას და ამიტომ არჩიეს საბოლოოდ იბრუნონ პირი მისგან"—„ნაციონალ-დემოკრატები ბაგრატიონებში ეძებენ საქართველოს ტახტის მემკვიდრეს".—

ემიგრაციის გახრწნა

ქვემოთ მოთავსებული წერილით ვიწყებთ ჩვენ წერილების მთელი სერიის გამოქვეყნებას, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორების მიერ მიმართულია (ცნობილ მენშევიკ კოლია ჭუმბურიძისადმი. როგორც მკითხველები დარწმუნდებიან ერთხელ კიდევ მათი შინაარსიდან, ქართული ემიგრაცია საზოგადოთ და მისი უმთავრესი (რიცხვობრივად და პოლიტიკურად) ნაწილი: მენშევიკური ემიგრაცია კერძოთ, ჩათრეულია ორგანიზაციული დაშლისა და მორალურ-პოლიტიკური გახრწნის ღრმა პროცესში. ჩვენი მკითხველებისათვის ეს ამბავი ახალი არ არის და არ წარმოადგენს რაიმე საიდუმლოებას. ყოფილი მენშევიკური პარტიის დანგრევის, დაქსაქსვისა და გაცამტვერების ტალღამ, რომელმაც შთანთქა ოდესღაც უძლიერესი პოლიტიკური პარტია ჩვენი ქვეყნის, მიაღწია ეს ორი წელიწადია „წარსული დიდების" იმ ნამსხვრევებამდე, რომლებიც ბურჟუაზიული რეაქციის ქვეყნებში შეიქნენ გადატყორცნილი ამ პარტიის ბატონობის ლიკვიდაციის შემდეგ. და აი, ემიგრაციაში (ვგულისხმობთ ამ შემთხვევაში მენშევიკურ ემიგრაციას) აშკარად დაისახა ორი მიმდინარეობა, რომელთაგან ერთი არის ის, რომელსაც ქვემოთ მოთავსებული წერილის ავტორის მორალური შეფასებით „არ შერჩენია არც პატიოსნება და არც სინიდისი", ე. ი. რამიშვილის კამარილია, ხოლო მეორეა უმთავრესად მუშური ნაწილი ამ ემიგრაციისა.

მათში ბრძოლამ, პირველ ხანებში „ყრომ" და უჩინარმა, შემდეგ კი რამოდენიმედ აშკარამ და დაგეგმილიებულმა საკმაოდ მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგებით (საქართველოში დაბრუნება), გაიარა რამოდენიმე საფეხური.

„უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით აგვისტოს ამბების შემდეგ დაწყებულმა უკმაყოფილების გაძლიერებამ მუშურ ნაწილში და ამ ნაწილის რიცხობრივმა ზრდამ, როდესაც საქმე იქ, რამიშვილის სამფლობელოში, არა „სახუმრო" მიმდინარეობა მიიღო, სცენაზე გამოიყვანა წერეთელი, რომელსაც ზოგიერთი ოპოზიციონერების პოლიტიკურმა სიბეცემ „ცენტრის" და თვით ოპოზიციის მეთაურის როლი მიაწერა.

ფაქტიურათ ეს იყო ჟორდანია-რამიშვილის ოინი, რომ ესარგებლა წერეთლის გავლენით (იტყვიან: ბრმათა სამეფოში ტახტზე ზის კოჭლი) და აღშფოთებული თუ „აბუნტებული" ოპოზიცია კვლავ შეერეკა რამიშვილის „ნავთსადგურში". რამიშვილი ამით ნაწილათ აღწევდა მიზანს. გაალმასებული შეტაკებების დროს ორ ბანაკთა შორის სცენაზე გამოახტუნებდენ წერეთელს და მას მოხერხებულად აქრობინებდენ ბრძოლის ცეცხლის ავარდნილ ალს. „ცენტრის", ე. ი. წერეთლის და მისი ჯგუფის „მოღვაწეობა" ნოეთა კიდობნის საშველათ ჯერ კიდევ არ დათავებულა, თუმცა მისი გავლენა აღარ არის უკვე დღეს ისეთი, როგორიც იყო გუშინ. რამიშვილი საკმაოთ მოხერხებულად ურტყამდა თავისი ურთით (ირაკლი წერეთელი) ცხვირ-პირში ოპოზიციურ მუშებს, სანამ ეს უკანასკნელები არ დარწმუნდენ (ჯერ ყველა არ დარწმუნებულა) იმაში, რომ ფაქტიურათ რამიშვილი და წერეთელი—ეს ორი განსახიერებაა ერთი და იმავე პოლიტიკის, რომელიც მიმართულია ოპოზიციონერ მუშების წინააღმდეგ. „მათ გადასწყვიტეს—იწერება მახარაშვილი,—რომ ემიგრაციაში ვეღარ მოუღებენ ბოლოს რამიშვილის ბატონობას და ამიტომ არჩიეს საბოლოოთ იბრუნონ პირი მისგან"-ო. მათ „ენატრებათ სახლში დაბრუნება". და ეს ნატვრა კიდევაც მოჰყავთ თანდათან სისრულეში.

რამიშვილ - ჟორდანიის კამარილია მოკვდება უცხოეთშიც ისევე, როგორც ის მოკვდა საქართველოში და მას ვერ დაიხსნიან ვერავითარი პოლიტიკური თაღლითობითა და თვალთმაქცობით წერეთლები და გულუბრყვილოთა მიერ შეთხზული ეგრედ წოდებული ცენტრი.

ხვალ ჩვენ მოვათავსებთ სხვა წერილებს და კვლავ დაუბრუნდებით დღევანდელის შინაარსს.

მარო მახარაშვილის*) წერილი კოლია ჭუმბურიძისადმი**)

„ძმაო კოლია!

მივიღე შენი წერილი და ნერვიულობა შენი მეც გადმედო. ცხადია, რომ ასე დიდი ხნით ყოფნა სანატორიუმში გაანადგურებს ადამიანს. ჩამოდი პარიზში, მაგრამ ნუ მოელი, რომ პრაღის ჰაერის გამოცვლა შენს სულიერ განწყობილებას შესცვლის. აქ შენ ისეთი მეგობრები გყავს, რომ უსათუოდ შეეცდებიან სიცოცხლე გაგიმწარონ. ეს მტერი არც ისე უძლურია და ჩამოსვლის შემდეგ, მე დარწმუნებული ვარ, ბევრ შენს ამხანაგზე გაგიცრუვდება იმედები. რასაკვირველია, მე შენს პარტიულ ამხანაგებზე ვლაპარაკობ. **ზოგი მათგანი ლაქიებია, ზოგი კი ინდიფერენტიზმს შეუპყრია.**

მოვყვები დაწვრილებით. ალბათ შენ გაინტერესებს და გსურს გაიგო, როგორი განწყობილება სუფევს აქ—ემიგრაციაში. **სამწუხაროდ, ვერაფერს მოგწერ ხაიმედოს.** აქ ისეთ ხალხს შეუყრია თავი, რომ პრაღაში მყოფნი მათ გაცილებით სჯობიან.

აქაური სოციალ-დემოკრატია ორ ბანაკათ არის გაყოფილი. ერთია ოპოზიცია—კაკი წერეთლის მეთაურობით, მეორე ნაწილი იცავს პოზიციას, მისი სულის ჩამდგმელია ნოე რამიშვილი თავისი ჯაშუშებით. არის კიდევ ეგრედ წოდებული ცენტრი, რომელსაც ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და (გაურკვეველია) მეთაურობს. მე ამ უკანასკნელ ჯგუფს ცენტრს ვუწოდებ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი ნოე რამიშვილის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. შენ ალბათ გიკვირს საიდან ვიცი მე ასე დაწვრილებით ყველაფერი ეს. მაგრამ ნუ გაიკვირვებ. მე ძველ სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის ვარ, რომლებიც ჩემთან არაფერს მალავენ და ყველაფერს გულწრფელად მეუბნებიან. **უნდა გითხრა, რომ წერეთელი თურმე ხრულებით არ ვარგებულა ბრძოლისათვის.**

დაკვირვების შემდეგ მე სავსებით შევისწავლე ნოე რამიშვილი. თავის მიზნების მისაღწევად ის არავითარ საშუალებას არ ერიდება. **ამ ხალხს არც პატიოსნება შერჩენია და არც სინიდისი.** წერეთელმა უკან დაიხია მას შემდეგ, რაც დამარცხება იგემა, ხოლო მისი ჯგუფი დაიშალა. მე ძალიან მაკვირვებს წერეთელის საქციელი. ის ზედმიწევნით კარგათ იცნობს რამიშვილს და მაინც უთმობს მას; ალბათ არ შეუძლია ბრძოლა. **ბევრ მუშას ენატრება სახლში დაბრუნება. მათ გადასწყვიტეს, რომ ემიგრაციაში ვეღარ მოუღებენ ბოლოს რამიშვილის ბატონობას და ამიტომ არჩიეს საბოლოოთ იბრუნონ პირი მისგან.**

ერთ-ერთმა მათგანმა მე პირდაპირ მითხრა, რომ მას **ბოლშევიკების დიქტატურა ურჩევნია ათას წილად, ვიდრე ნოე რამიშვილის.**

„ბოლშევიკები—მითხრა მან—სოციალისტები მაინც არიან, ეს ხალხი კი მონარქიზმის გზით დაექანა"-ო.

მე უნდა გითხრა გულახდილად, რომ მონარქისტებს, რომლებსაც საზოგადოთ ძალიან სძულთ სოციალისტები, **ნოე რამიშვილი ძლიერ უყვართ.**

საშუალება რომ მქონდეს, ცნობებს მივაწვდიდი ბატონ რამიშვილის შესახებ პრაღის ზოგიერთ მონარქისტებს **მათი გულის გასახარებლად.**

ასეთია სოციალისტების მდგომარეობა. აი რატომ ინგრევა თქვენი პარტია. თუ ვილაპარაკებთ ტერორზე, დაშინებაზე და ლიდერების დიქტატურაზე, ეს თქვენებს უფრო ახასიათებს აქ პარიზში, ვიდრე „იქ".

ეხლა ვილაპარაკოთ ემიგრაციის მეორე ნაწილზე. ესენი არიან ჩვენი ყოფილი თავად-აზნაურები. მათთან არიან ნაციონალ-დემოკრატები. ეს უკანასკნელი სიტყვა შეიძლება შევსცვალოთ **„მონარქისტებათ", რადგან მათი ტენდენცია არაფრით არ განსხვავდება მონარქისტულ ტენდენციებისაგან.** დღემდის ეს ვაჟბატონები თავიანთ მისწრაფებაზე აშკარათ მაინც არ ლაპარაკობდენ. ეხლა კი უკვე აღარ რცხვენიათ და კრებებზე გარკვეული მოწოდებებით გამოდიან. აი ეხლა მათ ლექცია აქვთ და მე არ მივდივარ, რადგან არ მინდა ავიშალო ნერვები. **აი სად მიმაჩნია მე ბოლშევიკების მოქმედება სამართლიანად: ეს ხალხი მართლაც რომ დასახვრეტია.**

არა, ერთი წარმოიდგინე, ისინი **ბაგრატიონებს შორის ეძებენ ტახტის მემკვიდრეს,** და ნუ თუ ისინი ჩვენი ხალხის დამცველთა როლში გამოდიან?! აი მხოლოდ ასეთ ხალხთან გვაქვს ჩვენ საქმე, ერთის მხრივ რამიშვილია თავის შპიონებით და ლაქიებით, მეორე მხრივ კი ეს დეგენერატები.

მე უკვე ყველაფერი ვსთქვი, რაც ვიცოდი ადგილობრივ საქმეებისა და არსებულ განწყობილების შესახებ. მეტი რაღა მოგწერო.

ნახვამდის.

15/II—1926 წ.

მარო".

---

*) მარო მახარაშვილი არის ემიგრანტი, პროფესიით ექიმი, სცხოვრობს პარიზში. ის ცოლია ექიმ მიხ. კობერიძის (მენშევიკი), რომელიც მენშევიკური მთავრობის დროს იყო გორის ტრიბუნალის თავმჯდომარე. მ. მახარაშვილი ეკუთვნის ნაციონალ-დემოკრატების ბანაკს. 1921 წელს სტამბოლის მენშევიკურ ბიუროს მიერ ის გამოგზავნილი იყო საქართველოში კავშირის აღსადგენად და ინფორმაციის მისაწოდებლად. აქ მან ინახულა მაშინ სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვები და მათი საშუალებით აღადგინა ეს კავშირი უცხოეთში გაქცეულ ემიგრანტებსა და აქ დარჩენილ მათ მიმდევრებს შორის.

მიხ. კობერიძე გამორიცხული იქნა მენშევიკების პრაღის ორგანიზაციიდან ნ. რამიშვილის დაჟინებითი მოთხოვნით, რომელიც სპეციალურად ჩავიდა პრაღაში მისი საქმის გასარჩევად. ის საქმე კი იმაში მდგომარეობდა, რომ კობერიძემ წაუყენა პრაღაში ცნობილ აიოლოს ბრალდება ქურდობაში. გარდა ამისა ის (პრაღის მენშევიკური ორგანიზაციის წევრი) ბრალს სდებდა აიოლოს (ამავე პრაღის მენშევიკური ორგანიზაციის წევრს), რომ მან შეადგინა ყალბი დოკუმენტები მენშევიკების მიერ ჩვენის მთავრობისაგან ანგარიშ ქვეშ მიღებულ თანხების დახარჯვის გასამართლებლად. საქმეში რამიშვილის ჩარევის გამო, რომელიც განგებ იცავდა თავის აგენტს აიოლოს. მოხერხდა კობერიძის გამორიცხვა პრაღის მენშევიკური ორგანიზაციიდან. გაიმარჯვა ქურდობამ, რამიშვილმა და აიოლომ.

რედ.

**) კოლია ჭუმბურიძე ცნობილი მენშევიკია, რომელსაც მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში ეკავა მთელი რიგი საპასუხისმგებლო პოსტები. ის იყო ქუთაისის მენშევიკების კომიტეტის თავმჯდომარე, მენშევიკების გაზეთის, ქუთათური „სოციალ-დემოკრატი"-ს პასუხისმგებელი რედაქტორი, ის იყო ქუთაისის გვარდიის შტაბის თავმჯდომარე და სხვ.

რედ.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მივლინების შესახებ

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა ყველა სახელმწიფო-საბიუჯეტო და სამეურნეო ორგანიზაციებს მიმართა შემდეგი ცირკულიარით:

— სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების უმრავლესობა დიდ თანხებს ხარჯავს თანამშრომლების მივლინებაზე; ამასთანავე, მთელ რიგ დაწესებულებებში ადგილი აქვს არა მარტო მიზანშეუწონელ, არამედ აშკარა უკანონო მოქმედებას იმ თანხების ხარჯვის სფეროში, რომლებიც გაცემული უნდა იქნეს მივლინებაში წასულ თანამშრომლებისათვის საგზაო ხარჯებისათვის.

ასე, მაგალითად, არის დაწესებულებები, რომლებმაც შვიდი თვის განმავლობაში ამოწურეს მივლინებებისათვის გადადებული თანხები, რაც დისციპლინის უქონლობას უნდა მიეწეროს; სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების უმეტესობა სისტემატიურად არღვევს კანონებს, რომლებითაც დაწესებულია მივლინებებთან დაკავშირებულ ხარჯების კომპენსაციის წესი და ნორმები.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზოგიერთ უწყებებში ანგარიშებს ადგენენ რამოდენიმე თვის გასვლის შემდეგ. ამასთანავე გაუნაღდებელი რჩება თანხები, რომელიც გაცემული იყო მივლინებებზე წინა საბიუჯეტო წელში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ცირკულიარში აღნიშნულია აგრეთვე არსებული კანონების დარღვევის სხვა შემთხვევებიც.

მათი აღმოფხვრის მიზნით, ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებს მათი ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ: 1) სასტიკად შეამოკლონ ხარჯები მივლინებებზე და არ დაუშვან ისეთი მივლინებები, რომლებიც გამოწვეული არ არის აუცილებლობით. 2) მივლინებებთან დაკავშირებულ ხარჯების კომპენსაციის დროს აუცილებლად დაცული უნდა იქნეს არსებული კანონები, რომლებითაც განსაზღვრულია კომპენსაციის წესი და ნორმები.

ტელეფონებით სარგებლობა

ვინაიდან ბევრი დაწესებულება არ ერიდება ტელეფონების დადგმას, როგორც დაწესებულებებში, ისე მოსამსახურეთა ბინებზე იმ შემთხვევაშიაც, როცა ამას არ მოითხოვს საჭიროება, ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საკონტროლო სამმართველომ წინადადება მისცა ადგილობრივ საკონტროლო ორგანოებს მიიღონ სასტიკი ზომები ასეთი ტელეფონების მოსახსნელად.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მომჭირნეობის რეჟიმი და გონებრივი შრომა

მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა იქნეს დაყენებული საკითხი გონებრივი შრომის რაციონალიზაციის შესახებაც. მომჭირნეობის ლოზუნგი გულისხმობს არა მარტო ქვეყნის ნივთიერ საშუალებათა გეგმაშეწონილ გამოყენებას, არამედ გონებრივი ძალების დაზოგვასაც. ამ მხრივ დაუშვებელ ხელგაშლილობას და მფლანგველობას აქვს ადგილი. ამის გამო ჩვენი თაობა სწეულდება არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც.

ამხ. ნ. სემაშკო „პრავდა"-ში ახასიათებს იმ პირობებს, რომელშიც მიმდინარეობს ჩვენი გონებრივი შრომა:

„შეხედეთ გონებრივ მეცადინეობის ბარბაროსულ პირობებს (დახურული ფანჯრები, თამბაქოს სუნით გაჟღენთილი ოთახები, ხმაურობა მუშაობისა და სხდომების დროს). ალიაქოთი და ფუსფუსი ცვლის მეთოდიურ სისწრაფეს მუშაობაში. არა რეგულიარული ჭამა და ასეთივე დასვენება იწვევს ნერვიული სისტემის გამოფიტვას. ფიქრობენ მუშაობის „დაჩქარებას", გაუნძრევლად სხედან მთელი დღეების განმავლობაში,—შედეგად კი სამუშაო სრულდება უფრო ნელა და უფრო ცუდად...

გასაკვირი არ არის, რომ ნევრასტენია იქცა ჩვენი ყოფა-ცხოვრების ავადმყოფობად; ქალაქებში ის გავრცელებულია უფრო ფართოდ, ვინემ ყველაზე უფრო მძიმე სოციალური სნეულებანი. მით იტანჯებიან, დაწყებული ძველი კატორღელით და გათავებული ნორჩი პიონერით".

ყველაფერი ეს სერიოზულ საფრთხეს ქმნის ჩვენი ეხლანდელი და მომავალი თაობის ფსიქიური სიჯანსაღისათვის. საჭიროა გონებრივ შრომის, ჰიგიენის დაცვა და მუშაობის სწორი განაწილება ცალკე მუშაკებს შორის. გონებრივ ძალების ეხლანდელ დანაშაულებრივ მფლანგველობას ბოლო უნდა მოეღოს.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

საღამოს სხდომა

2 ივლისს საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს მეზღვაურთა სარაიონო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კუნჭულიამ.

საქ. მეზღვაურთა სარაიონო. კომიტეტის მუშაობის შესახებ

მომხსენებლის გადმოცემით, საქ. მეზღვაურთა სარაიონო კომიტეტი მოეწყო ერთი წლის წინად. მანამდე საქართველოს მეზღვაურნი შედიოდენ შავი ზღვის სანაპირო კომიტეტში, რომელიც ოდესაში იმყოფებოდა. საქართველოს სარაიონო მეზღვაურთა დამოუკიდებელი კომიტეტის შექმნა გამოიწვია საქართველოს მეზღვაურთა აუცილებელმა საჭიროებამ. მანამდე ყოველი კითხვა, მეზღვაურთა უბრალო განცხადებაც კი განსახილველად იგზავნებოდა ოდესაში.

საკითხის გადაწყვეტას და პასუხის მიღებას აგვიანდებოდა თვეობით, რაც იწვევდა კავშირის წევრთა უკმაყოფილოებას, და ხელს უწყობდა მათს კავშირისაგან ჩამოშორებას.

საქართველოს მეზღვაურთა მიერ აღძრული საკითხი ცალკე კომიტეტის მოწყობის შესახებ საქ. [illegible] გადაწყდა და კომიტეტის მოწყობის დღიდან პროფმუშაობა საქართველოს მეზღვაურთა შორის შესამჩნევად გაცხოველდა.

მომხსენებელმა ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა პროფმუშაობის ყველა დარგებს და აღნიშნა, რომ კომიტეტს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ახალგაზრდების, ქალთა, სპეციალისტთა შორის და სხვა ხასიათის პროფსაქმიანობის დარგებში.

კომიტეტის ფინანსიური მდგომარეობაც ჩინებულია: იგი პროფმუშაობას აწარმოებს ყოველგვარ დოტაციების გარეშე.

მეზღვაურთა კომიტეტის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საქმეს წარმოადგენს მუშაობა საქართველოს ნავთსადგურებში მოსულ უცხოელ მეზღვაურთა შორის. ხშირად კომიტეტი [illegible] მეზღვაურებს იწვევს ადგილობრივ [illegible] კრებებზე. რამოდენიმე ხნის წინად ბ[illegible] უცხოელ მეზღვაურთა [illegible] თომში გაიფიცენ გერმანელი მეზღვაურები. საქ. კომიტეტმა აღმოუჩინა დახმარება წარმოებულ ბრძოლის დროს. თუ რამდენად მეგობრულად არიან განწყობილი უცხოელი მეზღვაურები საქართველოს და საერთოდ საბჭოთა მეზღვაურების მიმართ, ამის საილუსტრაციოდ ამხ. კუნჭულიას მოჰყავს ჰოლანდიის გემის „კატენდრეხტ"-ის მეზღვაურთა მიერ საქ. მეზღვაურთა კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი ადრესი, სადაც ჰოლანდიელი მეზღვაურნი გამოსთქვამენ თავის უღრმეს მადლობას კარგი მიღების და სტუმართმოყვარეობისათვის და ამასთან ერთად აცხადებენ, რომ ისინი მუდამ მზად იქნებიან ცნობებისა და რჩევისათვის მიმართონ საბჭოელ ამხანაგებს და ნებას არ მისცემენ ბურჟუაზიის აგენტებს—ავრცელონ ჭორები საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ.

ამხ. კუნჭულიას მოხსენების შემდეგ საქ. მეზღვაურთა სარაიონო კომიტეტის გამოსაკვლევად წარმოებულ მუშაობის შედეგების შესახებ პლენუმს ცნობები წარუდგინა ამხ. ფოლდოროვმა, რომელსაც საქ. პროფსაბჭოს მიერ დავალებული ჰქონდა ზემოხსენებული კომიტეტის გამოკვლევა.მან აღნიშნა,რომ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად კომიტეტს აქვს თვალსაჩინო ნაკლოვანებანიც. მომხსენებლის აზრით ერთი მთავარი ნაკლოვანებათაგანი—პროფმუშაობის მეტისმეტი ცენტრალიზაციაა. მეზღვაურთა სარაიონო კომიტეტს პროფმუშაობა უწარმოებია ადგილკომების გარეშე, რასაც გამოუწვევია კავშირის წევრთა ჩამოშორება კავშირის ძირითადი ორგანოებისაგან. საკავშირო თანხებიც ცენტრალიზარიცხვაზე გადასვლა მხოლოდ ეხლა ხდება. ამხ. ფოლდოროვის გადმოცემით მოისუსტებს აგრეთვე კულტმუშაობა. თუმცა კომიტეტს აქვს კარგათ მოწყობილი კლუბი, მაგრამ საკლუბო მუშაობა მხოლოდ 2—3 კინო-სეანსით ამოიწურება.

მიწერ-მოწერა საკავშირო მასებთან ამხ. ფოლდოროვის აზრით, ვერ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან მიწერ-მოწერა ხდება რუსულ ენაზე მაშინ, როცა კავშირის წევრთა ნახევარს შეადგენენ რუსული ენის არმცოდნე—ქართველი მუშები.

ამხ. კუნჭულიას მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლის დამთავრების შემდეგ, პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებათა შესახებ.

პედაგოგიურ ტეხნიკუმების გამგეთა კონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა საპროგრამო კომისიების მოხსენებები.

რუსული ენა

რუსული ენის პროგრამის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. **მისაბიშვილი.**

იგი აღნიშნავს, რომ კომისიამ მიიღო პრინციპათ დაყენებულ იქნას რუსული ენის სწავლების საქმე ტეხნიკუმებში ისე, რომ იქ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ ამ ენის სწავლება 4 წლედებში, თავისუფლად ერკვეოდენ რუსულ ნაწარმოებებში და თავისუფლად ლაპარაკობდენ ამ ენაზე.

დასასრულ პროგრამა წაკითხულ იქნა მუხლობრივ და მცირე კამათის შემდეგ იგი სავსებით მიიღეს.

საზოგადოებათ — მეცნიერება

საზოგადოებათ — მეცნიერების შესახებ მოხსენებას აკეთებს **გ. ნათაძე.** მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს მეცნიერება ჯერ-ჯერობით ახალი მეცნიერებაა და მასში დასახულია რამოდენიმე მიმართულება. იგი ეხება ყველა მიმართულებებს ცალ-ცალკე და შემდეგ გადადის პროგრამის მუხლობრივ კითხვაზე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **გურგენიძემ, კვანტრიმ, დემურიამ** და **ბახტაძემ.**

ქართული ენა.

ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ მოხსენებით გამოდის **ამხ. გ. ჭუმბურიძე.**

ორატორი ეხება ქართული ენის სწავლის საქმის დაყენებას ტეხნიკუმებში და აღნიშნავს, რომ ქართული [illegible] დის თვალ[illegible] მნიშვნელობის მიექცეს [illegible]ზრისით ყურადღება უნდა განს[illegible] ყველა საგნების სწავლებას და [illegible]უთრებით საზოგადოებათ - მეცნიერებას.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი.

ამხ. მარ. ორახელაშვილის აზრით, ლიტერატურის სწავლებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან, ლიტერატურა, საზოგადოთ, საუკეთესო საილიუსტრაციო საშუალებაა ამა თუ იმ ეპოქის შესასწავლათ საზოგადოებათ-მეცნიერების თვალსაზრისით.

ამხ. კვანტრე იზიარებს გამოთქმულ აზრს ლიტერატურის შესწავლის შესახებ და აღიარებს, რომ საჭიროა მსოფლიო კლასიკოსების შესწავლა ქართულათ და საამისოთ სათანადო, უკვე არსებულ ლიტერატურის თავის მოყრა და მათი ცალკე წიგნაკებათ გამოცემა.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა **თ. ნიკოლაძე — მუსხელიშვილის** მოხსენება ბუნების მეტყველების პროგრამაზე, **ნ. კვინიკაძის** მოხსენება — მათემატიკაზე. ე. რ. ნიკოლაძის მოხსენება — ქიმიაზე და **კვინიკაძისვე** მოხსენება—ფიზიკის პროგრამაზე.

ყველა მოსმენილი მოხსენებების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებების შესახებ. მიღებულ რეზოლიუციაში მოწონებულია პედ. ტეხნიკუმების საქმიანობა და დასახულია მთელი რიგი კონკრეტულ ღონისძიებათა ტეხნიკუმებში სასწავლო საქმის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლათ.

საბოლოო დასკვნები

კონფერენციის მუშაობის შესახებ საბოლოო დასკვნებით გამოდის კონფერენციის თავმჯდომარე ამხ. **მარ. ორახელაშვილი,** რომელიც ჯამს უკეთებს კონფერენციის მიერ ჩატარებულ მთელ საქმიანობას და აღნიშნავს, რომ ეს კონფერენცია ითამაშებს მომავალში გადამწყვეტ როლს ჩვენი სასწავლო პოლიტიკის გაუმჯობესების [illegible]ში.

ორატორი დაწვრილებით ჩერდება ყოველ ცალკე წამოჭრილ საკითხზე. განმარტავს პრაქტიკულ მუშაობაში მიღებულ დადგენილებებით ხელმძღვანელობის მნიშვნელობას და გამოსთქვამს იმედს, რომ მომავალში ტეხნიკუმების მუშაობა უფრო საღ ნიადაგზე იქნება.

დღის 2 საათზე კონფერენცია დაიხურა.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

კოოპერაციის მიღწევები და ამოცანები

3 ივლისს კოოპერაცია მთელს მსოფლიოში დღესასწაულობს კოოპერატიული სოლიდარობის დღეს.

სწარმოებს მიღწევების აღნუსხვა, ნაკლულოვანებათა აწონ-დაწონა, ამოცანების დასახვა.

ერთსულოვანი ღონისძიებებით სწარმოებს კოოპერაციის მშენებლობა საბჭოთა ქვეყანაში. ზრდის ტემპის მხრივ კაპიტალისტური ქვეყნების კოოპერაცია ჩვენ ჩამოგვრჩება.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩვენს კოოპერაციას თითქმის უკანასკნელი ადგილი ეჭირა სხვა ქვეყნებთან შედარებით. ეხლა კი კოოპერაციაში გაერთიანებულ წევრების რაოდენობის მიხედვით ჩვენ პირველი ქვეყანა ვართ მთელს მსოფლიოში, ბრუნვის რაოდენობის მიხედვით ჩვენ მეორე ადგილი გვიჭირავს.

მხოლოდ საბჭოთა წესწყობილებამ უზრუნველყო ჩვენი კოოპერაციის ასეთი გიგანტიური წინსვლა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

კონკრეტიულად რა გვაქვს ჩვენ ამ მიღწევების ფონზე?

კოოპერატიული მოძრაობის მარტო ძირითად შტოს—სამომხმარებლო კოოპერაციას ამჟამად 10 მილიონის პაის მქონე წევრი ჰყავს, აქედან სოფლად 5 მილიონი, ანუ 25%—კოოპერაციაში გაერთიანებული მეურნეობა, 60% — გაერთიანებული მუშა ქალაქად, 75%—ტრანსპორტზე. სავაჭრო ქსელს აქვს 25,000 სამომხმარებლო საზოგადოება და 50.000 დუქანი. მთელი სისტემის საერთო ბრუნვა შარშან უდრიდა 3900 მილიონ მანეთს, მიმდინარე წელს საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის 6 მილიარდ მანეთამდე ავა. მაშასადამე, ქვეყნის მთელს სავაჭრო ბრუნვაში მისი მონაწილეობა ავა 35 პროცენტამდე.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვან შტოს —სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას აქვს 60.000-დე პირველი საფეხურის უჯრედი, გაერთიანებული 400 რაიონულ კავშირში და 10-დე კოოპერატიული ცენტრი აგებული სპეციალობის მიხედვით.

ექვსი მილიონი საგლეხო მეურნეობა გაერთიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში.

შემდეგ მიდიან „წვრილი კოოპერატიული ერთეულები"—სარეწაო, საბინაო, მეთევზეების, მონადირეების, ინვალიდების კოოპერატივები, რომელთაც თავის რიგებში ჰყავთ ათი ათასობით მუშები და გლეხები.

წლიური მიღწევები: სამომხმარებლო კოოპერაციამ გაადიდა თავისი კაპიტალი 277 მილიონიდან 341 მილ. მანეთამდე და, რაც უმთავრესია, საპაიო კაპიტალი პირველი საფეხურის ქსელში 22-დან 35 მილიონ მანეთამდე გაიზარდა.

პროცენტი სავაჭრო ხარჯებისა ბრუნვაზე წელს სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებში შემცირდა 7,9 პროცენტამდე, საქალაქო ცენტრალურ მუშათა კოოპერატივებში—3%-დე. გაიზარდა პაის მქონე წევრთა აქტივობა, რასაც მოწმობს ის, რომ პაის მქონეთა 60—75 პროცენტი ესწრება საერთო საანგარიშო კრებებს.

მაგრამ რამდენად საგრძნობიც არ უნდა იყოს კოოპერაციის მიღწევები, არ შეიძლება ამით დავკმაყოფილდეთ. საბჭოთა ქვეყნის კულტურულ და სამეურნეო აღორძინების დარგში დასახულ უმნიშვნელოვანეს მიზნებთან დაკავშირებით,—საბჭოთა ხელისუფლებას უფლება აქვს მოსთხოვოს კოოპერაციას უფრო მეტი, პირველ ყოვლისა დიდ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრა მის მუშაობაში.

მართალია, კოოპერაციის ზრდა ხდება ჩქარი ტემპით, მაგრამ სამწუხაროდ ამ ზრდას მეტად ახასიათებს სიფართოვე და ნაკლებად სიღრმე. კოოპერატიულ მუშაობის ცალკე დარგების ხარისხი დაბალია. მოსახლეობის კოოპერაციაში გაერთიანება ვერ ხდება საკმაოდ ფართოდ და აქტიურად. სამომხმარებლო დუქნის გარშემო სოფლად ჯერ კიდევ ვერ არის თავმოყრილი პაის მქონეთა აქტივის საკმაო კადრი. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ კოოპერაციის წევრად ჩაწერა ქაღალდზე რჩება, სოფლის თვით შემძლებული ფენებიც არ იხდიან საწევრო გადასახადს. ამიტომ სოფლად დღემდე პაი ძლივს აღწევს 2 მან. 60 კაპეიკამდე თვითეულ წევრზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პაის მქონე წევრის სამეურნეო ინტერესი მცირეა, ზოგჯერ ის სავსებით გულგრილად უცქერის კოოპერატივის საქმეს; ამით აიხსნება აგრეთვე მატერიალური ბაზის სისუსტე საერთოდ.

აგრეთვე საგრძნობია ხელმძღვანელი, კოოპერატიული აქტივის სიმცირე. ნაკლები პასუხისმგებლობით ეპყრობიან ჩაბარებულ სახალხო კაპეიკებს. იმის მაგიერ, რომ საშუალებები ცოცხალ ბრუნვაში მოაქციონ, ზოგიერთი უვიცი კოოპერატორები უსარგებლოდ აჩერებენ მათ, არიგებენ კრედიტის სახით.

გეგმისა და სწორი ანგარიშიანობის უქონლობა მუშაობაში ხშირად საშუალებებთან შეუფარდებელ ნაბიჯის გადადგმას იწვევს, რასაც ზოგჯერ გაკოტრება მოსდევს.

კოოპერაციის ორგანიზაციულ და სამეურნეო წყობაში ადგილი აქვს აპარატის სიდიდეს, რაც ართულებს და აძვირებს კოოპერაციას, როგორც შუამავალს.

ამ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრისაკენ უნდა იქნეს მიმართული კოოპერაციის შემდგომი მუშაობა.

მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება აი ძირითადი ლოზუნგი, რომლითაც უნდა გაიმსჭვალოს ყოველი კოოპერატიული სისტემა, ყოველი კოოპერატორი.

საჭიროა კოოპერაციაში უფრო საფუძვლიანად გაერთიანება, ისეთი ნამდვილი წევრების ყოლა, რომელნიც მატერიალურად და შეგნებულად მონაწილეობენ კოოპერაციაში, იჩენენ ინტერესს და მზრუნველობას მისდამი.

მხოლოდ ღარიბი გლეხობა უნდა სარგებლობდეს უფრო ფართო შეღავათით კოოპერაციაში გაერთიანების საქმეში, მაგრამ რასაკვირველია, ამან არ უნდა მიიღოს ქველმოქმედების ხასიათი.

კოოპერატიული აპარატის გაჯანსაღება, მისი გაიაფება. დაახლოვება მომხმარებელთან. ნაკლები კოოპერატიული ბრუნვა; მაგრამ ხარისხით ყოველმხრივი უნაკლო; არ შეიძლება დაშვებულ იქნეს, რომ ბრუნვის ზედმეტად გაფართოებამ მუშაობის შეფერხებაზე ან გაკოტრებაზე მიგვიყვანოს. თუ გადავსწყვიტეთ კერძო ვაჭრის განდევნა, მაგალითად, სოფლიდან, ეს უნდა მოხდეს სამუდამოდ, განდევნა მოჩვენებითი კი არ უნდა იქნეს.

ასეთია კოოპერაციის საერთო ამოცანები.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კოოპერაციის მომავალი საერთაშორისო დღისათვის ამ ამოცანების გადაჭრის საქმე წინ იქნება წაწეული.

ს. დ.

კოოპერატიული საბჭოები

წელს საბჭოთა კოოპერაცია მთელ მსოფლიოს კოოპერაციასთან ერთად მეოთხეჯერ იხდის კოოპერატიულ დღესასწაულს.

განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ეს სადღესასწაულო თარიღები ყოველ წელიწადს აღინიშნებოდა საბჭოთა კოოპერაციის თვალსაჩინო მიღწევებით.

ლენინის აღდერძი, რომ მშრომელთა დიქტატურის პირობებში „კოოპერაციის უბრალო ზრდა იგივეა, რაც სოციალიზმის ზრდაო" ცხოველმყოფელი აღმოჩნდა.

ყოველი წელი გვიჩვენებს, რომ ჩვენი კოოპერაცია თავის მნიშვნელობით და მუშაობის მოცულობით თანდათან ხდება ისეთ ორგანიზაციათ, რომელშიაც იღებენ მონაწილეობას მცხოვრებთა ფართო მასები.

წევრთა რიცხვის გამრავლება კოოპერატიულ ქსელის გაფართოვება და ბრუნვათა ზრდა—აი ის ნიშნები, რომელნიც ჩვენი კოოპერაციის განვითარებასა და წინსვლელობას მოწმობენ.

ამ განვითარების შესახებ ლაპარაკობენ აგრეთვე ჩვენი კოოპერაციის გაუმჯობესება და მიღწევები ორგანიზაციულის მხრივ.

სხვა მრავალ მიღწევათა შორის მიმდინარე წლის კოოპერაციულ დღეს საბჭოთა კოოპერაციას შეუძლია აღნიშნოს ერთი ახალი ორგანიზაციული მიღწევა: **ჩვენ მხედველობაში გვაქვს კოოპერატიულ საბჭოების მოწყობა და მათი საქმიანობა.**

კოოპერაციის მნიშვნელოვანმა ზრდამ და მის ორგანიზაციათა სისტემაში მომხდარმა სპეციალიზაციამ, საჭიროდ გახადა ისეთი საერთო კოოპერატიულ ორგანოების მოწყობა, რომელნიც ურთიერთ დაუკავშირდენ და შეუთანხმდენ სხვადასხვა სახის მუშაობას, გააერთიანებდენ ღონისძიებებს მთელი კოოპერაციისათვის საერთო მნიშვნელობის მქონე საკითხებში და ხელს შეუწყობდენ კოოპერაციის განვითარებას.

რომ ასეთი საერთო საკითხები დაჟინებით და დაუყოვნებლივ მოითხოვდენ ასეთ გამაერთიანებელ კოოპერატიულ ორგანოს შექმნას, ამას ჩვენი კოოპერატიული აქტივი დიდი ხნიდან გრძნობდა.

ამან ნიადაგი მოუმზადა მუდმივ საერთო კოოპერატიულ ორგანოების—საბჭოების დაარსებას.

ჩვენი კოოპერატიული საზოგადოებრიობის და მისი მოღვაწეებისათვის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციათა სისტემაში საბჭოების შექმნა სრულიად ბუნებრივად და ადგილების დამოუკიდებელი თაოსნობით მოხდა.

ადგილების თაოსნობამ ცენტრის ყურადღება მიიპყრო და საკავშირო ცენტრში 1925 წლის მარტში მოაწყო ცენტრალური კოოპერატიული საბჭო, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილების გამოცდილების ნიადაგზე გაეწია ხელმძღვანელობა კოოპერატიულ მშენებლობისათვის.

დღეს დღეობით მთელ საბჭოთა კავშირში 60-მდე საბჭო არსებობს.

1926 წ. ივნისის 12-ს მოსკოვში შეკრებილმა კოოპ. საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობამ უკვე გაუკეთა ჯამი კოოპერატიულ საბჭოების მშენებლობაში ადგილებზე და ცენტრში დაგროვილ გამოცდილებას და დასახა მთელი რიგი ამოცანები მომავალში კოოპერატიულ საბჭოების მშენებლობისათვის.

თუმცა კოოპერატიულ საბჭოების მოწყობას საბჭოთა კავშირში უკვე ორი წლის ისტორია აქვს, თუმცა ერთ წელზე მეტია არსებობს და საქმიანობს, როგორც ხელმძღვანელი ცენტრი, ცენტრალური კოოპერატიული საბჭო, მაგრამ საბჭოთა კოოპერაციის ეს ახალი ორგანოები ჯერ კიდევ ორგანიზაციულად ჩამოყალიბების ხანაში იმყოფებიან.

ორგანიზაციულად ჩამოყალიბების ასეთი ხანგრძლივობა არ არის გასაკვირი, თუ მივიღებთ მხედველობაში კოოპერაციისთვის უჩვეულო ამ ახალ ორგანიზაციის მოწყობასთან დაკავშირებულ სიძნელეებს. არც საბჭოთა კოოპერაცია და არც დასავლეთის კოოპერაციის ისტორიამ არ იცის ასეთი სახისა და დანიშნულების ორგანოები. გარკვეულ, ცნობილ და ჩამოყალიბებულ საქმიანობის მიბაძვისა და მის განმეორებას, ცხადია, აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

ეს გარემოება აძნელებდა საბჭოების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, საკავშირო კანონმდებლობაც მეტის მეტად აგვიანებდა კოოპერატიულ საბჭოების იურიდიულად ჩამოყალიბებას. 1925 წლის სეკტემბერში საკავშირო მთავრობისათვის წარდგენილი პროექტი დადგენილებისა საბჭოების შესახებ მხოლოდ ამა წლის ივნისში იქნა დამტკიცებული საკავშირო ცაკის მიერ.

ამ ხნის განმავლობაში ძირითადათ შეიცვალა შეხედულება საბჭოების უფლება-მოვალეობის შესახებ კოოპერატიულ ორგანიზაციათა სისტემაში.

თუ კოოპერატიულ საბჭოების სტიქიურად მოწყობის დროს და ცენტრალურ კოოპერატიულ საბჭოს დაარსების პირველ ხანებში საბჭოები ატარებენ „კოოპერატშორისო საბჭოების" სახელწოდებას, თუ ისინი ამ დროს წარმოდგენილი ჰქონდათ კოოპერატშორისო ურთიერთობის მომწესრიგებელ სათათბირო ორგანოებად, შემდეგში ეს თვალსაზრისი უარყვეს და საბჭოები მიჩნეულ იქნენ კოოპერატიულ ხელმძღვანელ ორგანოებად.

საკავშირო ცაკის მიერ დამტკიცებული დადგენილება შემდეგნაირად განსაზღვრავს კოოპერატიულ საბჭოების მოქმედებას: კოოპერატიული საბჭოები წარმომადგენლობენ და იცავენ კოოპერაციის ინტერესებს, მოითხოვენ და მიისმენენ ანგარიშებს, განიხილავენ და გამოიტანენ დადგენილებებს ფუნქციათა და სამოქმედო გამიჯვნის საკითხებზე, ხელმძღვანელობას უწევენ ადგილობრივ კოოპერატიულ მშენებლობას მთლიად, ამუშავებენ კოოპერატიულ განათლების საკითხებს და აწყობენ კურსებს, სკოლებს, წიგნების საწყობებს და სხვა.

რასაკვირველია, ამ მოვალეობათა აღსასრულებლად მოწყობილი ორგანოები მხოლოდ მაშინ შესძლებენ თავის დანიშნულებათა შესრულებას და კოოპერაციის ყველა მომქმედი ძალები შემოიკრიბებიან კოოპერატიულ საბჭოების გარშემო, თუ მეორის მხრივ, საბჭოების გავლენას იქამდენ და ანგარიშს გაუწევენ არა მხოლოდ არსებული კოოპერატიულ ცენტრებს, არამედ კოოპერაციასთან სამეურნეო, საფინანსო და ორგანიზაციულ ურთიერთობაში მყოფი კოოპერაციის გარეშე არსებულ ორგანოებიც.

საქართველოში სულ ორ თვე ნახევარია, რაც არსებობს კოოპერატიული საბჭო და თუმცა საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ გამოცემულ დადგენილებით იგი აღიარებულია სათათბირო ხასიათის კოოპერატშორისო ორგანოდ, მაგრამ ნამდვილად თავის მუშაობით იგი უკვე გახდა კოოპერატიულ ცხოვრების მომწესრიგებლად.

შ. დუგლაძე.

საქართველოს საკრედიტო კოოპერაცია

საერთაშორისო კოოპერაციის დღესასწაულად აღიარებულია ყოველი წლის ივლისის თვის 1-ლი შაბათი.

მიმდინარე წელს ეს დღე ხვდება 3 ივლისს.

ამ დღისათვის ყველა დარგის კოოპერაცია ახდენს თავის ძალების დათვალიერებას, აჯამებს თავის მუშაობა-საქმიანობის აქტივ-პასივს და გამოდის საადმინისტრაციო საზოგადოების წინაშე, რათა აცნოს, როგორც თავის წევრებს, ისე საზოგადოებას, კოოპერაციის წევრობის გარეშე დარჩენილ მცირე ნაწილს, თუ რა მიღწევები აქვს მას თავის განვითარება-ზრდის პროცესში, რა გარდატეხას ახდენს საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში და როგორი აღზრდა შეაქვს თავის წევრებში. შევეხოთ ამ თვალსაზრისით საკრედიტო კოოპერაციას ჩვენში დღეს.

ჩვენში საქ. სახკომსაბჭოს 1924 წლის 26 ივნისის თარიღით № 2 დეკრეტის ძალით, საქ. სახ. სამ. ბანკის ხელმძღვანელობით, არსდებიან საკრედიტო ამხ-ბები და აქედან იწყება მათი წარმოშობის ხანა.

1924 წლ. პირველ ოქტომბრისათვის ჩვენში არსებობდა 24 საკრ. ამხ-ბა 3245 წევრით; მათი ბალანსი ამ დროს უდრის 119.780 მ. საკუთარი თანხებიდან ამხ-ბების საპაიო შეადგენს ბალანსის 11,7%, 14.018 მან., ძირითადი საკუთარი თანხა 10.872 მ., 9%-ს.

სათადარიგო ანუ საწევრო—5.000 მ. 4,1%. ძირითად ნასესხში საქ. სამ. ბანკიდან მიღებული აქვთ 84.000 მანეთი ბალანსის 70,1%. ანაბარების სახით ამხ-ბებში შესულა მხოლოდ 50 მანეთი. ამხ-ბებს ამ დროისათვის გაუციათ წევრებზე მოკლევადიანი სესხის სახით 95.027 მან., ბალანსის 79%, ამ მიზნით მოხმარებულია ძირითადი ნასესხი და საწევრო-საპაიო თანხები.

1925 წლ. 1 ოქტომბრისთვის საკრედიტო ამხ-თა რიცხვი გაიზარდა 120-მდე. წევრთა რიცხვი აღის 89.126-მდე, საგრძნობლად გადიდდა ბალანსიც, ის უდრის ამ რიცხვისათვის 2.478.544 მანეთს, საპაიო—19.632 მან. ბალანსის 7,9%, ძირითადი საკუთარი—59.743 მან.—2,4%, სათადარიგო—52.523 მან.—2,1%; ბანკიდან ნასესხი ძირითადი—418.500 მან. 16,9%.

ანაბარები ამ პერიოდში შედარებით იზრდება, ის გამოიხატება 20.774 მან. რაც შეადგენს 0,8% ბალანსისას.

ბანკიდან გრძელ ვადიან სესხად მიღებული აქვთ 329.420 მან. 13,3% ბალანსისა; მოკლე ვადიანი—1.228.005 მანეთამდე—თითქმის 50% ბალანსის, და დანარჩენ კოოპერ. დაწესებ. 17.704 მან. 0,7% გაცემული სესხი—გრძელვადიანი უდრის 110.757 მან. 4,2% ბალანსის. მოკლევადიანი—1.855.651 მან. რაც შეადგენს ბალანსის 75%-ს. დამზადება მიწოდების ოპერაციები—184.130 მან.—5.5%.

მიმდინარე წლის პირველი აპრილისთვის ჩვენ წინ იშლება შემდეგი სურათი ამხ-თა რიცხვი თითქმის არ მატულობს—სულ 121-ია ემატება ერთი ამხ-ბა. ეს გარემოება მით აიხსნება, რომ ბანკმა ამჯობინა ჯერ-ჯერობით ამხ-თა რიცხვი მეტით არ გაზარდოს, არამედ არსებული რიცხვი მათი დატვირთოს ხსხებით მაქსიმალურად, რაც რაციონალურია, ვიდრე არსებობდეს მრავალი მცირე—დატვირთვით.

წევრთა რიცხვი იმ დროისათვის ავიდა 46.189-მდე.

ბალანსი 26 წლ. ¼-სათვის უკვე უდრის 3,040.429 მანეთს, საპაიო 276.436 მან. 8,8%; ძირ. საკუთარი—70.286 მან.—2,3%; სათადარიგო—ე. ი. საწევრო—72.210 მან.—2,4%; ბანკიდან ძირ. თან.—416.800 მან.—13.8%.

ანაბარების ჯამი გადიდებულია 34.895 მანეთამდე, რაც შეადგენს ბალანსის 1,1%-ს. აღებულია ბანკიდან სესხები—397.548 მანეთამდე—გრძელვადიანი და 1.344.098 მან. მოკლევადიანი—44.2% ბალანსისა. სხვა კოოპ. დაწესებულებებიდან მოკლევადიანი მიღებული 28.503 მან. 0.9%; მათ გაუციათ—გრძელვადიანი სესხები—193.245 მან. 6,4% და მოკლე ვადიანი—1.747.818—57.5% ბალანსისა. დამზადება—მიწოდების ოპერაციები უდრის 547.770 მან. 17.9%.

თუ ჩავუკვირდებით ამ ცნობებს, შევამჩნევთ შემდეგ გარემოებას: საგრძნობლად იზრდება წევრთა რიცხვი, თუ 1925 წლ. ეს უდრიდა 3.245-ს, ა. წ., ის გიგანტიურათ იზრდება და აღის 46.189 წევრამდე. ამ მხრივ ჩვენ გაუსწარით მოწინავეთა—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და საკრედიტო კოოპერაციაში ჩაითრიეთ მოწინავე ნაწილი სოფლის ღარიბი და საშუალო მეურნე გლეხებისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამხ-ბებში საკუთარი თანხების ზრდა. ამ დარგში ჩვენ კოოპერაციას მეტად მნიშვნელოვანი მიღწევები ახასიათებს. აქ არის, თითქმის, სავსებით გამართლებული კოოპერატიული საკრედიტო ხაზი. 1925 წ. საპაიო უდრის 14.018 მან. ძირითადი საკუთარი—10.872 მან. და საწევრო 5.000 მან., 1926 წ. საპაიო აღწევს 276.436 მან. ძირ. საკუთ.—70.286 მან. და სათადარიგო 72.210 მან. საშუალოდ თითო ამხ-ზე მოდის საპაიო—2.305 მან.; ძირით. საკუთ. 600 მანეთამდე და საწევრო—605 მანეთამდე; სულ საკუთარი თანხები—(თუ ამას მივუმატებთ აგრეთვე სპეციალურ ანარიცხებს და მოგებას) საშუალოდ თითო ამხ-ზე მოდის—3.700 მანეთამდე, რაც აუცილებლად დიდი მიღწევაა ჩვენ პირობებში და აგრეთვე მცირე დროის განმავლობაში (სულ 2 წელიწადია, რაც ჩვენში არსებობს საკრ. კოოპ.). ამ მიმართულებით ჩვენ სისტემაში პირნათლად არის შესრულებული ხელისუფლების ხაზი საკრედიტო პოლიტიკაში—წევრიდან მიღებულ თანხებს გლეხობა უმატებს თავის საკუთარს და ამით ხელს უწყობს თავისავე მეურნეობის კოოპერატიულ საფუძველზე აღორძინებას.

ყურადღება ექცევა აგრეთვე მომარაგება-დამზადებას და გასაღების ოპერაციებს ამხ-ბებში. ჯამით ეს გამოიხატება 1926 წ. 547.770 მანეთით. გასულ და მიმდინარე წლებში ამხ-ბების მიერ დიდი მუშაობაა ამ მხრივ ჩატარებული, მომარაგებული იყო დიდძალი საწამლი. მასალები და იარაღ-მანქანები სას.-სამეურნეო ბანკისაგან, რაც შედარებით სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებთან იაფათ და შეღავათიან პირობებში დაურიგდათ მომხმარებლებს. ამ მიმართულებით საკრედიტო ამხ-ბებმა გაუმართლეს თავის წევრებს დაპირებანი და კოოპერატიული პრინციპის ღირსეულ, სავსებით მოიპოვეს ნდობა და ავტორიტეტი გლეხობაში.

შენიშნულია ამხ-ბის მუშაობაში ნაკლიც, იგივე შედარებით საგრძნობ მიღწევებთან, ისიც და მაინც არც ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მას. ბანკიდან აღებულ და განკარგულებების მიერ გაცემულ სესხებს შორის ვადების მხრივ დღემდე არის დისპროპორცია. 25 წ. ჩვენგან მიღებული აქვთ გრძელ ვადიანი 327.020 მან. განკარგულებებს გაუციათ გრძ. ვად. მხოლოდ 110.757 მან. მიუღიათ მოკლე ვადიანი 1.228.007 მან., გაუციათ მოკლ. ვად. 1.855.650 მან. 1926 წ. მიუღიათ გრძ. ვად. 392.142 მ., გაუციათ გრძელ ვად. 193.845 მან.) მოუღიათ მოკლე ვად. 1.344.098 მ. გაუციათ მოკლე ვად. 1.747.818 მან. როგორც სჩანს დარღვეულია ერთნაირი წონასწორობა ვადებში, მაგრამ ვიმეორებთ, შედარებით სხვებთან ამ მიღწევებისა აქაც ნაკლები ადგილი აქვს. ეს გაბატონებული ხაზიც თანდათანობით სწორდება. ანაბარი შეადგენს მცირე %-ტს (1,%) ამხ-თა ბალანსზე, მაგრამ ამასაც აქვს თავისი გასამართლებელი ობიექტიური პირობები. ჯერ ერთი, რომ მემკვიდრეობით გადმოვიდა ჩვენზე ძველი ამხ-ბებიდან ამ მხრივ გლეხობის უნდობლობა (მათ ეს თანხები ბევრ შემთხვევაში გლეხებისათვის არ დაუბრუნებიათ) მეორე—უნდა ითქვას, რომ გლეხობის იმ ნაწილში, რომელიც არის ჩათრეული დღეს საკრ. კოოპერაციაში არ არის ეს ზედმეტი თანხები დარჩენილი საგრძნობლად, როგორც გონიათ ზოგს. ამ სახის თანხები უფრო გლეხების იმ ფენებში მოიპოვება, რომლებსაც კოოპერაციასთან ყურითაც ვერ მოათრევთ. პირიქით კოოპერაციის დაუძინებელი მტრებიც არიან ეს ისინი, რასაკვირველია, წარჩინ თანხებს ამხ-ბებში არ შემოიტანენ.

დასასრულისა უნდა გაბედულად ითქვას, რომ საქართველოს საკრედიტო კოოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ხანია რაც არსებობს ჩვენში, ღირსეული წევრია საერთაშორისო კოოპერაციის. რამდენადაც ეს შესაძლებელია დღეს, მან უკვე მოიხვეჭა შესაფერისი ავტორიტეტი და ნდობა ჩვენს გლეხობაში. ის ყოველივე ღონისძიებით ხელს უწყობს ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინებას, ის დააგვირგვინებს დაწყებულს საქმეს ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სინამდვილე და ინტერესები.

ზ. ფოფხაძე.

„მეომარი"-ს საქმიანობა

სამხედრო-სამომხმარებლო საზოგადოების საერთო სავაჭრო მდგომარეობა გასულ საანგარიშო წელთან შედარებით, წელს უკეთესია.

1925—26 წლის პირველ ნახევარში საზოგადოების მიერ შეძენილი იქნა 3.810./14 მან. 59 კაპ. საქონელი; გაიყიდა ამ პერიოდში—2.676.715 მან. 77 კაპ. საქონლის საერთო გაყიდვიდან 97,7 პროც. მოდის წვრილმან ვაჭრობაზე, ხოლო 2,3 პროც. ბითუმად ვაჭრობაზე.

აღნიშნულ პერიოდში თვალსაჩინო ზრდა ემჩნევა სავაჭრო ქსელს; მაღაზიათა რიცხვი გადიდებულია 18-დან—21-დე.

წევრთათვის საქონლის მისაწოდებლად საზოგადოებას აქვს საქართველოში და სომხეთში 49 წერტილი და 7—ბანაკებში; უკანასკნელში არსებობს 15 დუქანი და 7 სასადილო. საზოგადოების მიერ წევრებზე ნისიად გაცემული საქონლის ღირებულება გამოიხატება — 329.865 მან. 68 კაპ, გასულ წელთან შედარებით—47.951 მან. 68 კაპ. მეტი.

წლის პირველ ნახევრისათვის საზოგადოებას ჰქონდა 13 სასადილო.

საზოგადოება აწარმოებს ჯარისათვის ბოსტნეულის და ხილის მიწოდებას. საანგარიშო პერიოდში სულ დამზადებულ იქნა 152.449 მან. ბოსტნეული და ხილეული.

გარდა ამისა დამზადებულ იქნა: 90.082 მან 92 კაპ. მაკარონი, 13.104 მან. 56 კაპ. სახამებელი და 27.212 მან. 97 კაპ. ყუთები.

1 აპრილისათვის საზოგადოებას რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ჰყავდა 9.746 წევრი.

საპაიო თანხებსაც თვალსაჩინო ზრდა ემჩნევა, იგი პირველი აპრილისათვის —ოქტომბერთან შედარებით გაზრდილია 70 პროცენტით.

საზოგადოების საორგანიზაციო საქმიანობას დიდი გამოცოცხლება ეტყობა. ეს მუშაობა მიმდინარეობს უმთავრესად სამი მიმ[illegible] წევრთა გამრავლება, კოო[illegible]

ყველა ქვეყნის პროლეტარ-კოოპერატორებს

ამხანაგებო!

საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსი კვლავ აწყობს კოოპერაციის საერთაშორისო დღის დღესასწაულს. 3 ივლისს ყველა ქვეყნებში დემონსტრაციებისა და „სახალხო დღესასწაულების" გამართვის გზით რეფორმისტი-კოოპერატორები შეეცდებიან დაგანახონ თქვენ კოოპერატიული მოძრაობის „ეკონომიური მონაპოვარნი". ჩვენ მოგიწოდებთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ამ მანიფესტაციებში, მაგრამ იმ მიზნით, რომ ისინი აქციოთ მებრძოლი პროლეტარიატის ძლიერ დემონსტრაციათ.

არ დაიჯეროთ ოფიციალური განცხადებები იმის შესახებ, რომ კოოპერაცია თანდათანობით ახერხებს ომის შემდეგ წარმოშობილ მძიმე კრიზისის დაძლევას. ბანკების, კარტელების, ტრესტების ჰეგემონიის პერიოდში, საკვებ კონცერნების, უნივერსალურ მაღაზიების, ფილიალურ დუქნების და სხ. სისტემის არსებობის დროს, კოოპერაციის სავაჭრო წარმატებებს მხოლოდ ოდნავად თუ შეუძლიათ ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ პერიოდში კოოპერაციის შეუძლია შეასრულოს თავისი ამოცანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პროფკავშირებთან და სხვა კლასიურ ორგანიზაციებთან ხელი-ხელ ჩაკიდებით იბრძოლებს ფასების დასაკლებად და მუშათა კლასის საარსებო დონეს ასამაღლებლად. სიძვირის წინაამდეგ, შეებრძოლება კარტელების და ტრესტების დიქტატურას ბაზარზე, კაპიტალისტურ მთავრობების საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკას და საერთოდ მთელს კაპიტალისტურ წესწყობილებას.

რეფორმისტების მიერ სამარცხვინოდ ჩაშლილი ინგლისის პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ პროლეტარიატის კლასიური არმიის არც ერთ რაზმს არ შეუძლია განმარტოებით ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამ გაფიცვის მაგალითი მოწმობს, რომ პროლეტარიატის ფართო მასებმა შეიგნეს ყველა კლასიურ ორგანიზაციების — კოოპერაციის, პროფკავშირების და პოლიტიკური ორგანიზაციების უვნებელი სოლიდარობის აუცილებლობა. მაგრამ კოოპერატიული მოძრაობის რეფორმისტული ბელადები მოღალატურად ძირს უთხრიან მუშათა მოძრაობის ერთიან ფრონტს. ამას აშკარად ამტკიცებს ის, რომ ამას წინად საერთაშორისო კოოპერატიულმა ალიანსმა, ამ მსოფლიო ორგანიზაციამ, რომელსაც 50 მილიონამდე წევრი ჰყავს, ხელიც არ გაანძრია ინგლისის მუშების გრანდიოზული ბრძოლის დასახმარებლად. აი სანამდი მიიყვანეს რეფორმისტულმა ბელადებმა კოოპერაცია, მისი წევრების უმრავლესობის პასივობის წყალობით.

ძირს პასივობა და ინდიფერენტიზმი კოოპერატიულ ორგანიზაციებისადმი.

არ შეურიგდეთ იმას, რომ ამ მასიურ ორგანიზაციებში განუკითხავად ბატონობდენ რეფორმისტული ბელადები.

აქციეთ კოოპერატიული მოძრაობა პროლეტარულ მასების ერთსულოვანი ნებისყოფის გამომხატველ იარაღად.

შეხედეთ საბჭოთა კავშირს, სადაც რევოლიუციონურ პროლეტარიატის და გლეხობის კოოპერაცია ერთ-ერთ უძლიერეს დასაყრდენად იქცა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. 3 ივლისს, კოოპერაციის საერთაშორისო დღეს განთავისუფლებული რუსეთის მუშები და გლეხები კვლავ ცხადჰყოფენ თავის კლასიურ სოლიდარობას, რაც მათ ბრწყინვალედ დაამტკიცეს ინგლისელ მუშების დახმარების საქმეში.

ამხანაგებო მუშებო!

მიუთითეთ ამ მაგალითზე. დაუღალავად, ყოველდღიურად იბრძოლეთ იმისათვის, რომ მასიური კოოპერატიული ორგანიზაციები აქციოთ მასების უძლიერეს იარაღად მათ ბრძოლაში ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და კაპიტალისტური უღლისგან განთავისუფლებისათვის. იბრძოლეთ იმისათვის, რომ კოოპერაციამ პროფმოძრაობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებით დაუპირდაპიროს კაპიტალს ერთიანი პროლეტარული ფრონტი. ყველა კრებებზე და დემონსტრაციებზე გამოდით შემდეგი ლოზუნგებით:

ყოველი კლასიურად შეგნებული მუშა—კოოპერაციის რიგებში.

კოოპერაციის ყოველი პროლეტარი წევრი—კლასიური ბრძოლის მონაწილე.

ყოველი კოოპერატივი ერთსულოვანი ბრძოლის იარაღია.

მჭიდრო კავშირი კოოპერაციასა და პროფმოძრაობას შორის.

მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის კოოპერაციასთან. სოლიდარობა რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატთან და ყველა ქვეყნის რევოლიუციონერ მუშებთან.

გაუმარჯოს პროლეტარულ კლასიურ ორგანიზაციების გაერთიანებულ ძლიერებას.

გაუმარჯოს მშრომელთა განთავისუფლებას პროლეტარიატის ხელმძღვანელობით!

კომინტერნის აღმასკომი.

სატრანსპორტო კოოპერაცია

საბჭოთა კავშირის კოოპერაცია უკვე დავაჟკაცებულ ძალას წარმოადგენს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში და მშრომელთა ფართო მასების კოოპერატიულ საქმიანობაში.

მარტო სამომხმარებლო კოოპერაციის 1/10—1925 წ. ჰყავდა 9.847.908—წევრი, ამათში სოფლის კოოპერაციიდან—5.040.000-ს, ქალაქისა და სატრანსპორტო—4.807.808. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ჰყავდა—8.800.000 წევრი, შინამრეწველობის—400.000 წევრი და საბინაო სამშენებლოს—180.000 კაცი.

მთლიანად ყველა სახის კოოპერაცია აერთიანებს 16 მილიონ წევრზე მეტს, რომ არ მივიღოთ მხედველობაში სხვა სახის კოოპერაცია, როგორც მაგალითად—მეთევზეთა, მონადირეთა და სხვა.

სატრანსპორტო კოოპერაცია, რომელიც შტოა სამომხმარებლო კოოპერაციის—მუშაობს მხოლოდ რკინისგზელთა შორის და აწარმოებს საერთო სოციალისტურ-კოოპერატიულ აღმშენებლობას.

სატრანსპორტო კოოპერაცია ნელა, მაგრამ მტკიცე და ურყევი ნაბიჯით მიდის წინ და იზრდება. 1924 სამეურნეო წლის განმავლობაში სატრანსპორტო კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 79.795.795 მანეთს. 1924—1925 წ. წ. კი—186.832.000 მანეთს. სავაჭრო ქსელი 1.029 ერთეულიდან გაიზარდა 1898-მდე.

1925 წელს ამ კოოპერაციაში იყო 623.007 წევრი, 1926 წლის 1 აპრილისათვის კი—695.000 რკინისგზელი წევრი.

წევრთა რიცხვის ზრდას თან მოჰყვა საპაიო თანხის ზრდაც:

1925 წ. 1/12-იყო 3.405.459 მან., მიმდინარე 1926 წლის 1 იანვრისათვის—4.189.578 მანეთი.

მთლიან სატრანსპორტო კოოპერაციის ზრდასთან ერთად ჩვენი ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო კოოპერაციაც—„ზაკტპო"—არ ჩამორჩა საერთო კოოპერატიულ ფერხულს და წინსვლას.

საერთაშორისო კოოპერატიული პირველი დღის ზეიმის დროს — 1923 წელს „ზაკტპო"-ს ჰყავდა მხოლოდ 4.500 წევრი რკინისგზელი.

ა/წ.—1926 წ.—1/4-ს ჰყავს—22.500 წევრი. საპაიო-საწევრო თანხა 1925 წ. უდრიდა 3.700 მანეთს, დღეს კი—84.614 მანეთს და 78 კაპ. საშუალო თვიური ბრუნვა უდრიდა 89 ათას მანეთს, ეხლა კი 785.000 მანეთს თვეში ე. ი. გაიზარდა რვაჯერ.

მიმდინარე ნახევარი წლის განმავლობაში საზოგადოებას შეუყიდნია—3.391.072 მან. და 16 კაპ. საქონელი; ეს თანხა 650.000 მანეთით მეტია იმაზე, რაც შეგვიძენია 1924—25 სამეურნეო ნახევარი წლის განმავლობაში.

სავაჭრო ერთეულები 28-დან გაიზარდა 77-მდე; თვიდანვე თანდათან კლებულობს ზედმეტი დართული ხარჯები: 1923 წ. ხარჯები ბრუნვასთან შეფარდებით შეადგენდა 31.5%, 1924 წ.—17,24%; 1925 წ.—15,05%; ამჟამად-კი 10.27%.

ამ მოკლე მიმოხილვით ნათლად სჩანს ა. კ. სამ. კოოპერაციის—„ზაკტპო"-ს თანდათანი ზრდა. მომავალში საზოგადოება მიზნად ისახავს მთელი ა. კ. რკ. გზის მოსახლეობის საქმით დაინტერესებას და იმათი აქტივში აქტიური ჩარევით „ზაკტპო"-ს სრულ გაჯანსაღებას, მომჭირნეობის რეჟიმის საქმეთ ქცევა; დროზე და სეზონის საკმაო საქონლის შეძენას, მუდმანწველობის და უთავბოლობის ლიკვიდაციას, კოოპერატიულ-კულტურული საქმიანობის ფართოდ წარმოებას და საკავშირო სამომხმარებლო სატრანსპორტო კოოპერაციის სისტემაში და სოციალისტურ აღმშენებლობაში თავისი წვლილის შეტანას.

ალ. მითაიშვილი.

ქვენად კოოპერაციის დღეს

(საუბარი)

— კაი დროს ჩამოსულხარ ჩემო პეტრე, დღეს კოოპერატივის დღეა, მე შენ კლუბში წაგიყვან, ლექციას მოისმენ კოოპერატივის მნიშვნელობის შესახებ. თუ ყურს დაუგდებ, ბევრს სასარგებლო რამეს გაიგებ.

— ნეტავ რა არის ე თქვენი კოოპერატივი, მე მაგისი ვერაფერი გამიგია. დუქანი დუქანია და კოოპერატივი რაღა ეშმაკია, სულ ერთი არ არის?

— აი სწორედ საქმეც მაგაშია, რო ერთი არ არი. კოოპერატივში იმიტომ ვაჭრობთ, რომ ის ჩვენს ოჯახად მიგვაჩნია, ჩვენ იმის წევრები ვართ და ყველა ჩვენთაგანი, გლეხი იქნება ის თუ მუშა, მოვალეა, რომ წევრად იყვეს ამ საერთო ოჯახში. ყველა ჩვენთაგანის გაღებული კაპეიკი რაიმეს სასყიდლად კოოპერატივის სალაროში უნდა შევიდეს. არც ერთს ჩვენთაგანს იქ ვაჭრობა არა სჭირდება როგორც კერძო ვაჭართან და ეს საქმესაც ადვილებს; პატარა ბავშვიც კი რო გავგზავნო იმასვე მისცემენ რაც მე უნდა მომცენ და დროს დაკარგვაც არა სჭირდება ეს კი დიდი შეღავათია ჩვენისთანა მშრომელი ხალხისთვის...

ასე გულდასმით მოუყვა ქარხნის მუშა დავითი თავის გლეხ სტუმარ პეტრეს.

— ერთი მხრივ კი მართალს ამბობ ჩემო დავით ვაჭრობა კი არა გჭირდება, ფასი გადაწყვეტილია მიეცი და წაიღე მაგრამ...

— მაგრამ რაღაა შეეკითხა დავითი.

— მაგარი ის არის, რომ მუდამ კარგი ღირსების საქონელს არ გაძლევენ, ახლა შიგ მომუშავეების მოპყრობა? ზოგჯერ ისე შემოგთათხავენ, რომ თავს და ბედს გაწყევლინებენ. იმ დროს ამჯობინებ ერთი ან ორიკაპეიკით მეტი მისცე და კერძო ვაჭართან იყიდო. ეს კერძო ვაჭარი ისე ტკბილად და ალერსიანად იქცევა, რომ ლამის თავისი სული ამოიღოს და თითქოს შენ ჩაგიდგას.

— დიახ, იმათ ალერსიანი მოპყრობა იციან, დათაფლული სიტყვებით გაგიმასპინძლდებიან, მაგრამ ქვეშიდან კი ხალიჩას გამოგაცლიან. ერთს ორად და სამკეცად დაგიფასებენ, შენც სირცხვილით ვერაფერი გიქნია და აძლევ. კოოპერატივში კი ეგენი არ არის. თუ რაიმე უხეირობა შეამჩნიეთ ყველა მომუშავეს თავთავის ნომერი მკერდზე აქვს მიმაგრებული, შეგიძლიან განასაჩივრო და დამნაშავეს სასტიკად დასჯიან.

— მე ეგენი აქამდის არ ვიცოდი, ეგრე კი არის. მაშ ი ჩვენი ვანო სხვანაირად ამბობდა.

— რომელი ვანო? მიკიტნის დუქანი რომ ქონდა და დაუკეტეს.

— რაო რას იძახდა?

— რაო და დაიცადეთო. კარგი მშიერი მგლები ახვევიან გარშემოვო. ხომ გახსოვთ ქათისხევის კოოპერატივი, რომ გადაყლაპესო, მაგასაც ის დღე დაადგებაო. ჩვენ შვილოსან ნისიადაც გვნდობოდითო, ნაღდზედაც მიგქონდათ, დუქანი თქვენი იყოვო. ეგენი კაპეიკსაც არ განდობიანო. აი მე იმისი ნისია დღესაცა მმართებს, კოოპერატივიდან კი ვერაფერი წამიღია.

— და მაგიტომ ვერ ურიგდები კოოპერატივში ვაჭრობას და არ მოგწონს იმისი წესი და რიგი? ბიჭო, შე საცოდავო გენდობიან და გმართებს იმიტომ, რომ ორ, სამ კეცად გახდევინებენ. აბა აწ რატომ არ გენდობიან, ან როგორ [illegible] იმათ ვალს, ზოგჯერაც ისეთ დროს [illegible] არ გჭირს, მაგრამ რადგა[illegible]

— აი ეგ კი მართალი ბრძანებაა, მართლა და ბევრჯელ ჩამივლია დუქნისაკენ სხვადასხვა საქმეზე წავსულვარ, რომ დაუნახივარ ვანოს, დაუძახივარ, ერთი ჭიქა ან ღვინო ან არაყზე დაუპატიჟივარ. მეც კაცი ვარ, ძმაო, შემრცხვენია, მეორე მე მომითხოვნია, მეორეს მესამე მოჰყოლია და გამობრუჟული სახლში დავბრუნებულვარ. ის დღე ხომ დამიკარგავს, მეორე დღესაც ვერ გამომდგარვარ. მე გალეშილი სახლში წავსულვარ, იმას კი ნისია დაუწერია, ვინ იცის რამდენს დასწერდა,—ძველს ახალი მიმატებია.

— ეხლა ხომ გონს მოხველ, დაგიჯდა თუ არა ჭკვაში ჩემი სიტყვები?

— მართალი ხარ, მართალი.

— მაშ კარგი, აბა ცოტაც მომისმინე: მაგ. შენ გაქვს ჭირნახული გასასყიდი, ჩარჩ-ვაჭრებმა შენი მდგომარეობა ზარვათ იციან ან სახლში გეწვევიან, აწ გზაში შეგხვდებიან, იმ დროს ისინი მოგევლინებიან ნათლიათაც, ნათლიმამათაც, ვითომ და დიდი გულშემატკივარნი არიან, ცხვებათ და შენ კი სირცხვილით ხმას ვერ ამოთაც, ვითომ და დიდი გულშემატკივარნი არიან მოგიკითხავენ, იმდენსაც გეჩინჩებიან იაფათაც გამოგცინცლავენ და წონაშიც მოგატყუებენ, ჭარბ-ჭარბათ ასწონიან, იმათ ამისი არ შერცხვებათ და შენ კი სირცხვილით ხმას ვერ ამოიღებ. ყველაფერი ეს იმათ ჯიბეს ვაასქელებს, შენ კი გამოიფიტები, ხშირად შენ შენი საქონლის ფასი არ იცი, ისინი კი იმ დროს დაგესხმებიან, რომ ერთი ორი და სამი კაცი მოიგონ. შენ მხოლოდ ბეს მოგცემენ და ნისიად დაგტყუებენ. შენ ფულს რამოდენიმეჯერ გადააბრუნებენ და შენ კი უკან გიდევნებენ, ისიც ან მოგცემენ რაც გერგება და ან იქიდანაც მოგიჭრიან ვიზარალეთო. გეტყვიან, ჩვენი ზარალი ხომ შენი ზარალიაო. შენც შეგეცოდება და თანაც გაბეზრებული ბევრი სიარულით ეტყვი: ე, მოიტა რავქნა რასაც მაძლევთ მომეცი და წავალო. უჩემობით ოჯახიც წაიადება, ხელს მიუშვერ გამოართმევ რასაც მოგცემს და წახვალ დალონებული.

კოოპერატივში კი სულ სხვა არის: ჯერ ერთი რომა რაც ღირს იმას მოგცემენ, წონაში არ მოგატყუებენ, რაც გერგება ანგარიშს გაგისწორებენ და გაგისტუმრებენ.

აი ჩემო ძმაო, პეტრე, სწორედ ამიტომ უნდა მკვიდრი კავშირი დაიჭირო კოოპერატივთან, რაც გქონდეს გასასყიდი მოიტანო და იმას მიჰყიდო და რაც სასყიდელი გქონდეს იქიდვან იყიდო.

— თუ ეგრე იყო არ ვიცოდი, შენ აგაშენა ღმერთმა ჩემო დავით, ეგ კოოპერატია რაღაცა თურმე ერთობას გვანებია. ამის შემდეგ თუ ევრეა მეც ვეცდები, რომ ყველა ჩვენიანები მეზობლებიც დაუკავშირდეთ კოოპერატივებს, ვასარგებლოთ და ვისარგებლოთ. ნეტა რატომ არავინ გამოჩნდა აქამდინ ისეთი, რომ ასე აეხილებინა ჩემი დახუჭული თვალები. მადლობელი ვარ, შენი ჭირიმე, მადლობელი, გაუმარჯოს შენს ენა-პირს.

— ჩემ ენა-პირსაც გაუმარჯოს და შენ ყურებსაც, რომ მომისმინე, აი ეხლა წავალთ და იქ უფრო კარგებს იტყვიან.

— მაშ თუ ასეა გაუმარჯოს კოოპერატივს, გაუმარჯოს კოოპერაციის დღეს—ორივემ ერთხმად წამოიძახეს და ჩქარი ნაბიჯით გასწიეს კლუბისაკენ...

შაქრო ნაჭთლუშვილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ცხოველების გაცოფება

ქუთაისი, ივნისში ქუთაისში, აღრიცხული იყო ადამიანების გაცოფებული ძაღლებისა და კატებისაგან დაკბენის 24 შემთხვევა.

მასწავლებელთა გადამზადება

თელავი, 2 ივლისი. ივლისის დამდეგიდან თელავში იხსნება შვიდწლედის მასწავლებელთა ოთხწლედის და გლეხური ახალგაზრდობის გადასამზადებელი კურსები, რომელზედაც სამეცადინოდ მოწვეულია 300 კაცი

მთავრობის წევრების ჩამოსვლა

თელავი. 30 ივნისს თელავში ჩამოვიდნენ ამხ. ფ. მახარაძე და ამხ. მათიკაშვილი, რომელნიც მეორე დღეს გაემგზავრენ პანკისის ხეობაში იქ დასახლებულ ქისტების და ოსების ყოფა-ცხოვრების და საჭიროების გასაცნობად.

სეტყვა

თელავი, 2 ივლისი. პანკისის ხეობის ბევრ სოფელში მოვიდა სეტყვა, რომელმაც დააზიანა ნათესები. აგრონომების კომისია იკვლევს სეტყვისაგან მოყენებულ ზარალს.

აფხაზეთი

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

სოხუმი, 2 ივლისი. ტყვარჩელის რაიონის გეოლოგიურ კომიტეტის მუშაობა, მიუხედავათ ხშირი წვიმებისა, ინტენსიურათ მიმდინარეობს. გამოირკვა, რომ ნახშირის დიდი მაძვნის მარცხენა ნაპირზე ხდება ნახშირის დაგროვება. სწარმოებს ტრანსპორტის გაუმჯობესება. ღალიძგაზე აგებულია ხიდი.

მიწით სპეკულიაცია

სოხუმი, 2 ივლისი. უკანასკნელ ხანში მიწით სპეკულიაციამ განსაკუთრებული მძაფრი ხასიათი მიიღო. იყო შემთხვევები მიწის ყიდვა-გაყიდვის.

მიწით სპეკულიაციას ხელს უწყობს მიწათმოწყობის მუშაობათა შეჩერება.

პარტიის სოლქო კომიტეტის ეხლახან დამთავრებული პლენუმი თავის რეზოლიუციებში აღნიშნავს, ამგვარ მოვლენების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომების მიღებას. პლენუმი აუცილებელ საჭიროებათ სთვლის, სამაზრო აღმასკომებთან განსაკუთრებულ კომისიების დაარსებას.

სამხრეთ-ოსეთი

გაერთიანება

ცხინვალი, 2 ივლისი. სამხრეთ-ოსეთის ცაკმა დაადგინა გაერთიანოს სამხრეთ-ოსეთის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან, სამხრეთ-ოსეთის კოოპერაციის ინტენსიურად განსავითარებლად. კოოპერაციების ცალკ-ცალკე არსებობა მიზან შეუწონელია, სამხრეთ-ოსეთის სპეციფიურ პირობების გამო.

სწავლა - განათლების საქმე სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის მაზრა კულტურულათ ჩამორჩენილი იყო ისტორიული ობიექტიური პირობების გამო.

მაგრამ 1921 წლიდან, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მდგომარეობა შეიცვალა. დღეს სიღნაღის მაზრა უკვე გაღვიძებულია. ყოველ სოფელში დუღილია, მოძრაობაა, ხალხის მისწრაფება სწავლისადმი. არ მოიპოვება ისეთი სოფელი, რომ ქოხ-სამკითხველო, კლუბი, თეატრი და სხვა გასართობები არ იყოს. სოფლებში ყველგან დაარსებულია სასწავლებელი.

თვით სიღნაღში კი არსებობს საშუალო სასწავლებელი, სადაც უმრავლესობა ღარიბი გლეხის შვილები სწავლობენ.

მუშ-ფაკში, პარტსკოლაში, ა.-კ. კომუნისტურ და სახელმწიფო უნივერსიტეტში იგზავნებიან ღარიბი გლეხის შვილები, რამაც დიდი შედეგი მოიტანა: ზემოდ ჩამოთვლილი ზოგიერთი სასწავლებელი დაამთავრა ახალგაზრდობის ნაწილმა. ისინი მაზრაში მუშაობენ. ერთი სიტყვით, სიღნაღის მაზრა ამ ხუთი წლის განმავლობაში დიდათ დაწინაურდა.

1921 წელში სიღნაღში დაარსდა გაზეთი „სიმართლე", რომელიც დღევანდლამდე სიღნაღის მშრომელ მასაში ავრცელებს ლენინიზმის იდეას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ განათლების განყოფილება და სამაზრო კომიტეტი იმ მისწრაფებას სწავლისადმი, რომელიც სწარმოებს სიღნაღის მშრომელ გლეხობაში, ხელს შეუწყობს და გააღრმავებს.

გ. ტუნაშვილი.

წერილები

ხაშურის აღმასკომის საქმიანობა

ხაშურის საბჭოს ახალი პრეზიდიუმი შეუდგა მუშაობას. 4 მარტს ახალი საბჭოს მიერ მიღებულ ერთ წლიური განაწესის თანახმად, პრეზიდიუმმა შეადგინა მუშაობის სამ თვიური გეგმა. უმთავრესი ყურადღება ექცეოდა აღმშენებლობას და სასოფლო სამეურნეო დარგს.

გეგმა მთლიანად ვერ იქნა შესრულებული, რასაც ხელი შეუშალა ცუდმა ამინდებმა, ბიუჯეტის თავის დროზე დაუმტკიცებლობამ—ფინანსიური ხელმოკლეობამ და ნაწილობრივ ქალაქ. მცხოვრებთა პასიობამ, ვინაიდან უკანასკნელნი თანახმად გეგმისა და საბჭოს მიერ დადასტურებისა უნდა გაეწიათ ნაწილობრივი დახმარება აღმასკომისათვის ზოგიერთ საამშენებლო საქმეში (გზების გაყვანა-შეკეთება).

საბჭოსთან დაარსებულია 5 სექცია, მათ შორის ენერგიული მუშაობას ეწევა, საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სანიტარული. მათ შემუშავებული აქვთ სამუშაო გეგმები საბჭოს მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ სექციების მუშაობამ საბჭოს წევრებს შორის გააძლიერა აქტივობა.

არის ზოგიერთი საბჭოს წევრები, რომლებიც გულგრილად ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას. საბჭომ გააფრთხილა ისინი და მიიღო მათ წინააღმდეგ ზომები. ახლო ხანში აღმასკომის ხელმძღვანელობით ჩატარდება საბჭოს წევრების მოხსენებები ამომრჩეველთა კრებებზე. ამით კიდევ უფრო გაძლიერდება აქტივობა საბჭოს წევრებისა და გაძლიერდება კავშირი მასსასთან.

ამ ხნის განმავლობაში მიწის ყიდვა-გაყიდვის და ამავე მიზნით დაგირავების შემთხვევა იყო 10, რომელთა წინააღმდეგ მიღებულია ზომები. დამნაშავეთა გასამართლება უნდა მოხდეს საჯაროთ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადები შეკრებილია 90%-ით.

აღმასკომს აქვს სამი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება: ხერხის ქარხანა პატარა მატორით, რომელიც გლეხების და ქალაქის ნახევარ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს.

ასეთივე უმწეო მდგომარეობაშია ქალაქის ელსადგური, 17 ძალიანი ძრავის ენერგია არაყოფნის მთელს ქალაქს, უმრავლესობა ქუჩებისა გაუნათებელია, განცხადებები მუშებისა ელსინათლის შეერთებაზე უყურადღებოთ რჩება. საჭიროა კაპიტალური რემონტი და ახალი მოტორის შეძენა. ხერხის ქარხნის და ელსადგურის გასაფართოებლად და აგრეთვე აგურხანის ახლად ასაგებათ გამოთხოვნილია 40 ათასი მანეთი და სამაზ. აღმასკომის დახმარებით იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ თანხას მივიღებთ.

ი. ბარნელი.

თავს ნურვინ შეიწუხებს

28 აგვისტოდან, სოფ. არბოში (გორის მაზრა) იმართება დიდი დღეობა, რომელსაც „გერისთობას" უწოდებენ. დღეობა, როგორც სხვა სოფლებში ერთი დღით-კი არ თავდება, არამედ გრძელდება დაახლოვებით 3 კვირას. ამ სამი კვირის განმავლობაში ამ დღეობაზე იკრიბებიან მრავალი ხალხი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. ზოგი მათგანი მოდის სალოცავად, ზოგი სავაჭროთ, უმეტესი ნაწილი-კი, რა თქმა უნდა, საქეიფოდ. ეს დღეობა, რომელიც ასე დიდხანს გრძელდება დიდ ზარალს აყენებს ჩვენი და გარშემო სოფ. მეურნეობას, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი ცდებიან სამუშაოებისაგან, და მთლიანათ უნდებით სტუმრების გამასპინძლებას. გლეხის წლიური მარაგის მეტი წილი სწორედ ამ დროს იხარჯება.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე სოფლის (არბოს) გლეხობამ ა. წ. 9 მაისის სოფლის ყრილობაზე დაადგინა, რომ სოფლის დღეობა (გერისთობა) იმართებოდეს მხოლოდ ერთ დღეს მიმდინარე წლის სახელდობრ 28 მარიამობისთვეს ძველი სტილით.

ადგილობრივი.

წერილებიდან

კაკაბეთი, (სიღნაღის მაზრა)

საქონლის ჭირი. ჩვენს თემში, ჩაილურის უბანში გაჩნდა საქონლის ჭირი, არის ცამბირის ჭირის შემთხვევა, რომელიც ადამიანსაც გადაედო. საჭიროა შესაფერი ზომების მიღება.

გ. თამაზაშვილი.

კოკი, (სენაკის მაზრა)

სასოფლო-სამ. ამხანაგობა „კოკი" 1925 წელს კოკის თემში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კოკი". საზოგადოებაში იმ თავითვე ღარიბი გლეხობა ჩაეწერა. წევრთა რიცხვი თანდათანობით იზრდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოება უკვე შეუდგა საქმიანობას და ნაყოფიერადაც მუშაობს, დათესილია რამოდენიმე დესეტინა ბამბა, თამბაქო, კანაფი და სხვა, გაშენებულია აგრეთვე თხილიც.

ი. დანი.

წირქალი, (შორაპნის მაზ.)

დაუდევრობის ბრალია. სოფ. წირქვალში ყოფ. წერეთლის სასახლე და ეზო, რომელიც ხალხის ქონებას წარმოადგენს, უპატრონოთაა მიტოვებული. ეზოში სდგას სამი შენობა, რომელთაგან ორს უნდა შეკეთება. ამ შენობებში შეიძლება სოფლის სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების მოთავსება. მესამე შენობაში მოთავსებულია სკოლა, მაგრამ ისიც დაზიანებულია.

ბ—ლი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ კახეთის რკინისგზის იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც გაიღეს თავის წვლილი ერეკლ-ხევის მიმართულებით ბახმაროსაკენ მიმავალ გზის სასარგებლოდ.

შეგროვილი თანხა 379 მანეთი გადაეგზავნა გზის საამშენებლო კომიტეტს.

კომისია.

მუშათა ცხოვრება

ფაბკომების გადარჩევის შედეგები

ა.-წ. 14 მაისიდან 8 ივნისამდე მეტყავთა კავშირში მოხდა ფაბკომების ხელახალი გადარჩევა. გადარჩევას ყველგან ესწრებოდა კავშირის ც.-გ. წარმომადგენელი.

სანამ გადასარჩევი კამპანია დაიწყებოდა, უწყეუ ც. გამგეობამ მოახდინა ზოგიერთი ქარხკომების მუშაობის გამოკვლევა.

მათი მუშაობა ზოგიერთ დარგებში საგრძნობლად სუსტი აღმოჩნდა, რაზედაც ც. გ. მიიღო საჭირო ზომები და ყველა ქარხკომებს მიეცათ პრაქტიკული წინადადებები მომავალი მუშაობისათვის.

გადასარჩევი კამპანია შედარებით გასულ წლებთან გაცხოველებულად ჩატარდა. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საერთო კრებებზე მუშა-მოსამსახურეები არ იძლეოდენ საკმაო შეკითხვებს ადგილკომის მოხსენებების გარშემო. რაც შეეხება ქარხკომებისათვის პრაქტიკულ წინადადებათა მიცემას, ასეთის გამომჟღავნებაში ყველგან აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუშებმა. ქარხკომებისა და სარევიზიო კომისიის წევრების კანდიდატების შერჩევაც განსაკუთრებულ დაკვირვებით ჩატარდა.

ყველა წარმოებები, სადაც ჩატარდა არჩევნები აერთიანებს 1.630 კაცს. გადარჩევებს დაესწრო 1.123 კაცი.

ქარხკომებში აირჩა სულ 96 კაცი გარდა სარევიზიო და სხვა კომისიებისა. აღსანიშნავია ის, რომ ამ რიცხვიდან 95 მუშაა და 1 მოსამსახურე.

ძველი ქარხკომების მუშაობაში ბევრ ნაკლსაც ჰქონდა ადგილი. მათ მუშაობის მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ადგილკომის მუშაობაში ყველა მისი წევრები არ იყვნენ ჩაბმული. მთელ სამუშაოებს ასრულებდენ თითქმის მარტო მდივნები, რის გამოც ალაგ მუშები არც კი იცნობდენ ადგილკომის ყველა წევრს.

გარდა ამისა, კრებები რეგულიარულად არ იმართებოდა, რაც ხელს უშლიდა ნაყოფიერ მუშაობას.

გადასარჩევ კამპანიის ჩატარების შემდეგ გაიმართა საქალაქო კონფერენცია ყველა ახლად არჩეულ ქარხკომებისა, რომელმაც გამომუშავა ყველა პრაქტიკული წინადადებები.

ქარხკომების გადარჩევა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. მუშებმა, რომ გაიგეს ადგილკომის ერთი წლით არჩევაო, მეტი დაკვირვებით შეარჩიეს კანდიდატები. ამიტომაც ახალ ქარხკომებში შედარებით აქტიური ელემენტები მოჰყვნენ, რაც გამოიწვევს მათი მუშაობის საგრძნობლად გაძლიერება-გაცხოველებას.

პროფკორი.

მაკარონის ქარხნის მუშებში

მაკარონის ქარხანა აშენებულია თავისუფალ და გაშლილ ალაგზე, მტკვრის პირად. ქარხანაში დაცულია სრული სისუფთავე. შრომის ხელფასი მუშებს ეძლევათ შემდეგ ნაირად: მინიმუმი უდრის 35 მან. საშუალო 41 მან. და მაქსიმუმი კი 130 მანეთს.

მუშებსა და ადმინისტრაციას შორის დადებულია კოლხელშეკრულება.

ნედლ მასალას ნაკლებად აწვდიან ქარხანას, რის გამო წარმოება კრიზისს განიცდის.

ხელსაწყო იარაღი არ ყოფნით მუშებს.

სამედიცინო დახმარება მოისუსტებს.

ქარხანაში არ არის მოწყობილი სასწრაფო დახმარების აფთიაქი.

მუშებში ხშირია ავადმყოფობა.

სპეცტანსაცმელები მუშებს ეძლევათ წელიწადში ერთხელ.

ქარხკომი ვერ მუშაობს ენერგიულად.

კულტმუშაობა მუშებში ძალზე მოისუსტებს.

სუსტად მუშაობენ აგრეთვე შრომის დაცვის, შეფასებითი-საკონფლიქტო და საწარმოო კომისიები.

სამკითხველო არის, მაგრამ წიგნები ძალიან ნაკლებია.

უბედური შემთხვევას 26 წელში ჰქონდა ადგილი 3 ჯერ.

შეღავათების საკითხიც არ არის წესიერად მოგვარებული, რადგან საშეღავათო ფულის მიღებას მუშებს ძალზე უგვიანებენ.

ეკონომიური რეჟიმის გასატარებლად არჩეულია კომისია. კომისიამ უკვე მუშაობა დაიწყო.

მუშა—ვარდენ.

შრომის მძიმე პირობებში ვიმყოფებით

(წერილი საგარეჯოდან)

ბევრჯერ დაიწერა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ კედლის გაზეთებშიც, საგარეჯოს ზოგიერთი დაწესებულებაში თანამშრომლების შრომის აუტანელ პირობების შესახებ, განსაკუთრებით კი საგარეჯოს სახალხო სასამართლოზე, მაგრამ ამაოდ.

აღნიშნულ სასამართლოში მუშაობა იწყება ზაფხულის პერიოდში დილის 8 საათიდან და საღამოს 7—8 საათამდე სწარმოებს საქმეების გარჩევა, ამის მიზეზს-კი კაცი ვერ გაიგებს.

გასაკვირველია, რატომ ყურადღებას არ აქცევენ შრომის ან იუსტიციის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოები ამ აუტანელ მდგომარეობას, თუ რა არის მიზეზი. თანამშრომლებს-კი, არ ვიცი რა მიზეზით ხმაც ვერ ამოუღიათ.

საჭიროა მიექცეს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და აქაც დაცულ იქნეს შრომის კანონები და შრომის ნორმალური პირობები.

მუშკორი ლესი.

სამკითხველო ასე უნდა მუშაობდეს

სად. წ.-წყალში დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა სამკითხველო. როცა ასეთი დაარსდა, მის გამგედ აირჩიეს ამხ. ბარბარე ხელაძე. მის გადაცემამდე სამკითხველოში ჰქონდა ადგილი უწესრიგობას. უწინდელ გამგეს მოჰყავდა ქალები-ვაჟები და სულ ცელქობით ატარებდნენ დროს. სამკითხველოს რომ თავისი მნიშვნელობა არ დაეკარგოს და უწესრიგობას ბოლო მოეღოს მოკ. ხელაძე მაგიერად ამ ორი თვის წინად გამგედ დაინიშნა ამხ. ა. დალაქიშვილი, ახალი გამგე არ იშურებს თავის ენერგიას, აღადგინა წესრიგი:—სასიამოვნოა შიგ შესვლა და გაზეთების კითხვა. გაზეთები სამკითხველოს თავის დროზე მოსდის; ბევრი მუშა-მოსამსახურე დაიარება ახლა იქ, გაზეთის კითხვის დროს თუ რაიმე გაუგებარია მუშათათვის, გამგე აძლევს ახსნა-განმარტებას. ასეთი მუშაკი მადლობის ღირსია.

რკინისგზელი.

ჩვენი ზემდგომის ყურადღება

რკინისგზაზე წევის დარგში მუშაობენ ტეხნიკური აგენტები, რონოდების გამსინჯველები, ესენი არიან ზეინკლები და რკ. გზ. ადმინისტრაციის მიერ გადარიცხული არიან თვიურ მოსამსახურეებად და არიან მოძრაობაში მიმაგრებულნი. ესენი თვალყურს ადევნებენ ყველა მოძრავ მატარებლებს და იცავენ მათ ძლიერობას, ხსნიან ყველა იმ რონოდებს, რომელთაც კი შეამჩნევენ „ავადმყოფობას" ერთი სიტყვით პასუხისმგებელნი არიან ყოველივე მოძრავ მატარებლებზე.

როგორია მათი შრომის დაფასება? ძალიან ცუდი: ყველა ზემოთ ჩამოთვლილნი პირნი 7—8—9 ხარისხებით ღებულობენ თვეში ჯამაგირს და პრემიას—სულ 60 მან. იმ დროს, როდესაც მათი ამხანაგები დღიური ზეინკლები იგივე ხარისხის აღებენ 120—130 მან. და ხან მეტსაც.

ვის გაუგონია, რომ პასუხისმგებლობა დიდი ეყოს და ჯამაგირი კი ნახევარიც არ იყოს, რასაც მისივე ამხანაგები დღიური ზეინკლებიც ხედავენ; ეს საკითხი უკვე 1 წელიწადია, რაც აღძრულია რკინისგზის კავშირის და ადმინისტრაციის წინაშე, მაგრამ ჯერ არ არის მოგვარებული. თბილისის საყუდელ ადგილკომში 15 განცხადებაა არის შეტანილი რონოდების გამსინჯველებისამიერ და კიდევ ემატება დღე და დღე იმის შესახებ, რომ ისინი იყვნენ გადაყვანილი დღიურ სამუშაოზე, მაგრამ ადმინისტრაცია არა სთანხმდება, რადგან ის ხალხი არის საჭირო ამ სამუშაოსთვის გამოყოფილნი. მხოლოდ რკინისგზის კავშირი და შრომის კომისარიატს შესძლიათ იმ არანორმალურ მდგომარეობის მოგვარება.

მუშა ზიბოლა.

წითელ ჯარში

კოოპერაცია და წითელი ჯარი

დღეს წითელ ყაზარმში ტარდება კოოპერაციის კამპანია. საჭიროა გადავავლოთ თვალი, თუ რა მდგომარეობაშია წითელ ყაზარმში კოოპერაციის შესწავლის საქმე და რა მიღწევები აქვს ამ დარგში ქართულ ჯარს.

კოოპერაციის შესწავლა შეტანილია პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის საერთო გეგმაში და ისახავს მიზნად გააცნოს წითელარმიელებს კოოპერაციის ისტორია, მისი ძირითადი პრინციპები და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის; აგრეთვე მიქცეული აქვს ყურადღება პრაქტიკულ მხარეს; კოოპერატივის ორგანიზაციას, საქმის წარმოებას, საქონლის ბრუნვას.

რათა კოოპერაციის შესწავლის საქმე იქნეს უფრო გაღრმავებული და მოეხმაროს მეტი სარგებლობა, ამისათვის ყველა ნაწილებში დაარსებულია „კოოპერაციის შემსწავლი წრეები", რომლებშიაც მუშაობენ წითელარმიელებთან ერთად მეთაურებიც.

ამ წრეებში სწარმოებს კოოპერაციის საფუძვლიანად შესწავლა, რისთვისაც მოწვეულნი არიან კოოპერაციის მცოდნე პირნი. წრეები ატარებენ წარმოების ხასიათს: ყოველი საკითხი მუშავდება არმიელების მიერ დეტალურათ, სდგება დიაგრამები და სხვა. ხშირად ეწყობა ექსკურსიები კოოპერატიულ დაწესებულებებში საქმის რიგიანად გასაცნობად.

როცა ახლოვდება წითელარმიელთა სახლში გაშვების დრო, ნაწილებში არსებობენ კოოპერატიული კურსები. წითელარმიელთა შემადგენლობიდან ირჩევიან აქტიური ამხანაგები და მათთან სწარმოებს მეცადინეობა კოოპერატივებში მოსამზადებლად სასოფლო კოოპერატივებში სამუშაოდ.

ტერიტორიალურ ნაწილებში მოკლევადიანი და საერთო შეკრებების დროს ყალიბდებიან კოოპერაციის შემსწავლი წრეები და არსდებიან კურსებიც.

წითელმა ყაზარმამ შესძლო მომზადებინა ბევრი მომუშავე კოოპერაციის დარგში, რომელნიც უდგანან სათავეში კოოპერაციის სოფლად.

1902 წელში დაბადებულთა უვადო შვებულებაში დათხოვნის დროს წითელ ყაზარმიდან გამოშვებულ იქნა 110 წითელარმიელი, რომლებმაც დაამთავრეს კოოპერატიული კურსები და კარგათაც შეითვისეს კოოპერატიული მშენებლობის საკითხები.

კოოპერაციის შესწავლის საქმეს წითელ ყაზარმაში დიდ სამსახურს უწევს სამხედრო კოოპერატივი „მეომარი". მისი მუშაობა ყველა წითელარმიელისათვის თვალსაჩინოა, რადგან „მეომარს" აქვს კოოპერატიული დუქნები და სასადილოები ყველა ნაწილებში, ამით წითელი არმიელი ეცნობა უშუალოდ კოოპერატივის საქმიანობას, მის ოპერაციებს, რაც დიდად გამოადგება სოფლად მუშაობის დროს.

იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად არიან დაინტერესებული არმიელნი კოოპერაციის განვითარება-განმტკიცებით, არის არმიელთა და მეთაურების წევრთა რიცხვი კოოპერატივში: „მეომარს" ჰყავს წევრებად არმიელებიდან 1306 კაცი, მეთაურთა შემადგენლობიდან 1192 კაცი.

დღევანდელი კამპანია ფართოდ ტარდება წითელ ყაზარმაში. დღეს წითელი არმიელი უფრო ახლო გაეცნობა კოოპერაციის მიღწევებს საბჭოთა კავშირში და მის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

დღევანდელი დღე უფრო განამტკიცებს მათში სურვილს შეისწავლონ საფუძვლიანად კოოპერაცია, რათა შემდეგ ის ცოდნა მოახმარონ სოფელს და ხელი შეუწყონ მის მეურნეობის აყვავებას.

ე. ხუციშვილი.

სამხკორთა თათბირი ბანაკად

(1-ლი ქართული მსრ. დივიზია)

ამას წინად მოწვეულ იქნა 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის სამხკორთა და კედლის გაზეთების რედ. კოლეგიების თათბირი. მიზანი თათბირისა იყო გამორკვევა კედლის გაზეთების მდგომარეობის და განხილვა ბანაკად მუშაობის ამოცანების და ორგანიზაციულ საკითხების განხილვა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამხკორთა მუშაობას აქვს ზოგიერთი უარყოფითი მხარეები, რომელიც მოითხოვენ ყურადღების მიქცევას და გამოსწორებას; მაგ. მრავალი სამხკორი არ იცნობს ხელმძღვანელ [illegible] არის მტკიცე კავშირი სამხედრო პროკურატურასთან, კედლის გაზეთები ბევრ ადგილას მოისუსტებენ ტეხნიკურად.

თათბირმა მიიღო საჭირო დადგენილებები ნაკლის გამოსასწორებლად. თათბირმა გამოიმუშავა საბანაკო პერიოდის გეგმა და მისცა სამხკორთა საჭირო დირექტივები:

საბანაკო დროს უნდა მიექცეს ყურადღება საველე სწავლების გაშუქებას, სამხკორთა სოფლად და კავშირის სამოქალაქო ორგანიზაციებთან. აგრეთვე მიექცეს ყურადღება სამხკორთა კავშირს სოფლის კორესპონდენტებთან.

მ.

გამოფენაზე

ექსკურსანტები უკრაინიდან

გამოფენის დასათვალიერებლად უკრაინიდან ჩამოვიდა სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის 17 კურსანტი; მათ განზრახული აქვთ უკან დაბრუნდენ საქართველოს სამხედრო გზით.

ექსკურსანტები ბაშკირეთიდან

ბაშკირეთის რესპუბლიკამ გამოფენის დასათვალიერებლად გამოგზავნა თავისი ორი წარმომადგენელი.

გლეხები იძენენ იარაღებს

თბილისის მაზრის გლეხებმა გამოფენის დათვალიერების შემდეგ გადასწყვიტეს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები.

წითელარმიელების ექსკურსიები

უკანასკნელ ხანებში გამოფენას მრავლად ათვალიერებენ წითელარმიელთა ნაწილები.

50 გლეხი-ექსკურსანტი

კვირას გამოფენის დასათვალიერებლად თბილისში ჩამოვა 50 გლეხი-ექსკურსანტი მცხეთიდან და ავჭალიდან.

ქალების ექსკურსია

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება აწყობს ქალების მასიურ ექსკურსიას გამოფენაზე.

100

გამოფენის დასათვალიერებლად აფხაზეთიდან, გორიდან და თბილისის მაზრიდან ჩამოვიდა 100 გლეხი-ექსკურსანტი.

ცალობითი ვაჭრობა

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა ინსტრუქცია ცალობითი ვაჭრობის კომიტეტების შესახებ და ამ კომიტეტების ნორმალური წესდება. ცალობითი ვაჭრობის კომიტეტი ეწყობა კერძო ბაზრებზე ნორმალური სავაჭრო პირობების შესაქმნელად და ცალობითი ფასების მოსაწესრიგებლად. კომიტეტების ირგვლივ ყველა ცალობითი მოვაჭრეები. კომიტეტების მოვალეობას შეადგენს: საქონლის მიღება და მისი ცალობითი ვაჭრობის ნორმის განაწილება, (ვაჭრობაზე გასანაწილებელი საქონლის ნორმის განსაზღვრავს შინავაჭრობის სახალხო კომ.) ხელის შეწყობა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის შინავაჭრობის შესახებ გამოცემულ დადგენილებების და განკარგულებების განხორციელების საქმეში; ზედამხედველობა იმაზე, რომ არ წარმოებდეს უპატენტო ვაჭრობა და სხვ.

ცალობითი ვაჭრობის კომიტეტების კომპეტენცია ფარგლებს აწესებენ საქონლის ბირჟები და აღმასკომები, სადაც ბირჟები არ არსებობს.

მ.-გ. ინსპექციაში

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა და მოკლე ხნის განმავლობაში დაამთავრებს შემდეგ გამოკვლევებს:

1. სასოფლო სამეურნეო კრედიტების მდგომარეობისა და მისი განვითარებისათვის მიღებულ ზომების შესახებ.

ამ გამოკვლევებისათვის შედგენილია განსაკუთრებული კომისია, კომისარიატის გეგმითი ინსპექციის გამგის ამხ. კალანდაძის ხელმძღვანელობით ინსპექტორ ამხ. ჟანიშვილთან ერთად, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატიდან ამხ. ძამანაშვილის, სასოფლო სამეურნეო ბანკიდან ამხ. ვაშაძის და წარმოკავშირიდან ამხ. კაკაბაძის მონაწილეობით. სამუშაო პროგრამა უკვე შემუშავებულია.

2. პრაქტიკა სოფლად მიწების იჯარით გაცემის კანონის გატარების შესახებ.

გამოკვლევის ჩასატარებლად გამოყოფილ იქმნა კომისია გეგმის გარეშე ინსპექციის გამგის ამხ. იტრიევის ხელმძღვანელობით, ინსპექტორ ამხ. გაბისონიას, მიწათმოქმედების და იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების შემადგენლობით.

სამუშაო პროგრამა შედგენილია.

3 მიწების არალეგალურად ყიდვა-გაყიდვის და მასთან საბრძოლველად ზომების მიღების შესახებ.

დაევალა გეგმის გარეშე ინსპექციას, ინსპექტორ ამხ. გვარამიას საშუალებით ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს მოხსენება ამ საკითხის შესახებ.

4. შემოწმება, გლეხობის საგზაო ალმშენებლობაში ჩასაბმელად არსებულ დეკრეტის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარების შესახებ.

დაევალა გეგმის გარეშე ინსპექციის ხელმძღვანელობით ამხ. ი. კანდელაკს ამ საკითხის შესახებ წარმოადგინოს მოხსენება 1 აგვისტოსთვის.

5. მრეწველობაში და აგრეთვე საიჯარო წამოწყებებში კერძო კაპიტალის მონაწილეობის შესახებ.

დაევალა გეგმის გარეშე ინსპექციას ჩაატაროს გამოკვლევა ამხ. ფარსადანოვის ხელმძღვანელობით 15 დღის განმავლობაში.

კოოპერატიული დღე

გამოფენა

დღეს, საღამოს 8 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნება კოოპერატიული გამოფენა. გამოფენაზე შესვლა უფასოა.

მაღაზიების მორთვა

თბილისის მუშკოოპის განკარგულებით, დღეს და ხვალ ყველა კოოპერატიული მაღაზიები საზეიმოთ იქნებიან მორთული.

სართიჭალაში გამგზავრება

თბილისის მუშკოოპი აგზავნის თავის წარმომადგენლებს სართიჭალაში კოოპერატიული დღის ჩასატარებლად.

გარდა ამისა სართიჭალაში იგზავნება აგრეთვე სანიმუშო-სამაგალითო კოოპერატიული თეატრის დასი, რომელიც იქ გამართავს რამოდენიმე წარმოდგენას.

შინამრეწველობა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს დადგენილებით, უნდა მოხდეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის შინამრეწველობის განყოფილების ლიკვიდაცია. სამეურნეო საბჭოს თაოსნობით, არჩეულია განსაკუთრებული კომისია ამხ. მიქაძის თავმჯდომარეობით. კომისიამ საბოლოოდ უნდა გამოარკვიოს, თუ ვის, რომელ ორგანიზაციას უნდა გადაეცეს ამ განყოფილების ფუნქციები და ქონება. შინამრეწველობის განყოფილება საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენს საქართველოში. ამჟამად მას საქართველოს სხვადასხვა ადგილებში მოწყობილი აქვს სხვადასხვა წარმოებები. ამავე დროს განყოფილება ხელმძღვანელობს შინამრეწველობის საქმეს მთელ რესპუბლიკაში. ეს განყოფილება იმყოფება სამეურნეო ხარჯზე და განიცდის ნივთიერ სივიწროვეს.

ამჟამად განყოფილების განკარგულებაშია შემდეგი წარმოებები: მატყლის სართავი ქარხანა თბილისში, სადაც მუშავდება მატყლის ნართი, სადურგლო სახელოსნო, საღებავების ლაბორატორია, სამხატვრო სახელოსნო, სადაც კეთდება მხატვრული სურათები, მოდელები და სხ.

ამას გარდა თბილისში მოწყობილია ქართულ შინამრეწველობის ნაწარმოების მუზეუმი, ნოხის საარშიო და სართავი სახელოსნოები, საწვრილმანო სახელოსნოები, საწყობები, ნართის საღებავი სახელოსნოები, საპრეტურო სახელოსნო.

პროვინციებს მოწყობილი აქვთ: მცხეთაში საკომერციო სახელოსნო, სადაც სწავლობენ ინსტრუქტორები კომერციულ საქმეებს; სართავი სახელოსნო, რომელშიაც სწავლობენ გლეხების შვილები; გორში მოწყობილია სართავი, საარშიო და ნოხების საქსოვი სკოლა-ქარხნები. ოზურგეთში სართავი სკოლა-სახელოსნო. ავლევში და დიღომში სართავი სკოლა-სახელოსნოები, სადაც სწავლობენ სულ დაახლოებით 100-დე გლეხი ბავშვი.

ქრონიკა

სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ მატერიალიზმის კათედრაზე ლექტორად აყვანილ იქნა ამხ. მალაქია გიორგის ძე ტოროშელიძე.

სას.-სამ. ბანკში

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ალ. ანდრონიკაშვილი განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან.

საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკის თავმჯდომარის მოადგილეთ არჩეულ იქნა ამხ. ი. ლორთქიფანიძე.

თბ. აღმასკომში

—**წითელ ლაშქრისა და ფლოტის სახლს** ჩამოეწერა უკანასკნელი წლის კომუნალური გადასახადის მთელი თანხა.

— **სტიქიურ უბედურებისაგან** დაზარალებულ სოფ. გვერანს და რუსიანს სესხათ მიეცათ პირველს 1.400 მან., მეორეს—1.150 მან.

— **საადგილ-მამულო განყოფილების** გამგის მოადგილეთ დაინიშნა აგრონომი შანიძე.

— **ქალაქის ბაღებში** საჯდომების მოსაწყობათ გადაიდო 3.815 მან.

— **ვერის გზატკეცილის მოწყობა** საბოლოოდ დამთავრდა.

— **ტრამვაის მუშათა სახლის** ასაგებათ მუშაობა უკვე დაიწყო.

კოოპერაცია

—**კოოპერატივების რაოდენობა.** თბილისის გარდა, მთელ საქართველოში არსებობს 136 კოოპერატივი 648 განყოფილებით.

— **კოოპერატივი სოფლად.** მთელ რესპუბლიკაში კოოპერაციის ქსელით დაფარულია სოფლის 25—30 პროც. ე. ი. 3—4 სოფელზე მოდის ერთი კოოპერატივი.

— **კოოპერაციის წევრთა** რიცხვის ზრდა სოფლად უფრო ძლიერია, ვიდრე ქალაქად. მაგალითად გასულ წელს კოოპერაციის წევრთა რიცხვი სოფლად გაიზარდა 43,9 პროც. ქალაქად კი—32,5 პროც.

— **ცეკავშირის საპაიო** თანხა გასულ წელს გაიზარდა 140 ათასი მანეთით, ანუ 74 პროც.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

— **საბრეშუმო სადგურები.** მიწად.-მოქ. კომისარიატმა შეადგინა საბრეშუმო სადგურების საწარმოო გეგმა მიმდინარე წლისთვის. გეგმის მიხედვით ცენტრ. საბრეშუმო სადგურის ხარჯები წელს უდრის 11,636 მანეთს, ქუთაისის სადგურის 5 ათას მანეთს.

— **ტყავის ტრესტის** კლუბში, ორთაჭალაში კვირას დილის 9 საათზე შესდგება სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრების საერთო კრება.

სხვადასხვა

განათლების მუშაკთა სახლში დღეს, შაბათს, 3 ივლისს, საღამოს 7 საათზე შესდგება წინასწარი კრება ქუთაისში, ტყიბულში და ჭიათურაში მიმავალ ექსკურსანტებისათვის.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ „პედაგ. ტეხნიკ. გამგეთა კონფერენციის" ანგარიშში დაბეჭდილია:

„ამხ. კვანტრელი აზიარებს ამ აზრს" და სხ., უნდა იყოს: **ამხ. კვანტრე იზიარებს ამ აზრს და სხ.**

იმავე აბზაცში სწერია: „ამხ. კვანტრელი არ იზიარებს ამ აზრს და აღნიშნავს, რომ უცხო ენების სწავლება შეტანილი იქნას პროგრამაში" და სხ.

უნდა იყოს: **ამხ. მარ. ორახელაშვილი არ იზიარებს ამ აზრს და სხ.**

შემთხვევები

ბოროტმოქმედების ადგილას

— გუშინ მუხრანის ქუჩა № 6, ნ. სამანაშვილს, როდესაც ის დაბრუნდა ბინაზე, ოთახში დახვდა უცნობი პირი, რომელიც დატვირთული იყო სამანაშვილის ნივთებით.

ბოროტმოქმედი დაპატიმრებული იქნა; ის აღმოჩნდა ვინმე მიხეილ დოროხოვი.

ხულიგნები

—ავარები არა ერთხელ აწყობდენ აყალ-მაყალს პლეხანოვის პროსპექტზე. ერთი ჯგუფი იმათგანი შეურაცყოფას აყენებდა გამვლელ ქალებსაც; გუშინ სამი იმათგანი, სახელდობრ: გევარქოვი, ლორთქიფანიძე და იარავა დაპატიმრებული იქნენ.

— **სწრაფი დახმარება** უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში სწრაფი დახმარება აღმოეჩინა 1540 კაცს.

— **ჯიბგირი ქალი.** 1 ივლისს. გუნიბის ქ. № 5 სასადილოში გრიგოლ კავსაძეს ვინმე ანნა ტერიოშინკამ ამოაცალა 30 მან. და მიიმალა.

— **მკვლელების შეპყრობა.** 1 ივლისს შეიპყრეს შიამ-ქაშიმ-ოღლის მკვლელები სანდრო ბუტიკაშვილი, არჩილ ამირანაშვილი, ვასილ მამადაშვილი და გიორგი ბუტიკაშვილი.

— **ქურდობა.** 2 ივლისს სოფ. როზენფელდში გაქურდეს კოტრონის სახლი. წაღებულია 200 მან. ნივთები.

— **შეპყრობა.** შეიპყრეს ქურდობისათვის ვალერიან ბუტკოვი.

— ამავე დღეს შეიპყრეს საბურთალოს მინდორზე მამა აბდულ-ოღლის მკვლელი მამედისა-ოღლი.

— კონსტანტინე ჯვაბენაძეზე მუქარის წერილის მიწერისათვის შეიპყრეს არჩილ ბიძინაშვილი.

სასამართლო

ზ. ორჯონიკიძის და სხვათა საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო ზაქარია **ორჯონიკიძის**, თადეოზ **ქამალოვის** და გასპარ **იაროვის** საქმე.

ორჯონიკიძეს ბრალად ედება ყალბი საბუთების შედგენის საშუალებით სახაზინო ფულის—2.221 მანეთის და 50 კაპ. მითვისება და გაფლანგვა. ბრალდებული მსახურებდა თბილისის შინაგან კომისარიატის ექსპედიციაში. იაროვი და ქამალოვი არიან კერძო მოვაჭრეები. მათ ბრალდებათ ორჯონიკიძის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

ბრალს სდებს პროკურორი ბარამიძე, ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: დიდიშვილიძე, დოლუხანოვი, პ. ქავთარაძე და აბაშიძე.

სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. გალუსტიანის თავმჯდომარეობით ქ. ლიუქსემბურგში გაარჩია **ორუჯ-გარიბ-ოღლის** საქმე.

ორუჯ-გარიბ-ოღლის ბრალდებოდა ახვერდი-აივაზ-ოღლის მოკვლა შურისძიების ნიადაგზე.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ მას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა აივაზ-ოღლი.

სასამართლომ დაჰკითხა მთელ რიგ მოწმეებს, რომლებმაც დაადასტურეს წინასწარი გამოძიებით გამორკვეული ფაქტები.

სასამართლომ ორუჯ-გარიბ-ოღლი სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

გამფლანგველი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. გალუსტიანის თავმჯდომარეობით და პროკურორ ქოთანოვის მონაწილეობით ქ. ლიუქსემბურგში (ბორჩალოს მაზრა) გაარჩია მიხეილ მაქსიმოვის საქმე.

1925 წ. ოქტომბრის თვიდან 1926 წ. 9 მაისამდე ბრალდებული ირიცხებოდა ბორჩალოს მაზრის აღმასკომის ადგილკომის თავმჯდომარედ და საბჭოთა მუშაკთა კავშირის სამ. განყ. მოლარეთ. ამ ხნის განმავლობაში მან მიითვისა და გაფლანგა 810 მანეთი.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ აღნიშნული თანხა გაებნა მას ანგარიშების მოუგვარებლობის გამო.

სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებული იღებდა რა კავშირის საწევრო ფულს, არ შეჰქონდა დანიშნულებისამებრ და ითვისებდა. ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად არგენდა ყალბ საბუთებს.

სასამართლოში ბრალდებულმა წარადგინა მოწმობა მეხსიერების სისუსტის შესახებ. ექიმ-ექსპერტების დასკვნით მაქსიმოვს მეხსიერება კარგი აქვს.

სასამართლომ ბრალდებულ მაქსიმოვს მიუსაჯა 3½ წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით და 5 წლით უფლებების შეზღუდვით.

ქურდების გასამართლება

გუშინ სახალხო სასამართლოში გაირჩა გრიგოლ **შულიკოვის**, ალექსანდრე **ჩაჩიბაიას** და კონსტანტინე **საროკინის** საქმე.

ყველა ჩამოთვლილ პირებს ბრალათ ედება ქურდობა.

1925 წ. ბრალდებულებმა გაქურდეს მოქ. საფაროვის მაღაზია, საიდანაც გაიტაცეს თართალი და სხვა საქონელი, ღირებული 900 მანეთი. ყველა ეს ნაქურდალი ბრალდებულებმა გაასაღეს ადგილობრივ ბაზარზე. არ გასულა დიდი ხანი, რომ ისინი შეპყრობილ იქნა.

სასამართლომ ბრალდება დაამტკიცა და მიუსაჯა შულიკოვს, როგორც ქურდობის მოთავეს, ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუმცირა ერთი მესამედით; ჩაჩიბაიას 6 თვით—წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

მოქ. საროკინი იქნა ცნობილი დამნაშავედ ნაქურდალის ყიდვაში და მიუსაჯა მას პირობითი სასჯელი.

ახალი გამოგონება

სანიტარულ-ჰიგიენურ ინსტიტუტის ლაბორანტმა—ქიმიკოსმა მუნშლიტმა გამოიგონა საკვები პროდუქტების ანალიზისათვის გასამარტივებელი საშუალება და საამისოდ გააკეთა სადა აპარატი, რომელიც ძალიან იაფი ჯდება.

ამ აპარატის საშუალებით შეიძლება გამოკვლეულ იქნას ხორცეულობის ღირსება და მათში შემავალი ცხიმოვანი ნივთიერებების რაოდენობა, კაკალისა და თხილის ქიმიური შემადგენლობა: ყავა, მარცვლეულობა, რძის ნაწარმოებნი და სხვა საკვები პროდუქტები.

დღემდე აღნიშნული პროდუქტების ანალიზისათვის ხმარობდენ საზღვარგარეთიდან გამოწერილ აპარატებს, რაც ძლიერ ძვირი ჯდებოდა; ამით ძვირდებოდა თვითეული პროდუქტის ანალიზიც, გარდა ამისა, უკანასკნელად საზღვარ-გარეთის აპარატების გამოწერა ძლიერ გაძნელდა.

მუნშლიტის კონსტრუქციის აპარატის გაკეთება შეიძლება ყველა საშუალოდ მოწყობილ ლაბორატორიაში; ანალიზების წარმოებისათვის იგი იძლევა დიდ ეკონომიას, როგორც ხარჯების ისე დროს მოგებით.

აწერილი ქონება

ფინ. სახ. კომისარიატმა დააწესა სასყიდლის ნიხრი იმ ქონების დაცვა-შენახვისათვის, რომელიც აწერილია სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადების ნარჩენების გადაუხდელობისათვის. ნიხრი შესასრულებლად გადაეგზავნა საფინანსო ორგანოებს.

ამ ნიხრის თანახმად, იმ პირს, რომელიც კისრულობს აწერილი ქონების დაცვა-შენახვას, ეძლევა შემდეგი ჯილდო: 50 მანეთამდე ღირებულ ქონების შენახვა-დაცვისათვის—შეფასების ჯამის 5 პროც.; 250 მანეთამდე ღირებულ ქონების შენახვა-დაცვისათვის 2 პრ.; 250 მანეთზე მეტად ღირებულ ქონების შენახვა-დაცვისათვის 1 პროც.; ცხოველების შენახვა-დაცვისათვის სასყიდელი 50 პროცენტით არის გადიდებული.

ყოველ თვეში ქონების შენახვისათვის შემნახველს ემატება მთელი თვიური სასყიდელის ერთი მეოთხედი და ქონების დაცვისათვის გაწეულ ხარჯებისათვის შემნახველს ცალკე ეძლევა სასყიდელი.

ზარალი სეტყვისაგან

საგანგებო კომისიამ დაამთავრა 19 ივლისს ლიუქსემბურგის რაიონში მოსულ სეტყვის მიერ გამოწვეული ზარალის გამორკვევა. გამორკვეულია, რომ სეტყვას სრულიად გაუფუჭებია პურის და ქერის ნათესები, რომლის საერთო ღირებულება 104.496 მანეთს უდრის, იმ ვენახების ზარალი, რომელიც 19 ივლისის სეტყვას გაუნადგურებია, 104.100 მანეთს აღემატება, ხოლო სეტყვისაგან განადგურებულ ბოსტნები 235.000 მანეთით დაზარალებულან.

23 ივნისს ბაშკიჩეთის და კაზრეთის თემებში ისევ მოვიდა სეტყვა, რომელმაც მიწასთან გაასწორა პურის ნათესები და სათიბები.

წყალში დახრჩობის შემთხვევა

თბილისის წყალზე მაშველ საზოგადოების ცნობით ივნისში ყოფილა ადამიანთა წყალში გადავარდნის 23 შემთხვევა. აქედან ცურაობის დროს ყოფილა 17 უბედური შემთხვევა. წყალზე მაშველ საზოგადოების წევრების ღონისძიებით არც ერთი უბედური შემთხვევა სიკვდილით არ დამთავრებულა. თვითმკვლელობის მიზნით მტკვარში გადავარდნას იმავე ხნის განმავლობაში [illegible] ჰქონია ადგილი. მშველელთა მიერ გადარჩენილია 3. სხვა ფათერაკის გამო წყალში გადავარდნილა 5 ადამიანი, რომელთა გადარჩენა საზოგადოებას ვერ მოუხერხებია.

ავიაქიმში

დიდი გადაფრენებისათვის

მიმდინარე წლის დიდ გადაფრენებისათვის ხელშემწყობ. ფონდის გასაძლიერებლად, საქართველოს ავიაქიმმა ადგილებს დაუგზავნა ხელმოსაწერი ფურცლები.

ერთ-ერთი ასეთი ფურცელი ავიაქიმმა უკვე მიიღო ზუგდიდის მაზრიდან, სადაც შეუგროვებიათ 36 მანეთი და 55 კაპიკი.

ავიაქიმის დღისათვის

ავიაქიმის დღე ტარდება 18-19 ივლისს. დღის ჩასატარებლად, საქართველოს ავიაქიმმა უკვე დაუგზავნა მაზრებს ცირკულიარები, თეზისები, დღის ჩატარების გეგმა და სხვა მასალები.

მთლიანი საწევრო ნიშანი

საკავშირო ავიაქიმმა გამოიმუშავა ავიაქიმის მთლიანი საწევრო ნიშანი. ნიშნები ამიერ-კავკასიაში უკვე მიიღეს და გაუნაწილეს რესპუბლიკებს. ეს უკანასკნელები მათ დაუგზავნიან მაზრებს.

კერძოთ, საქართველოს ავიაქიმი უკვე შეუდგა მათ განაწილების საქმეს.

თუთ. გაიაფება

დადგენილება № 10|58

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

[illegible] მახორკაზე საბითუმო და საცალო (საეტიკეტო) ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა.-წ. ივნისის 22-ს დადგენილებისა, № 31—87,—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. დაწესებული იქნეს, რომ სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ტერიტორიაზე მომქმედი მახორკის ფაბრიკების მიერ გამოშვებულ მახორკას უნდა ექნეს ეტიკეტი, რაზედაც აღნიშნული იქნება ფაბრიკა და შემდეგი წარწერა: წონა 5გრამი; ფასი 7 კაპ., ციმბირისა, შორეულ აღმოსავლეთ ოლქისა, თურქესტანისა და ამიერ-კავკასიისათვის ფასი—8 კაპ. ეტიკეტზე აღნიშნულ ფასზე უფრო ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონით.

შენიშვნა: ამიერ-კავკასიის ფაბრიკების მიერ დამზადებულ მახორკის გამოშვების დროს, უკეთუ ეტიკეტზე აღნიშნული არ იქნება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ყველა ნიშანი, ნაკლი შეიძლება შევსებულ იქნეს ეტიკეტზე სათანადო თქვიფარის დასმით.

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-საზღვრითი საბითუმო და წვრილი—საცალო საგადასაცემო ფასები სოც. საბჭო. რესპ. კავშირის ყველა (გამოუკლებლივ) ფაბრიკის მიერ დამზადებულ თამბაქოზე:

ა) ფრანკო—ვაგონი ფაბრიკის ადგილიდან უახლოეს მანძილზე მდებარე გაგზავნის სადგურის—1 ფუთი (20 კილო) 22 მ. და 70 კაპ. აქციზის ჩათვლით.

ბ) ფრანკო—ფაბრიკის ფარგლების გარეშე მდებარე საწყობი—22 მ. და 70 კაპ. იმ ნამდვილი ხარჯების დამატებით, რაც დაჯდება ფაბრიკიდან საქონლის გადაზიდვა საწყობში.

შენიშვნა: ა) სრულიად რუსეთის მახორკის სინდიკატის, უკრაინის მახორკის ტრესტის და „ცენტროსოუზის" მიერ ყველა იმ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მახორკის ბითუმად გაცემის დროს, რომელნიც მახორკის ბითუმად და ცალობით ვაჭრობას ეწევიან, შეიძლება საგანგებო შეთანხმების მეშვეობით დაწესებულ იქნეს სათანადო მონაკლები; კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის გაცემის დროს სავალდებულოა დაწესება მონაკლებისა იმ საბითუმო - საგასაცემო ფასების არა ნაკლებ 1,5% რაოდენობით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში.

ბ) ყველა სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებისათვის და აგრეთვე იმ საწარმოთა და კერძო პირთათვის მახორკის გაცემის დროს, რომელნიც მარტოოდენ ცალობით ვაჭრობას ეწევიან, საგასაცემო ფასი ფრანკო გამყიდველის საწყობი შესდგება საცალო (საეტიკეტო) ფასიდან მინიმუმ 10% მონაკლების გამოქვითვით.

3. ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება თვალ-ყური ადევნოს ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

4. ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სამართლის კანონებისა.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **ახმეტელი.**

შ.-ვ. მომწესრიგებელი განყ. უფროსი. **ბერილაშვილი.**

საქმეთა მმართველი **აბესაძე.**

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრობის შესახებ

კ ი თ ხ ვ ა:

მე ვმუშაობ მტვირთველად საზ-ბა „ქართულ მარგანეცი"-ს წარმოებაში. ვიქენი გარიცხული კავშირიდან შემთხვევით. 8 თვის შემდეგ ისევ ვიქენი აღდგენილი ჩემ უფლებებში.

მეკუთვნის თუ არა მე %% ანარიცხების გადახდა იმ შემთხვევებისა, რომლებშიც არ ვიყავი კავშირის წევრად?

პორფილე ფრუიძე.

პ ა ს უ ხ ი

თუ თქვენ გსურთ აღადგინოთ პროფსტაჟი კავშირში პირველად ჩაწერის დღიდან, უნდა შეიტანოთ საკავშირო ანარიცხები მთელ აღნიშნულ ხნის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ახლად ჩაეწეროთ კავშირში ერთ შესასვლელ და საკავშირო ანარიცხების შეტანით.

დათხოვნილ მუშა-მოსამსახურისთვის ანგარიშის გასწორების შესახებ

მე ვმსახურობდი ზემო სვანეთის მაზრის სამმართველოში საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე წ. წლის 23 აპრილიდან შტატის შემცირების გამო მე ვიქენი დათხოვნილი სამსახურიდან ა. წლის 20 თებერვალს გაუფრთხილებლად.

ვინაიდან მაზრაღმასკომს არ ქონდა ფული გასასტუმრებელი დათხოვნილი მოსამსახურეებისა, ამისათვის ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დავრჩი ფულის მიღების მოლოდინში. თანახმად არსებული შრომის კანონებისა მე მერგებოდა გაუფრთხილებლად სამსახურიდან დათხოვნისათვის გასასვლელი დახმარება ორი კვირის ჯამაგირის რაოდენობით და აგრეთვე აღმასკომი უნდა გამსწორებოდა ხელფასში ფაქტიურად ანგარიშის გასწორების დღემდე. მაგრამ სინამდვილეში მაზრაღმასკომის ბუღალტერია მისწორებს ანგარიშს 20 თებერვლამდე (ე. ი. სამსახურიდან დათხოვნის დღემდე.) ფაქტიურად ანგარიში გამისწორეს 30 მარტს. და მთელი 38 დღე ტყვილა - უბრალოდ მაგონიეს:

როდესაც მივმართე ამის შესახებ სამაღმასკომის თავმჯდომარეს, ამხ. მეგრელიძეს, მან ფულის მოცემის მაგიერ გაგვისტუმრა უხეში სიტყვებით და ლანძღვა-გინებით. როცა კატეგორიულად მოვითხოვეთ ფაქტიურად ანგარიშების გასწორებამდე ე. ი. 30 მარტამდე კუთვნილი ხელფასით დაკმაყოფილება, მაშინ ამხ. მეგრელიძე მიჰყვა დათხოვნილ მოსამსახურეების დაპატიმრებას მილიციის საშუალებით და გასცა განკარგულება სამი დღის განმავლობაში არ უნდა დარჩენილიყო არც ერთი შტატს გარეშე დარჩენილი მოსამსახურეები ზემო-სვანეთის ფარგლებში. ამის გამო ჩვენ იძულებული გავხდით თავი დაგვენებებია სვანეთისთვის და ჩამოვედით ქ. ზუგდიდში, სადაც ვცხოვრობთ ამჟამადაც.

გთხოვთ განგვიმარტოთ, თუ როგორც უნდა გამსწორებოდა აღმასკომი და ვის მივმართოთ, რომ მივიღო კუთვნილი ფული.

ვარ პროფკავშირის წევრი წიგნ. № 544.

პ ა ს უ ხ ი

თანახმად ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს 1926 წლის 20 თებერვლის დადგენილება № 17-ისა მუშა-მოსამსახურეთათვის სამსახურის უკანასკნელ დღედ ითვლება ის დღე, როდესაც ადმინისტრაცია სამსახურიდან დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეს ფაქტიურად უსწორებს ანგარიშს თუ კი ანგარიშის გასწორების დაგვიანებაში ბრალი უდევს თვითონ ადმინისტრაციას და არა დაქირავებულს. ამიტომ თქვენ გაქვთ უფლება შრომის სასამართლოს წესით მოითხოვოთ ანგარიშის გასწორება 30 მარტამდის.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტ-საპრ. განყოფილება იტყობინება, რომ აგიტ-პროპ. მუშაკის ცენტრალური კაბინეტი იხურება 6 ივლისიდან 6 აგვისტომდე.

საქართველოს კ. პ. ცეკას ხაღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. ლიცინოვთან:

ეგიანი ალექსი, პეტროსიანი აგასი, ფირუმოვი ალექსანდრე, გრიგორიანი მიხეილ, მირიმანოვი იოსებ, სტეფანოვი ალექსანდრე, არქიმანდრიტოვი კარაპეტი. ტარუმოვი რუბენ, არუთინოვი არმენაკი, კარახანიანი გრანტი, მალხაზი ვართანი.

მეუღლე ქსენია, შვილები მიდია და ლია, რძალი და [illegible] და იეანე შვილებით, დები ქრისტინე და მარინე ქმრებით და შვილებით, სიდედრი ნატალია და სიძე შალვა თაქთაქიშვილი შვილით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი

ჰარმენ მიხეილის ძე კაზიანი

გამოსვენება მოხდება კვირას, 4 ივლისს, დღის 4 საათზე საკუთ. ბინიდან, ვარდისუბნის ქ. № 9, ხოლო დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე (ვარდისუბ. ქ. ბოლოში). ქ. 3008

ივლისის 2-ს გარდაიცვალა

ჰარმენ მიხეილის ძე კაზიანი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ცოლი [illegible] თამარ და ქვისლი შიმშე ასათიანები შვილებით. გამოსვენება და დაკრძალვა—კვირას, ივლისის 4-ს, საღამოს 4 საათზე, საკუთარ ბინიდან ვარდ. ქ. № 9 ახალი ვერის სასაფლაოზე (ვარდისუბნის ქ.) ქ. 3021

თამარა ალექსანდრეს ასული და ამბროსი ბესარიონის ძე მებურიშვილები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ბიძა და მეგობარი

ჰარმენ მიხეილის ძე კაზიანი

გამოსვენება მოხდება კვირას, 4 ივლისს, დღის 4 საათზე საკუთ. ბინიდან ვარდის უბნ. ქ. № 9, ხოლო დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე (ვარდისუბნის ქ. ბოლოში) ქ. 3018

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი და წევრები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა.-წ. 2 ივლისს, გარდაიცვალა მათი ამხანაგი, დამცველთა კოლეგიის წევრი

ჰარმენ მიხეილის ძე კაზიანი

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 2—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ევდოკია პეტრეს—ასული და ნიკოლოზ ამირანის-ძე შვილით ნათელათი, მშობლებით ამირან და ეფროსინე, ძმებით ალექსანდრე და მიხეილი ცოლშვილითურთ ჭელიძეები და ლიუბა ქმარშვილითურთ ცაგურაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ კვირას, 4 ამა ივლისს, დილის 11 საათზე მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ პირველთა შვილის, მეორეების შვილისშვილის და მესამეთა ძმის შვილის პატარა

ეთიკოს ნიკოლოზის--ასული ჭელიძე

პატივსაცემად. წმინდა-ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავზე პანაშვიდი. 3010

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილი მიშა, რძალი ნატალია, შვილისშვილებით ნიკუშა, გრიშა და ოთარ მამარდაშვილები, დისშვილები მიშა (ტიტიკო) მეუღლით და აქსენტი სვანიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას ადამიანის

მარიამ (მაიკო) მამარდაშვილის

გარდაცვალებას, სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე თავის ბინაზე მცირიშვილის ქ. № 9 (ყოფილი მინკვიცევის) დაკრძალვის დღე იქნება გამოცხადებული 3007

კვირას, ივლისის 4-ს, შუადღის 12 საათზე, დიდუბის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცის პანაშვიდი ახალად გარდაცვალებულის

თამარ თევდორეს ასულის ჟორდანიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ განსვენებულის ძმები ოჯახებითურთ. ნ. 1503

ღრმად დამწუხრებულნი დედა ეფროსიმე გლახუას ასული, ძმა მიხეილ, დები; ელენე, კსენია და ბაბილინა მაჭარაძენი აუწყებენ ნათესავთ, და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1 ივლის გარდაიცვალა საყვარელი შვილი პირველისათვის, ძმა დანარჩენთათვის

პაპე გიორგის ძე მაჭარაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში, კვირას 4 ივლისს. ქ. 3023

ღრმად დამწუხრებულნი ქ. თბილისის აღმასკომის კეთილ-მომწყობ განყოფილების მუშა მოსამსახურენი აუწყებენ ნაცნობ-ამხანაგ-მეგობრებს, რომ სოფელ ასკანაში (გურია) ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე განყოფილების საქმეთა მმართველი მათთვის დაუვიწყარი.

ელენე ათანესის ასული ჭიჭინაძე?

დაკრძალვა მოხდება ს. ასკანაში, შაბათს 3 ივლისს. ქ. 3022

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ზოლეი
ნ. 1466 0—1

მსოფლიო შედევრი 4 სერიათ
ნიბელუნგები
1 და 2 სერია ერთად
კიოსკის ბილეთის შემძენი ბაღში უფასოდ შედის კინოს შენობა გადახურულია
შეუდარებელი მერი პიკფორდი პრემიერაში
„სინათლე სიბნელეში"
თუ ცუდი ამინდი იქნა სეანსი გაგრძელდება არფასტოში
საუკეთესო სურათი
„ამერიკელი ქალის თავგადასავალი"
რუკ როლანის მონაწილეობით. არაჩვეულებრივი ტრიუკები, მიმზიდველი სიუჟეტი.

ანონსი:
საზაფხულო
ეთერი
ორშაბათიდან 5 ივლისიდან.
პირველად თბილისში
საუკეთესო სურათი
კოვანკოს, რიმსკის და კოლინის მონაწილეობით.
„ქალი ნიღაბში"
პირველად თბილისში
ნ. 1506

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის მისამარ.: აგარაკი მეიერისა. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

საქართ. ს. ს. რესპუბლიკის
შინა-ვაჭრობის კოოპერაციის
კავშირის ორგანიზო
სომხურ ბაზარზე, მე-14-ე აფთიაქის პირდაპირ
გაიხსნა საბითუმო-საცალო
მაღაზია
რომელშიაც იყიდება შინამრეწველობის ყოველგვარი ნაწარმოები, აბრეშუმის და შალის ფართლეულობა, შარფები, ცხვირსახოცები და სხვ., კერამიკული—სხვადასხვა გვარი თიხის ჭურჭლეულობა, საბავშვო სათამაშოები და სხვა ნივთები.
ფასები მეტად ზომიერია
იქავე არის საწყობი შინამრეწველთათვის ნედლი მასალის მისაწოდებლათ. ნ. 1507



„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ
приготовленная по способу
ПРОФЕССОРА Д-ра БЮХНЕРА
დიდის წარმატებით იყენებს მედიცინა
ხერხემლის გახმობის, ყველა სახის ნევრასტენიის, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის, სისუსტის ავადმყოფობის, სიგამხდრის (худосочие), დაღლილობის, სიბერისაგან დაავადების, პოდაგრის, რევმატიზმის, სისხლნაკლებობის, ატერიოსკლეროზის, დიაბეტის, თავის ტკივილის, უძილობის, სქესობრივ უძლურების, მადის დაკარგვის და გულის მუშაობის ქრონიკულ სისუსტისა და აგრეთვე სხეულის სისუსტის დროს, ინფლუენციის, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის, სისხლის დაკარგვის და სხვა ავადმყოფობის დროს.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვა № 8.262.
სეკარის სითხე იყიდება
საბჭოთა კავშირის სანიტარიის და ჰიგიენის ყველა აფთიაქებში და მაღაზიებში
ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კაპ. გადაგზავნის გარეშე. ფოსტით იგზავნება არა ნაკლები 4 ფლაკონისა, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. რაოდენობით. 8 და მეტი ფლაკონის დაკვეთის დროს შეხვევა და გადაგზავნა უფასოა. კოოპერატივ „გალენ მოსკვა"-ს წარმომადგენლობა საბჭოთა საქართველოში დასომხეთში: თბილისი, თავისუფლების მოედანი, № 2 მეორე სართული, ყოფილი თამამშევის პასაჟი.
ЗАКАЗЫ ПИСЬМА И ДЕНЬГИ АДРЕСОВАТЬ
ТОРГ ОТД КООПЕРАТИВА „ГАЛЕН-МОСКВА"
МОСКВА ул ГЕРЦЕНА №5 ОТД. 3 ПОЧТ. ЯЩ №1025
8—2 ნ. 1470

კვირას, 4 ივლისს, დილის 11 ს. ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) შესდგება

საზოგადო კრება

ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობა

„ქართული წიგნი"-სა

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება საგამომცემლო მუშაობის შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში მომავალი მუშაობით ან დაკავშირებით 2. საფინანსო ანგარიში სამოქმედო წლის განმავლობაში. 3. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4. მოხსენება წესდების მე-7 პარაგრაფის შესახებ. 5. მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა 6. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა. 7. მიმდინარე საკითხები.

კრებაზე დასწრება დაინტერესებულ გარეშე პირთაც შეუძლიათ. კრებას რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, ჩაითვლება კანონიერად (შედგენილად). 2-1 ქ. 3020

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა

მმართველობას

სჭირდება გამოცდილი რუსულ-ქართულ საწერ მანქანაზე მომუშავე თანამშრომელი.

მიღება იქმნება კონკურსით, რომელიც დანიშნულია 5 ივლისს დღის 2 ნახ. საათზე.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ სათანადო განცხადებით სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საერთო განყოფილებას, სასახლეში—ოთახი № 12. 1—1 ნ.

ახალი წიგნები
1. ბალანსმცოდნეობის საფუძვლები—პროფ. ლეკუტრესი. ფასი 1 მ. 50 კაპ.
2. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ანგარიშწარმოებაში—ბოგდანოვი და ფუსისა. ფასი 60 კაპ.
წიგნები ნათარგმნია ა. ინწკირველის რედაქციით. 2994. 2—1.

თბილისის ქალაქის ლომბარდი

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ახლო დროში უნდა მოხდეს მისი საკომისიო მაღაზიების (კომინტერნის ქ. № 3 და პლეხანოვის პრ. № 101) სრული

ლიკვიდაცია

ამიტომ სალიკვიდაციო კომისია სთხოვს მაღაზიების კლიენტებს დააჩქარონ ანგარიშების გასწორება მაღაზიებთან და გაუყიდავი ნივთების უკან მიღება, რისი ვადაც სალიკვიდაციო კომისიის მიერ განსაზღვრულია.

1 ივლისიდან 1 აგვისტომდე 1926 წლისა

ამ ვადის გასვლის შემდეგ სალიკვიდაციო კომისიის მიერ არავითარი საჩივარი არ იქნება მიღებული, ხოლო მოუთხოვნელი ნივთები კი გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით**

ნ. 1505

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი მ. გ. ბარუჩიევი

აცხადებს, რომ 10 ივლისს საათის 2-ზე მე-3 პეტროვის გასავალში № 5 გაიყიდება საჯარო ვაჭრობით გიორგი სოლოღაშვილის სახლის ნახევარიწილი, რომელშიც იმყოფება 3 ოთახი და ერთი სამზარეულო. ნახევარი სახლი შეფასებულია 150 მან. სახლი იყიდება კომუნალურ ბანკის 206 მან. 40 კაპ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. მყიდველთ მიერ დაცული უნდა იქნეს სამოქ. კოდექსის მე-311 მუხლი. ქ. 3016

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი მ. გ. ბარუჩიევი

აცხადებს, რომ 10 ივლისს, დღის 12 საათზე, ვეძისის ქუჩაზე № 20 გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ეკატერინე გოცირიძის ერთ სართულიანი სახლი—შეფასებული 180 მანეთად, რომლიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია კომუნალურ ბანკის 172 მ. და 50 კაპ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. მყიდველთ მიერ დაცულ უნდა იქნეს სამოქ. კოდ. მე-311 მუხლი. ქ. 3017

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ტ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 7 ივლისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 60 კახეთის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მარიამ, ელენე და მანიაკან პოლოსების უძრავ ქონებას: ორ სართულიან სახლს, აშენებულს ქალაქის მიწაზე ზომით მე. 150 ოთხ. კუთხ. საჟენზე შეფასებულს 1.500 მანეთად, თბილისის კომუნალური ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 8 მაისის 1926 წ. თარიღით № 4024 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ქ. 3015

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ა. პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 1926 წელს, 7 ივლის, დღის 12 საათზე მეეტლების გაერთიანებულ შრომის საზოგადოების სასადილოში (მადათოვის კუნძული) ის პირველი საჯარო ვაჭრობით გაყიდის: სხვადასხვა ფირმის ღვინოს, კონიაკს, ტკბილ სასმელს და არაყს, რომელიც აწერილია სარქის სიმონიანცის, მელიკ იაროვის და ივანე როგაჩევის ვალში და რომელიც შეფასებულია გასასყიდათ 177 მანეთად; შუადღის პირველ საათზე კი გაყიდული იქნება ორი საბარგო ეტლი ორ ორი ცხენით, რომელიც აწერილია სარქის სიმონიანცის და მელიკ იაროვის ვალში და შეფასებულია გასასყიდათ 1200 მანეთად. გაყიდვა მოხდება პეტრიწის ყოფ. დესიმონოვის მოედანზე. ქ. 3019

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღებს დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13-63. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების მუხლის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
დ. ა. ჩიჩელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქავჭავაძის ქ. № 9. 12—1 2858

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. 537 25—12

დაჰკარგე პარტბილეთი № 500.080 ეტიხი გადახაბაძეს სახელზე, ჩ. გ. 3009

დაჰკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან № 709 ალექსანდრე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 3012

დაჰკარგე სამხედრო რეგისტრაციის ფურცელი № 310 და მეორე რაიონის ადგილკომის საბუთები გრიგორი გვიმრაძის სახელზე, ჩ. გ. 3013

დაჰკარგე ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 467 და ატესტატი № 1472 დავითი ალექსანდრესძე ჭუბაბრიას სახელზე, ჩ. გ. 2992

დაჰკარგე საპენსიო წიგნაკი № 1489 ზაქარია გაბრიელისძე ლოთიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3020

დაჰკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა № 80 ვლადიმერ ლავრენტის ძე ტორონჯაძეს სახელზე, ჩ. გ. 3014

დაჰკარგე პირველი საგაუბიცო არტილერიის წიგ. № 1211, ალექსანდრე ოქროსპირიძე მესხაძის სახელზე, ჩ. გ. ქ. 3014

დაჰკარგე 50 მანეთიანი თამასუქი, მოცემული ი. ბ. შეიხმანის მიერ ა. მ. ილიევსკის სახელზე, 20 ივნისს, თბილისის ბანკის ბრძანებაში გატარებული № 1576. ჩ. გ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68